დამოუკიდებელი და ზეპარტიული

30 წლის წინათ, 1992 წლის 3 მარტს, გამოვიდა „ასავალ-დასავალის“ პირველი ნომერი

ASAVALI.GE ASDAS.GE

# ასავალ დასავალი

2022 წლის 28 თებერვალი – 6 მარტი

N10 1422

ფასი 3 ლარი და 30 თეთრი

# ასე გააგრძელე, პრემიერო!



მე არასოდეს არ მივიღებ ისეთ გადაწყვეტილებას, რომ დავაზიანო საქართველოს ეროვნული ინტერესები. საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას ეკონომიკურ სანქციებში, რადგან ამით დაზარალდება ქართველი ხალხი და ჩვენი სახელმწიფო!

2-3






ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთხელ უკვე შემოიყვანა საქართველოში რუსული ჯარი. ახლა კი იგივე ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციიდან ცდილობს, რუსული ჯარი ხელმეორედ შემოიყვანოს!

## იგორ კვესელავა:

ასეთ შემთხვევაში რუსეთი გადაკეტავს გორის ტრასას, საქართველოს გახლეჩს შუაზე და დაელოდება ჩვენი ეკონომიკის პირწმინდად განადგურებას!

20

## ხათუნა ხოფერია:



ამ ომში ჩვენი შვილები არ უნდა ჩაებან!

11





5

## ლხინი ჟამიანობის დროს

რუსეთის ფარული მხარდამჭერი და გულშემატკივარი თუ არ ხარ, რა ჯანდაბა აგამღერებს და აგაცეკვებს იმ უშველებელი უბედურების ფონზე, რაც ახლა უკრაინაში ტრიალებს! ლხინი ჟამიანობის დროს ნაცების ხელობაა!

## ლალი მოროშკინა:

# სხვის ომში რატომ უნდა წავიდეთ?









16-19

## კიევის რუსეთიდან რუსეთის კიევამდე

ვიდრე ჰხვალ?!

# ასე გააგრძელე,

***პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი და ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილება — საქართველო, რომელსაც 2008 წელს სააკაშვილის მიერ შემოყვანილი რუსული საოკუპაციო ჯარი დედაქალაქიდან ერთი ხელის გაწვდენაზე უდგას, არ შეუერთდება დასავლეთის ქვეყნების მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს.***




პრემიერი ღარიბაშვილი და საქართველოს მთავრობა ნაცსექტის პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ შანტაჟს არ უნდა წამოეგონ!

პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებას ნაცოპოზიცია და ლიბერასტული კლასტერი, რასაკვირველია, ისტერიკით შეხვდა — **ღარიბაშვილის განცხადება სამარცხვინოაო; „ქართული ოცნება", ფაქტობრივად, აგრესორის მხარეს დგასო; საქართველოს რუსეთუმე მთავრობა ჩირგვებში იმალებაო; გვრცხვენია, რომ ასეთი ხელისუფლება გვყავს, მის მაგივრად ჩვენ ვუხდით ბოდიშს უკრაინასო და სხვა ამისთანა ლათაიები.**

აბა, ერთი კარგად გავჩხრიკოთ და ავწონ-დავწონოთ, სინამდვილეში **რაში ადანაშაულებენ ღარიბაშვილის მთავრობას ნაციონალები,** რომლებმაც 2008 წელს საქართველოს რუსეთთან ომი ვერ აარიდეს და ლიბერასტები, რომლებიც ოკუპაციას შარვლის ჩახდითა და უკანალის მოშიშვლებით ებრძვიან?

**ნაციონალები და ლიბერასტები ღარიბაშვილს, რეალურად, იმაში სდებენ ბრალს, რომ გაავებულ რუსულ დათვს, რომელიც ახლა უკრაინას ტორავს, ყურიდან ენა არ გამოუყო და საბაბი არ გაუჩინა, ორმოციოდე კილომეტრში დისლოცირებული საოკუპაციო ჯარი თბილისისაკენ დაძრას ან ქვეყნის მთავარი ავტომაგისტრალი გორთან ტანკებით ჩახერგოს და საქართველო შუაზე გახლიჩოს.**

ნაციონალები და ლიბერასტები ღარიბაშვილს, რეალურად, იმაში ადანაშაულებენ, რომ ასეთ სახიფათო და საბედისწერო ვითარებაში თავისი ფრთხილი, მოზომილი და გონივრული პოლიტიკით კრემლს საფუძველი არ მისცა, რუსეთში მცხოვრები და მომუშავე ასიათასობით ქართველის დეპორტაცია მოახდინოს, რუსული ბაზრიდან ქართული პროდუქცია გააძევოს და ორ მილიონამდე რუს ტურისტს საქართველოს გზა გადაუკეტოს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **ნაციონალები და ლიბერასტები ღარიბაშვილს თავს ესხმიან ერთადერთი მიზეზით** — იგი არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთმა საქართველოში მორიგი სამხედრო ინტერვენცია განახორციელოს, მორიგი ტერიტორიები წაგვართვას, ასიათასობით ახალი დევნილი გაგვიჩინოს, ეკონომიკურ კოლაფსში ჩაგვაგდოს და ქართულ სახელმწიფოებრიობას წერტილი დაუსვას.

დიახ, სწორედ ამას გამოჰყავს წყობილებიდან **სააკაშვილის პოლიტიკურად გაკოტრებული და მორალურად დეგრადირებული სექტა,** თორემ საქართველოს რუსეთისათვის სანქციების დასაწესებლად არავითარი ბერკეტი რომ არ გააჩნია, ეს თავცხელმა ნაცებმაც კარგად იციან.

**პუტინსა და ლავროვს** თავიანთი ფინანსური ანგარიშები „საქართველოს ბანკში" არა აქვთ, რომ ქართულმა სახელმწიფომ დაუყადაღოს და გაუყინოს!

**დერიპასკა, აბრამოვიჩი და სხვა რუსი ოლიგარქები** თავიანთ მილიარდებს „თიბისი ბანკში" არ ინახავენ, რომ ქართულმა სახელმწიფომ დაუყადაღოს და გაუყინოს!

**ქართული სახელმწიფო რუს მილიარდერებსა და მათი ოჯახის წევრებს** ვერც საქართველოს კურორტებზე დასვენებას აუკრძალავს, რადგან ისინი დასასვენებლად არა ქობულეთში, ურეკში, მალთაყვასა და წყალტუბოში, არამედ იბიცაზე, აკაპულკოზე, სენტროპესა და მაიამიში დადიან.

**ქართული სახელმწიფო რუსეთს ვერც გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს, რადგან რუსეთი ქართულ გაზსა და ელექტროენერგიას არ მოიხმარს, სამაგიეროდ, საქართველო მოიხმარს რუსულ გაზსა და ელექტროენერგიას.**

**ქართული სახელმწიფო ვერც რუსეთის მილიონ მოქალაქეს გააძევებს საქართველოდან,** რადგან რუსეთის მოქალაქეები საქართველოში მუშაობით არ არჩენენ თავიანთ ოჯახებს, სამაგიეროდ, რუსეთში მცხოვრები და მომუშავე მილიონი ქართველი ინახავს ოჯახებსა და ახლობლებს საქართველოში.

მაშ, რაში უნდა გამოიხატოს საქართველოს მიერ რუსეთისათვის სანქციების დაწესება და როგორ უნდა მიაყენოს ქართულმა სახელმწიფომ ზიანი რუსეთის ეკონომიკას?

**ქართული ღვინის, მწვანილისა და მინერალური წყლის ექსპორტი ავკრძალოთ რუსეთში?**

**რუსები რქაწითელით თუ ვერ დათვრებიან და ნაბახუსევზე „ბორჯომს" ვერ გადახუხავენ, ეს იქნება მათი სასჯელი უკრაინაში შეჭრის გამო?**

**და ვისი ეკონომიკა იზარალებს ამით — საქართველოსი თუ რუსეთის?**

რუსეთის ეკონომიკა არანაირად არ არის დამოკიდებული სა-

**ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთხელ უკვე შემოიყვანა საქართველოში რუსული ჯარი, ახლა კი იგივე ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციიდან ცდილობს, რუსული ჯარი ხელმეორედ შემოიყვანოს!**

## კვირგვინოსანი მსხვილი პლანით



ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

**მე არასოდეს არ მივიღებ ისეთ გადაწყვეტილებას, რომ დავაზიანო საქართველოს ეროვნული ინტერესები. საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას ეკონომიკურ სანქციებში, რადგან ამით დაზარალდება ქართველი ხალხი და ჩვენი სახელმწიფო!**

ჩვენი სახელმწიფო ატარებს ეროვნულ პოლიტიკას! უპასუხისმგებლობა და მავნებლობა ის ხმაური, რასაც ჩვენი ოპონენტები აკეთებენ. **მათი მიზანია ისეთი პროვოკაციების მოწყობა, რამაც 2008 წლის აგვისტოს ომი გამოიწვია და შედეგად მსოფლიომ იხილა მიწაზე გართხმული „მთავარსარდალი".**

**შეცდომები საკმარისზე მეტი დავუშვით. საქართველოში ანტიეროვნული პოლიტიკა დასრულდა!**

# პრემიერო!










ქართველოზე, საქართველოს ეკონომიკა კი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული რუსეთზე, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს მიჰყიდა.

ერთი სიტყვით, საქართველო დასავლეთის დიდი და ძლიერი ქვეყნების მიერ რუსეთისათვის დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს რომ შეერთებოდა, ამას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა ექნებოდა, მაგრამ რეალური საფრთხის წინაშე დააყენებდა საქართველოს მშვიდობასა და სტაბილურობას.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფორმალური და პოპულისტური ნაბიჯი არ გადადგა და საქართველოს მშვიდობა და სტაბილურობა საფრთხის ქვეშ არ დააყენა.**

**საქართველოს მთავრობის მეთაური მოიქცა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პასუხისმგებლიანი ხელისუფალი, რომლის გადაწყვეტილებებზეც ქვეყნისა და ერის ბედია დამოკიდებული.**

**ირაკლი ღარიბაშვილი პასუხისმგებელია საქართველოს 4 მილიონი მოქალაქის წინაშე, ნაციონალური მოძრაობა კი პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი კაცის — უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის წინაშე გრძნობს!**

ირაკლი ღარიბაშვილი ვალდებულია, იმოქმედოს ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ნაციონალური მოძრაობა კი თავს მოვალედ თვლის, მხოლოდ პატიმარ სააკაშვილის ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს, რაც ავტომატურად გულისხმობს საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის მოშლას, წყლის ამღვრევასა და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას.

**დიახ, სააკაშვილის სექტამ დიდი ხანია, დაკარგა შანსი, ქართველი ხალხის მიერ ჩამორთმეული ძალაუფლება არჩევნების გზით დაიბრუნოს!**

**სააკაშვილის სექტა საბოლოოდ დარწმუნდა იმაშიც, რომ ძალაუფლების დაბრუნებას ვერც ქუჩის აქციებითა და რევოლუციით შეძლებს, რადგან საამისო მხარდაჭერა არც ქვეყნის შიგნით გააჩნია და არც — ქვეყნის გარეთ!**

შესაბამისად, ერთადერთი, რამაც შესაძლოა, სააკაშვილის დემორალიზებულ სექტას ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსი გაუჩინოს, ეს არის **საქართველოს ახალი სამხედრო კონფლიქტი რუსეთთან და თბილისისაკენ დაძრული რუსული ტანკები!**

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთხელ უკვე შემოიყვანა საქართველოში რუსული ჯარი, ახლა კი იგივე ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციიდან ცდილობს, რუსული ჯარი ხელმეორედ შემოიყვანოს!**

ბუნებრივია, ოპოზიციაში მყოფ ნაციონალურ მოძრაობას არავითარი რესურსი არ გააჩნია ისეთი პროვოკაციების მოსაწყობად, რაც საქართველოს მიმართ რუსეთის ახალ სამხედრო აგრესიას გამოიწვევს! შესაბამისად, სააკაშვილის სექტა ცდილობს, საქართველოს ხელისუფლებას უბიძგოს ისეთი ნაბიჯების გადადგმისაკენ, რასაც რუსეთის ახალი სამხედრო აგრესია მოჰყვება!

**ამიტომაც უწყობენ ობსტრუქციას პრემიერ ღარიბაშვილს და ამიტომ ცდილობენ, პოლიტიკური და მორალური ზეწოლა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე!**

პრემიერი ღარიბაშვილი და საქართველოს მთავრობა ნაცსექტის პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ შანტაჟს **არ უნდა წამოეგონ!**

**პრემიერმა ღარიბაშვილმა და საქართველოს მთავრობამ რუსეთთან მიმართებაში არაფრის დიდებით არ უნდა გადაუხვიონ იმ გონივრულ და პრაგმატულ პოლიტიკას, რომელმაც საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, ქართული სახელმწიფოებრიობა გადაარჩინოს და ქვეყანას განვითარების პერსპექტივა შეუნარჩუნოს!**

ომის რიტორიკა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციები ქართველმა ხალხმა 9 წლის წინათ აღკვეთა, როცა სააკაშვილსა და მის ბანდას პოლიტიკური მოუსავლეთის საგზური გამოუწერა!

**თუ სააკაშვილის ბანდას რუსეთთან ომი სწყურია, მაშინ ჯან-ღონით სავსე ნაცლიდერებმა თოფ-იარაღი აისხან, თავიანთი სრულწლოვანი შვილებიც გამოიხმონ ევროპის პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან, ხელში ავტომატი მისცენ და წავიდნენ, უკრაინაში იომონ!**

საქართველოში ომი დამთავრდა!

საქართველოს მშვიდობის არ ეშინია!

*ჯაბა ხუბუა*

**ირაკლი ღარიბაშვილი პასუხისმგებელია საქართველოს 4 მილიონი მოქალაქის წინაშე, ნაციონალური მოძრაობა კი პასუხისმგებლობას მხოლოდ ერთი კაცის - უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის წინაშე გრძნობს!**

## კვირგვინოსნები

**ნინო გიორგობიანი**
*მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი*



ომის დროს „აირზენაში“ ვმუშაობდი და **ზუსტად მახსოვს ის ხალხი, ვინც პირადად ჩემთან რეკავდა და საქართველოდან წასასვლელ ბილეთს მთხოვდა ნებისმიერი მიმართულებით...** ბილეთს, ოღონდ მხოლოდ ერთ გზას.

„საერთო გაზეთი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



ჩვენ გვეუბნებიან, რომ **ნატოს კარი ღიაა, თუმცა, ჯერჯერობით გარეშე პირთათვის შესვლა აკრძალულია.** თუ ალიანსის ზოგიერთ წევრს ან ყველა წევრს არ სურს ჩვენი მანდ დანახვა, მაშინ გულწრფელად გვითხარით.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*



**საომარი მოქმედებები უკრაინაში რაც შეიძლება მალე უნდა შეწყდეს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ის **მსოფლიო ტრაგედიად გადაიქცევა!**

„პალიტრანიუსი“

**ლაშა ნადარეიშვილი**



# არ შერიგდება ეშმაკთან ღმერთი!

არ შერიგდება
ეშმაკთან ღმერთი,
არ შერიგდება
მგელთან ცხოვარი...
ვხედავ სამშობლოს,
ცრემლად დაღვენთილს,
უცხოა ხალხი,
ცაც უცხო არი!

დემოკრატიის
ნიღბით მოსული
კვლავ სატანაზე
არის ორსული...
მტკივა ჩოხაზე
გარდამოსული
სისხლი აფხაზთა,
სისხლი ოსური!

მითხარით,
ახლა სად აურია,
ვინც ქართლის ბედში
ხელი ურია,
ვინც ბულა თურქის
გახდა მურია,
ვინც გამიყიდა
დიოსკურია?

არ შერიგდება
ეშმაკთან ღმერთი,
არ შერიგდება
მგელთან ცხოვარი...
მოდის ეპოქა —
გულის გამხეთქი,
ქონდრისკაცების —
გასათხოვარის.

ტაძარში ისევ
აიღეს ვერცხლი —
ფასი ღალატის,
ფასი სამსალის...
მომკალით, რადგან
სამშობლოს ვერ ვცვლი,
სამოთხეს მიჯობს
კლდეები სალი!

იმერს და ამერს
ემთხვევა მთვარე —
ნამგალა ტუჩი
უფლის ხელადის...
მე ვარსკვლავები
უკვე დავთვალე
და ახლა გუმბათს
ვუმზერ გელათის!

# დღეს რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში იყოს, ყველანი მეტროში ვიქნებოდით!





*ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში სტალინი ამბობდა — მსოფლიოში ომის ორი კერა არსებობსო! ბელადი ომის პირველ კერაში ფაშისტურ გერმანიას გულისხმობდა, ხოლო მეორეში — ფაშისტურ იაპონიას!*

ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოშიც უკვე დაფიქსირდა **ომის გამომწვევი ორი კერა,** რომელმაც ისედაც ხერხემალში გადამტვრეული საქართველო გამძვინვარებულ რუსეთის იმპერიას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ უნდა შეანარცხოს, რომ **კაგებეშნიკ-ცერეუშნიკმა თემურ ალასანიამ სააკაშვილის ციხიდან გამოთრევა რუსის ჯარის მეშვეობით მაინც შეძლოს.** ამ ბინძური და სისხლიანი მიზნის მისაღწევად ნაცსექტანტმა და თხაწვერა **დავით ნებიერიძემ ომის ერთი კერა** სოციალურ ქსელში შექმნა და საქართველოს დაუძინებელი მტრების დაკვეთით ცრუინფორმაცია გაავრცელა — საქართველომ ცხინვალის მიმართულებით ტანკები დაძრა და სანგრების თხრა დაიწყოო! რაც შეეხება **ომის მეორე კერას,** იგი საქართველოს პარლამენტის წინ ჩამოყალიბდა, სადაც უკრაინის მხარდასაჭერად თავშეყრილ გულწრფელ ახალგაზრდებს შორის ჩხრიალა გველებივით დასრიალებენ **სააკაშვილის გარყვნილი და სისხლიანი სექტის აგიტატორები, ობერშტუბმანფიურერები, რაიხსმარშლები, ასინეთები, გაპონები და დოქსოპულოები...** ეს გარეწრები, რომლებიც ყოველნაირად გაკოტრდნენ და თავიანთ გარყვნილ და გაკურდღლებულ ფიურერს ვერაფერი უშველეს, ახლა ცნობილი ლიტერატურული გმირის, ფარსმან-სპარსის მსგავსად, ქვეყნის დასაქცევად და დასამხობად ილვწიან, რათა ამ ქვეყანაში დაკარგული ცრუ დიდება და პატივი იმქვეყნად მაინც აღიდგინონ და **სააკაშვილის გაპრეზიდენტებას ჯოჯოხეთში მაინც ეღირსონ!**

სწორედ ამიტომ არის, რომ პარლამენტის წინ უკრაინის მხარდასაჭერად გამართულ აქციებზე უკვე გაავრცელეს **ქართველ სატანისტთა ცნობილი ვართაპეტის, ფალოსოფოს ბიბი თევზაძის** წერილი-მოწოდება, რომლის თანახმადაც საქართველოში პუტინის მარიონეტული რეჟიმი პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს და დღევანდელი ხელისუფლება შეიცვალოს!

მეტასტაზების **ორ საშიშ კერას** ამ დღეებში დაემატა ამერიკელი ანალიტიკოსის, **ვინმე ლუკ კოფის** კიდევ უფრო სახიფათო მოწოდება — **ახლა ამერიკელებმა საქართველო კბილებამდე უნდა შევაიარაღოთ და საომრად მოვამზადოთო!**

მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება,

**თუ ხელისუფლებამ ასი თვალი და ასი ყური არ გამოისხა და თბილისსა და დანარჩენ საქართველოში მოქალათებულ ამ მავნებლებს საკადრისი პასუხი არ გასცა, გამორიცხული არ არის, უკრაინელების მსგავსად, რომლებიც მარტოდმარტო ებრძვიან რუსეთის გამძვინვარებულ იმპერიას, ჩვენც მეტროში მოგვიწიოს ცხოვრება, რომელიც საჰაერო თავდასხმის დროს თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა!**

ვდგავარ თბილისის მეტროპოლიტენის ესკალატორზე, ქვესკნელიდან ზესკნელისაკენ მოვუყვები ამ ძაღლუმადური ცხოვრების თვითმავალ კიბეს და ვიგონებ **შორეულ 1935 წელს,** როცა **ცხონებული მამაჩემი** დაიბადა, ხოლო მთელ მსოფლიოში **ასეულობით მილიონი ჩაგრულის მამამ** — დიდმა სტალინმა მოსკოვში საზეიმოდ გახსნა პირველი მეტროსადგური.

საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ **თბილისის მეტროპოლიტენიც** სწორედ დიდი ბელადის სახელთან არის დაკავშირებული. საბჭოთა კავშირში იმხანად არსებული სტანდარტის თანახმად, მეტროს მხოლოდ იმ ქალაქში აშენებდნენ, რომლის მოსახლეობაც ერთ მილიონს აჭარბებდა. ამ პირობას მაშინდელ ძლევამოსილ საბჭოთა იმპერიაში მხოლოდ სამი ქალაქი აკმაყოფილებდა — **მოსკოვი, ლენინგრადი და კიევი.** შესაბამისად, მეტროპოლიტენიც მხოლოდ ამ ქალაქებში იყო.

**მიუხედავად იმისა, რომ თბილისში იმდროს 700 ათასზე მეტი კაცი არ ცხოვრობდა, 1951 წლის სექტემბერში ლიკანში დასასვენებლად ჩამოსულმა სტალინმა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყება მაინც ბრძანა, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1966 წლის 11 იანვარს.**

ამ მართლაცდა უნიკალური სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც ურთულესი თავდაცვითი საინჟინრო კონსტრუქციაც გახლავთ, ბელადმა ქართველებს საიმედო თავშესაფარი დაგვიტოვა, აქაოდა, **თუ ცრუქაქუნა სააკაშვილისა და თხაწვერა დავით ნებიერიძის მსგავსი მოღალატეები გამოგერიოთ, ხოლო კეზერაშვილისა და თემურ ალასანიას მსგავსმა ვირთხებმა იარაღი გაგიყიდოთ, არ შეშინდეთ,** ბოლოს და ბოლოს, თავი მეტროს შეაფარეთო!

1945 წლის 2 აგვისტოს, როცა პოტსდამის კონფერენციის საბოლოო ტექსტს დახედა, სტალინმა განაცხადა — **დაე, იყოს ასე, 50 წლით მაინც იცხოვროს მსოფლიომ ამ წესრიგით!**

ესკალატორზე შემდგარი გავყურებ წარსულს და დღემდე ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეძლო სტალინმა, **უცდომლად დაესახელებინა იმ საერთაშორისო სისტემის დანგრევისა და გაცამტვერების თარიღი, რომელიც თავად შექმნა...**

უფრო მეტიც, მისი მკვლელობიდან **ზუსტად 50 წლის შემდეგ** მოვიდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ნეოფაშისტთა ემისარი სააკაშვილი, რომელმაც შევარდნაძის კვალდაკვალ საქართველო ცეცხლის ალში გახვია და ძირძველი ქართული მიწები გაანიავა.

— **ციხიდან დროებით გამომიშვით, უკრაინაში ჩავალ, სადაც სერიოზული თანამდებობა მიკავია, მშვიდობას დავამყარებ და ისევ რუსთავის ციხეში დაგიბრუნდებითო!** — მგონი, მართლაც მთელი სერიოზულობით ამბობს რუსეთისათვის ლამის ნახევარი საქართველოს მიმყიდველი, რომელმაც აგვისტოს ომში დამარცხება ხალხს გამარჯვებად შეასაღა.

პუტინი სწორედ სტალინის მიერ შექმნილი და ტუტრუცანა ხრუშჩოველების მიერ დანგრეული საერთაშორისო სისტემის აღდგენას ლამობს... სწორედ ამიტომაც არიან უკრაინელები მეტროში. **მაგრამ სტალინის სისტემა რომ აღადგინო, სტალინი უნდა იყო და ამერიკის ბანკებში რუსი ხალხის ჯიბიდან მოპარულ 3 ტრილიონ დოლარს არ უნდა მალავდე, რომელსაც როცა მოუნდებათ, მაშინ დაგიყადაღებენ ნეოფაშისტები თუ ათასი ჯურის იმპერიალისტები.**

## თხაწვერა დავით ნებიერიძე და მისთანა ნაძირალები, რომლებიც დღეს პარლამენტის შენობიდან რუსის ჯარს ნიშანს აძლევენ, ვირზე უკუღმა შესმასა და ჩაქოლვას იმსახურებენ!

რაც შეეხება **უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას და ქართველ ხალხს,** ჩვენ, შესაძლოა, მეტროში კი არა, ქვესკნელში ჩავიდეთ, მაგრამ იქიდან ასფურცელასავით გამარჯვებული და თავაწეული ამოვალთ!

***დიტო ჩუბინიძე***



**პარლამენტის წინ უკრაინის მხარდასაჭერად გამართულ აქციებზე უკვე გაავრცელეს ქართველ სატანისტთა ცნობილი ვართაპეტის, ფალოსოფოს ბიბი თევზაძის წერილი-მოწოდება, რომლის თანახმადაც საქართველოში პუტინის მარიონეტული რეჟიმი პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს და დღევანდელი ხელისუფლება შეიცვალოს!**



**მეტასტაზების ორ საშიშ კერას ამ დღეებში დაემატა ამერიკელი ანალიტიკოსის, ვინმე ლუკ კოფის კიდევ უფრო სახიფათო მოწოდება — ახლა ამერიკელებმა საქართველო კბილებამდე უნდა შევაიარაღოთ და საომრად მოვამზადოთო!**

## კვირგვინოსნები

**ბორის აკუნინი (გრიგორი ჩხარტიშვილი)**
*მწერალი*



**ბოლომდე ვერ ვიჯერებდი, რომ პუტინი წამოიწყებდა ამ აბსურდულ ომს** — ვცდებოდი. ყოველთვის მჯეროდა, რომ გონიერება საბოლოოდ გაიმარჯვებდა და ვცდებოდი. **სიგიჟემ გაიმარჯვა.**

„ფეისბუქი“

**ანდრეი მაკარევიჩი**
*ცნობილი რუსი მომღერალი*



**თითქმის ყველა რუსს უკრაინაში ჰყავს ერთი მეგობარი მაინც,** ნაცნობი ან ნათესავი და ახლა ჩვენ მათ ვესვრით. რა ხდება საერთოდ? **შეწყვიტეთ ეს სიგიჟე.**

„ნიუპოსტი“

**ლია ახეჯაკოვა**
*რუსეთის სახალხო არტისტი*



მოვუწოდებ კულტურის მოღვაწეებს, მოვიდა დრო, როცა უნდა ვილაპარაკოთ. გამოვთქვათ ჩვენი აზრი. სხვა შესაძლებლობა ჩვენ აღარ გვექნება. ტყუილი ისე იღვრება, ისე ედება ყველაფერს, უკვე სამყაროც ვეღარ უძლებს. **ყველაფერი მოვსვარეთ, დავატალახიანეთ ჩვენი სიტყვებით, ქმედებებით, კორუფციით და ამ ბინძური ურთიერთობებით ვართ ჩვენს მეზობლებთან, სამყაროსთან, ოკეანეებთან, ზღვებთან...** ჩვენ გვეჯავრებოდა უკრაინა, მე არ მესმის, რის გამო ვერ ვიტანდით უკრაინას. ჩვენ ხომ ერთად ვიბრძოდით, ყველა ჩვენ ერთად ვისხედით ბანაკებში... **და სხვათაშორის ქართველებიც, რომლებთანაც ომი დავიწყეთ. ყოველ შემთხვევაში, სახეში შევაფურთხეთ, როგორც კი შევძელით.** როდის დასრულდება ეს სიძულვილი?! სიძულვილი მათ მიმართ, ვინც ჩვენ გარშემო არიან. მხოლოდ ჩვენ ვართ თეთრი და ფუმფულები და ყველა ჩვენ გვჩაგრავს. როდის დასრულდება ეს. **ეს ძალიან ცუდად დამთავრდება...**

„AMBEBI.GE“

**ბორის ჯონსონი**
*ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი*



რუსეთი 1945 წლის შემდეგ **ევროპაში ყველაზე დიდ ომს** გეგმავს. **ვლადიმერ პუტინი** უნდა დამარცხდეს და ამის მისაღწევად საჭიროა მისი **პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაცია.**

„ბიბისი“

# ლხინი ჟამიანობის დროს



2022 წლის 26 თებერვალი.
მღერიან ქათამაძე და რაჭველი

***მაშინ, როცა რუსულ აგრესიას უკრაინის მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლე ეწირება, საქართველოში ნაციონალები და ფსევდოლიბერალები კონცერტებს მართავენ, ღია ცის ქვეშ როკავენ და ამას „უკრაინისადმი სოლიდარობად“ ასაღებენ.***

**2022 წლის 26 თებერვალს** თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე, გამართულ კონცერტზე **ნიკოლოზ რაჭველი** უკრავდა და **ნინო ქათამაძე** მღეროდა.

კონცერტის ორგანიზატორები **ელენე ხოშტარია** და **სოფო ჭყონია** იყვნენ.

**ნიკოლოზ რაჭველი** პირწავარდნილი მიშისტია!

**ნინო ქათამაძე ნიკოლოზ რაჭველზე უფრო პირწავარდნილი მიშისტია!**

**ელენე ხოშტარია ვინც არის, კარგად იცით!**

**სოფო ჭყონია** ვინ არის, თუ არ იცით, გეტყვით, რომ **თემურ ჭყონიას შვილია და თემურ ჭყონია ვინც არის, კარგად მოგეხსენებათ!**

მოკლედ, ეს კონცერტი ნაცების კონცერტი იყო!

**ეს კონცერტი ემსახურებოდა არა უკრაინისა და უკრაინელებისადმი სოლიდარობის გამოხატვას, არამედ ნაციონალური მოძრაობის პიარს!**

## საერთოდ, ნაციონალურ მოძრაობას ახასიათებს, რომ თვით ყველაზე ტრაგიკული მოვლენებიც კი საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოიყენოს. სააკაშვილის უზნეო სექტას ეს ბევრჯერ გაუკეთებია და ახლა კიდევ ერთხელ გააკეთა.

მართალია, ძველი რომაელები თვლიდნენ, რომ, **როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმან,** მაგრამ ნაციონალები ამ კანონზომიერებას არ ემორჩილებიან — **როცა ზარბაზნები ქუხან და ადამიანების სისხლი მდინარეებად მიედინება, ისინი სწორედ მაშინ მოდიან სიმღერისა და ცეკვის იშტაზე!**

**ჰოდა, იმღერეს მაშინ,** როცა უკრაინა სისხლიანი ცრემლებით ტირის!

**ჰოდა, იცეკვეს** უკრაინელი ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ცხედრებზე!

**გამართეს ლხინი ჟამიანობის დროს,** როგორც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, ლონდონში ჭირის ეპიდემიის დროს ქუჩაში გაშლილ სუფრასთან ილხენდნენ უღმერთო და ურწმუნო მოქალაქენი, რაიც აღწერილია **დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის პიესაში „ლხინი ჟამიანობის დროს“.**

ახალი არაფერი უქნია სააკაშვილის უღმერთო და ურწმუნო სექტას — **ისინი სწორედ ასე ილხენდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 2008 წლის 12 აგვისტოს, როცა ცხინვალი, ახალგორი, კოდორის ხეობა და 150 ქართული სოფელი უკვე დაკარგული ჰქონდათ, ქართველი ჯარისკაცების ცხედრები კი სამაჩაბლოს მიწაზე უპატრონოდ ჰყავდათ მიტოვებული აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ გასახრწნელად.**

კი, როცა საქართველოს პირგახსნილი ჭრილობებიდან სისხლი თქრიალით სდიოდა, ნაციონალურ მოძრაობას სწორედ მაშინ ემღერებოდა და ეზეიმებოდა!

## ამათ საქართველოსა და ქართველი ხალხის ტკივილი არ სტკენიათ და უკრაინისა და უკრაინელების ტკივილი ეტკინებათ?

ესენი საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ არასოდეს ყოფილან სოლიდარული და უკრაინასა და უკრაინელებს რა სოლიდარობა უნდა გამოუცხადონ?

**ისიც საკითხავია, საბჭოთა უშიშროების კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში დაფრთიანებული ელენე ხოშტარიას მიერ ორგანიზებული კონცერტი უკრაინის მხარდასაჭერად გაიმართა თუ პირიქით — უკრაინაში შეჭრილი კრემლის გასამხნევებლად?**



2008 წლის 12 აგვისტო.
მღერიან სააკაშვილი
და ხალვაში

## აბა, რუსეთის ფარული მხარდამჭერი და გულშემატკივარი თუ არ ხარ, რა ჯანდაბა აგამღერებს და აგაცეკვებს იმ უშველებელი უბედურების ფონზე, რაც ახლა უკრაინაში ტრიალებს!

**ლხინი ჟამიანობის დროს ნაცების ხელობაა!**

**ნაციონალური მოძრაობა თავად არის ერთი დიდი ჟამიანობა, რომელიც საქართველოში დღემდე გრძელდება!**

*ჯაბა ხუბუა*



2022 წლის 26 თებერვალი.
ხარობენ ხოშტარია
და ქათამაძე

## კვირგვინოსნები

**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



**დეგნანი ვაშინგტონში რუსებს ემალება და თუ ჩამოვიდა, იარაღს ჩამოგვიტანს, რათა ქართველები რუსებს შეგვაჯახოს!**

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



2008 წელს **ჩვენი დასავლელი პარტნიორები არ იყენებდნენ ყველა არსებულ შესაძლებლობას** — ამიტომ ვდგავართ დღეს ასეთი გამოწვევის წინაშე.

„იმედინიუსი“

**ვალერი მელაძე**
*რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი*



**გემუდარებით, შეწყვიტეთ ომი.**

„PIA“

**ვახტანგ კომახიძე**
*ჟურნალისტი*



**რუსეთი უნდა გარიცხონ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან, გაწყვიტონ მასთან დიპლომატიური კავშირები, ეკონომიკური ურთიერთობები!** რუსეთის ექსპორტი რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარია. მსოფლიომ უარი უნდა უთხრას რუსულ ექსპორტს, უნდა დაადეპორტონ რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებულ პირთა ოჯახის წევრები! **რუსეთის მოქალაქეებს უნდა ჩაუკეტონ საზღვრები! რუს ტურისტებს უნდა შეუჩერონ ვიზების მოქმედება!** პორტებმა არ უნდა მიიღონ რუსული გემები. უნდა შეწყდეს რუსეთისთვის ნებისმიერი ტექნოლოგიების და რესურსების მიწოდება!

„GTMEDIA“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



**უკრაინასა** და **საქართველოს** ორივეს **ქრონიკული დაავადება** გვაქვს, რომელსაც **რუსეთი** ჰქვია და ჯერ ვერაფერს ვუშვრებით, არც განკურნების წამალია მოგონილი.

„პირველი არხი“




## ნანა კაკაბაძე:

# საქართველოსთვის ის კი არ არის მთავარი, შეშლილი სააკაშვილი სად იმკურნალებს, არამედ ის, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ რუსეთის სამიზნე არ გახდეს!

***რა ხდება უკრაინაში და როგორ შეიძლება აისახოს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოზე? გადმოინაცვლებს თუ არა საქართველოშიც ომის ქარცეცხლი და შექმნილ სიტუაციაში როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ?*** — *„უკრაინაში გაცილებით დიდ მასშტაბებში ხდება ზუსტად ის, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მოხდა!“* — ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი უფლებადამცველმა, ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა, უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ:***

— 2008 წელს საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელმა პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანაში ის ომი განაპირობა, რომლის შედეგადაც ჩვენ ძირძველი ტერიტორიები დავკარგეთ. **თავად ხელისუფლებამ აღიარა, რომ ის ბომბავდა საკუთარ მოსახლეობას, რომ ხელი თავად მოაწერა იმ დოკუმენტს, სადაც ეს გარემოება იყო დაფიქსირებული და რუსეთს იმის საშუალება მისცა, ჩვენი კონფლიქტური ტერიტორიების „დამოუკიდებლობა“ ეღიარებინა.** ამჟამად უკრაინაში ანალოგიური მოვლენა ხდება, თუმცა, უკრაინის ხელისუფლებას რუსეთისთვის მსგავსი საბაბიც არ მიუცია. უკრაინის პრეზიდენტის **ვოლოდიმირ ზელენსკის** თითოეული განცხადება და ყველა ნაბიჯი სააკაშვილისგან განსხვავებით გათვლილია აგრესორისგან საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურად დაცვაზე, როცა დასავლეთს პრინციპულად უსვამს საკითხს — აწევრიანებენ თუ არა უკრაინას ნატოში, რომ უარის შემთხვევაში, გადარჩენის ალტერნატიული გზა მოძებნოს.

**— მაგრამ რუსეთის მხრიდან საკუთარი აგრესიის მოტივაცია ხომ სწორედ ის არის, რომ უკრაინის ხელისუფლება მარიონეტად რჩება, რომელიც ნატოს რუსეთის წინააღმდეგ ბაზების საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებას სთავაზობს?**

— კამათის საგანია, რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა უკრაინას და საქართველოს, ომი რომ აერიდებინათ. როდესაც ნატომ გამოაცხადა, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის მისი კარი იყო ღია, ამ ქვეყნებისთვის უსაფრთხოების გარანტი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ეს არ გააკეთეს. **ვიდრე ისტორია შეაფასებს, იყო თუ არა სწორი „ნატოს კარზე კაკუნის“ პოლიტიკა, ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ, როგორ დავაღწიოთ თავი ტერიტორიულ რღვევას და ვეძებოთ ალტერნატიული გზა იმისთვის, რათა ის ტერიტორიები მაინც შევინარჩუნოთ, რა საზღვრებშიც საბჭოთა კავშირის დაშლის მერე გაერომ გვაღიარა.** ფაქტია, დღეს ეს საზღვრები ირღვევა როგორც საქართველოს, ისე უკრაინის მიმართ და ჩვენს პოლიტიკოსებს მართებთ ღრმა ანალიზი, რამდენად სწორი პოლიტიკა გაატარა რეალურ მოცემულობაში საქართველომ ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

**— იმაზე ხომ არ მიგვანიშნებთ, რომ ნატომ პირობა დაარღვია და აღმოსავლეთით დაიწყო გაფართოება, ხოლო რუსეთი ამის გამო აბოჩქრდა?**

— ასე ცალსახად არ თქმულა, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა, მაგრამ როცა დასავლეთმა თავის ოჯახში შესვლა შემოგვთავაზა, პირველ რიგში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გვემოქმედა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საიმედო გარანტიები მიგვეღო. უფრო მეტიც, ჩემი აზრით, დასავლეთის შემოთავაზება რუსეთთან ვაჭრობის საგნად უნდა გაგვეხადა და იქ უპირობო გაერთიანებაზე არ დავთანხმებულიყავით. **დღეს უკვე ფაქტია, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის რღვევაში სწორედ „ნატოს კარზე კაკუნმა“ შეასრულა გადამწყვეტი როლი.** იგივე ითქმის უკრაინაზეც. ამ ქვეყანამ მარტო დონეცკი და ლუგანსკი კი არა, შეიძლება ზღვაზე გასასვლელიც დაკარგოს, რაც მისი ეკონომიკის სრულ ჩამოშლას გამოიწვევს.

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის უპირველესი ღირებულება ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება უნდა იყოს, რადგან მისი აღდგენა ომის გარეშე საკმაოდ ძნელია. სწორედ ამის გათვალისწინებით გადააფასებს მომავალში ისტორია, თუ რა შედეგი მოგვიტანა ნატოს კარზე განუწყვეტელმა და თან უშედეგო კაკუნმა. **მათ ხომ ძნელბედობის ჟამს საქართველოც და უკრაინაც გამძვინვარებულ იმპერიას უზოდიშოდ შეატოვეს.**

## ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველო არ შეუერთდება რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დასავლურ კამპანიას და ეს უკვე იმედს იძლევა, რომ

**— რა შეიძლება მოხდეს, თუ რუსეთი უკრაინასთან ომში გაიმარჯვებს?**

— კიევის დაკავება არ შედის რუსეთის გეგმებში. რუსეთის მიზანია, უკრაინას ეკონომიკური ბერკეტები წაართვას, თანაც როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ომი, რუსეთი მოგებული რჩება, რადგან მისი შიშით დასავლეთმა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება ვერ გაბედა!

**— უკრაინის შემდეგ რუსეთის სამიზნე კვლავ საქართველო გახდება?**

— ეს ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ ჩვენ დასავლეთის კი არა, ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ.

## ახლახან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა

## საქართველო რუსეთის მხრიდან ახალ აგრესიას აირიდებს.

დიახ, საქართველოსთვის ის კი არ არის მთავარი, შეშლილი სააკაშვილი სად იმკურნალებს, არამედ ის, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ რუსეთის სამიზნე არ გახდეს. ნატოში რომც შევძლოთ გაწევრება, პირდაპირ გვეუბნებიან, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე საკუთარი ნებით ვთქვათ უარი. **არადა, ნატო ჩვენ ერთადერთი მიზნით გვჭირდება — დაგვეხმაროს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში!**

**— და მაინც, რა გზა არსებობს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

— უპირველესად, დიდი სიგიჟე იყო, როცა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკებებზე უარი თქვა. სწორედ რუსეთთან დიალოგია საჭირო, რომელმაც ტერიტორიები წაგვართვა და სხვას ვის უნდა ველაპარაკოთ? **განა არ უნდა დავინტერესდეთ, რა უნდა რუსეთს იმის სანაცვლოდ, რომ ტერიტორიები დაგვიბრუნოს?** ერთი რამ ცხადია — რუსეთი არ დაუშვებს, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს. კიდევ რა პირობა შეიძლება წამოგვიყენოს, არ ვიცი, მაგრამ ამის გაგებას წინ რა უდგას? **როცა გვეცოდინება, რა სურს რუსეთს, მერე უკვე შეიძლება იმის განსაზღვრა, რისი დათმობა შეგვიძლია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ.** ეს პროცესი მანამდე უნდა დაწყებულიყო, როცა ტერიტორიები იყო კონფლიქტური, მაგრამ ასე არ მოვიქეცით და შედეგიც სახეზეა! სააკაშვილის რეჟიმი არათუ დიალოგზე წავიდა, რუსეთის გაღიზიანების სამარცხვინო და სასაცილო პოზიცია აირჩია, თუმცა, გაღიზიანებული რუსეთისგან თავის დასაცავად შარვლის ჩახდის გარდა, არანაირი რესურსი არ გააჩნდა!




**— მაპატიეთ ამ შეკითხვისთვის, მაგრამ ქრონიკულმა ცილისმწამებელმა და თვითგამოცხადებულმა ჟურნალისტმა ელისტრაკო კილაძემ პოსტი მოგიძღვნათ, სადაც სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ალტერნატიული გზის ძიების გამო ყარა ტლინკები და სააკაშვილს უსაყვედურა, „შენ რა გითხარი მიშა, ეს ქალი ციხეს რომ არ ხეხავსო“.**

— არანაირი სურვილი არ მაქვს, პოლიტიკურ მეძავს პასუხი გავცე. ცხადად ჩანს, რომ სააკაშვილის მომხრეები ისევ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების რეპრესიაზე ოცნებობენ. ეს უკვე საქართველოს გუშინწინდელი დღეა და კიდევ კარგი, უკვე დასრულებულია. **ჯობს, იმაზე ვიფიქროთ და ვიზრუნოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება უკეთ იყოს დაცული ახალი განსაცდელისგან და ის ტერიტორიები, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ რუსეთს გადააბარა, როგორღაც დავიბრუნოთ!**

*ესაუბრა* ***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*



რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა მათთვის, ვინც შეიძლება ცდუნდეს და მიმდინარე პროცესებში გარედან ჩაერიოს. **ვინც უნდა შეეცადოს, ხელი შეგვიშალოს და უფრო მეტიც, შეუქმნას რაიმე საფრთხე ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, უნდა იცოდეს, რომ რუსეთის პასუხი იქნება დაუყოვნებლივი და მიგვიყვანს ისეთ შედეგებამდე, რაც აქამდე თქვენი ისტორიის განმავლობაში არასდროს გამოგიცდიათ.** ჩვენ მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის მზად ვართ. ყველა აუცილებელი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით უკვე მიღებულია. იმედი მაქვს, რომ ჩემი ნათქვამი გაგონილი იქნება.

„პალიტრანიუსი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**ჩვენ ვუწესებთ სანქციებს ორ ყველაზე დიდ ფინანსურ ინსტიტუციას** — VTB-ს და სამხედრო ბანკს. რუსეთის სუვერენულ ვალზე ყოვლისმომცველ სანქციებს ვაწესებთ. **ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვწყვიტეთ რუსეთის ხელისუფლება დასავლეთის ფინანსებს.** დასავლეთისგან აღარ შეეძლებათ ფულის მოზიდვა და აღარ შეეძლებათ ახალი ვაჭრობა ჩვენსა თუ ევროპულ ბაზრებზე. **ჩვენ ვუწესებთ სანქციებს რუსეთის ელიტას და მათი ოჯახის წევრებს.** ისინი იზიარებენ კრემლის პოლიტიკის კორუფციულ თამაშებს და ასევე უნდა გაიზიარონ ტკივილი.

**პუტინმა** აირჩია ომი, მსოფლიო **პასუხს აგებინებს** რუსეთს.

„ახალი თაობა“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



კარგად ვიცნობ **პუტინს** და **ჩემი ადმინისტრაციის პირობებში ის არასოდეს იზამდა იმას, რასაც ახლა აკეთებს.**

„პრაიმტაიმი“

*პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო, საკუთარი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდება, უკრაინიდან გამოეხმაურა რადას დეპუტატი ალექსეი გონჩარენკო, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურს ამუნათებს — შეგიძლია, უკრაინაში არასოდეს ჩამოხვიდეო! ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას სამარცხვინოსა და კაპიტულანტურს უწოდებს ნაცოპოზიციაც, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს ჩააბარა! სწორედ ამ თემაზე ვესაუბრებით ყოფილ სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას:*





# გოგა ხაინდრავა:

# გონჩარენკოვ, არც საქართველო და არც ირაკლი ღარიბაშვილი თქვენი სალაპარაკო არ არის - მიხედეთ თქვენს ჩასვრილ საქმეს!

— 50-მილიონიანი ქვეყნის დედაქალაქს მტერი სულ რაღაც ერთ დღეში რომ მიადგება, გონჩარენკოსა და მისნაირებს, წესით, ბევრი სალაპარაკო არ უნდა ჰქონდეთ. საერთოდ, ქვეყანას, რომელიც ტაკიმასხარა და დამნაშავე სააკაშვილს რეფორმების ჩატარებას მიანდობს და პრეზიდენტის კაბინეტის გვერდით კაბინეტს გაუხსნის, ის დაემართება, რაც ახლა უკრაინას ჭირს. უკრაინის ხელისუფლებას მაშინ არ ახსოვდა, რომ საქართველო მეგობარი ქვეყანაა, როცა არამარტო ქართველი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენ სააკაშვილს სხვადასხვა თანამდებობაზე ნიშნავდა? კაცი, რომლის რეჟიმის წარმომადგენლებიც პატიმრებს აუპატიურებდნენ და ციხის მორგში გვამებზე აბამდნენ, თქვენი ხელისუფლების ნაწილად რომ გაიხადეთ, მაშინ რატომ არ ფიქრობდით მეგობარ საქართველოზე, გონჩარენკოვ?! ასე რომ, არც საქართველო და არც ირაკლი ღარიბაშვილი თქვენი სალაპარაკო არ არის, მიხედეთ თქვენს ჩასვრილ საქმეს!

**— ზურაბ ადეიშვილი უკრაინაში დღემდე თანამდებობაზეა!**

— ადეიშვილი, რომელსაც პირდაპირი გაგებით, ქართველი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, გენერალური პროკურორის მრჩევლად რომ დანიშნეს, მაშინ უნდა ეფიქრათ **კოლექტიურ გონჩარენკოებს,** რას უკეთებდნენ მეგობარ საქართველოს! ჩვენ მართლა უკრაინის მეგობრები ვართ, მაგრამ ეს გონჩარენკოები ვისი მეგობრები არიან, ძალიან მაინტერესებს!

> „ადეიშვილი, რომელსაც პირდაპირი გაგებით, ქართველი ხალხის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, გენერალური პროკურორის მრჩევლად რომ დანიშნეს, მაშინ უნდა ეფიქრათ კოლექტიურ გონჩარენკოებს, რას უკეთებდნენ მეგობარ საქართველოს!“

**— ნაცსექტა და მისი მოკავშირე პარტიები სამარცხვინოს და კაპიტულანტურს უწოდებენ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას, საქართველო არ შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნების მიერ დაწესებულ სანქციებს. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— **რა სანქციები უნდა დაუწესოს საქართველომ რუსეთს, ეს ხომ სასაცილოა?! ჯერ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც მართლა აქვთ სანქციების დაწესების თავი, რა სანქციები დაუწესეს მოსკოვს?** რუსული ტანკები არიან კიევში! — აი, მათი სანქციების შედეგი. ორი თვის განმავლობაში მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა — დღეს შეიჭრება რუსეთი უკრაინაში, ხვალ შეიჭრება, ზეგ შეიჭრებაო და ამ ორი თვის განმავლობაში არ შეიძლებოდა ისეთი რამის მოფიქრება, რომ რუსეთი არ შეჭრილიყო უკრაინაში და ეს უბედურება არ დაეტრიალებინა, რასაც ახლა ვუყურებთ?

**როგორც ჩანს, ქართველ ფსევდოპატრიოტებს ავიწყდებათ, რომ რუსული ტანკები 2008 წლის შემდეგ თბილისიდან 35 კილომეტრში დგანან და 45 წუთი სჭირდებათ ჩვენს დედაქალაქში შემოსასვლელად.** მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობა და მთელი ეს ვაიპატრიოტები შარვალჩახდილები დახვდებიან რუსულ ტანკებს, მაგრამ მაგათი შიშველი უკანალები არ უშველის ქართველი ხალხის უბედურებას.

მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, მოვითხოვ საქართველოს ხელისუფლებისაგან — ასჯერ გაზომოს და ისე გადადგას ნებისმიერი ნაბიჯი, რადგან ვხედავთ, რომ უკრაინა სრულიად მარტო დატოვეს გავეშებული დათვის პირისპირ!

**— მაინც რის მიღწევას ცდილობენ ნაცები და მათი ანასხლეტები, რომლებიც ასეთ მძიმე და სახიფათო ვითარებაშიც კი პროვოკაციული შოუების დადგმით არიან დაკავებული?**

— **ლიკა ხოშტარია, მიხეილ სააკაშვილი, სალომე სამადაშვილი,** „კაგებეს“ გენერალი **თემურ ალასანია,** რუსი ოლიგარქი **კობა ნაყოფია, ნიკანორ მელია, გია ბარამიძე** — ესენი არიან რუსეთის „მეხუთე კოლონა“, რომლის მთავარი ფუნქციაა, საქართველოში მოამზადოს პლაცდარმი რუსული აგრესიისათვის. ეს „მეხუთე კოლონა“ ყველა ღონეს იხმარს, რათა შექმნას საბაბი რუსეთის შემოჭრისათვის, როგორც ეს 2008 წელს გააკეთეს, მაგრამ იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება ამას არ დაუშვებს.

ნაციონალური მოძრაობის — ამ გამყიდველი და დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** „სერგო ორჯონიკიძეს“ ეძახის ირაკლი ღარიბაშვილს მაშინ, როცა **ნამდვილი თანამედროვე სერგო ორჯონიკიძე — მიხეილ სააკაშვილი,** რომელმაც საქართველოდან გაყვანილი რუსული ჯარი უკან შემოიყვანა, რუსთავის საპყრობილეში უზით!

**— როგორ ფიქრობთ, ის ფინანსური და ეკონომიკური სანქციები, რომლებსაც რუსეთს, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო უწესებს, რამდენად ეფექტიანი იქნება კრემლის აგრესიის დასაოკებლად?**

— ეკონომისტი არ ვარ და ვერ გეტყვით, სამომავლოდ რა ეკონომიკური ეფექტი ექნება ამ სანქციებს, მაგრამ ამ ეტაპზე ვხედავთ, რომ რუსული სამხედრო მანქანა ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოს მთელი დასავლეთისა და ნატოს თვალწინ ტკეპნის, ამ დროს კი დასავლური სამყარო არც მწვადს წვავს და არც — შამფურს, დიპლომატიურ ურთიერთობასაც არ წყვეტს აგრესორთან, რომელიც მზად არის, მთელი ევროპა გადაყლაპოს და მხოლოდ სანახევრო სანქციებს უწესებს რუსეთს, მაგრამ ფაქტია, რომ პუტინს ამ სანქციებისა და თითის ქნევის არ ეშინია.





**— ასეთ ვითარებაში რამდენად სწორია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, უკრაინისადმი პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერით შემოიფარგლოს და ზედმეტი თავგამოდებით კრემლი არ გააღიზიანოს?**

— საქართველოს ხელისუფლებას უკავია ერთადერთი სწორი და გონივრული პოზიცია იმ საფრთხის პირობებში, რომლის წინაშეც ახლა ჩვენი ქვეყანა დგას! ვიმეორებ — რუსული არმადა თბილისიდან 35 კილომეტრში იმყოფება!

> „ქვეყანას, რომელიც ტაკიმასხარა და დამნაშავე სააკაშვილს რეფორმების ჩატარებას მიანდობს და პრეზიდენტის კაბინეტის გვერდით კაბინეტს გაუხსნის, ის დაემართება, რაც ახლა უკრაინას ჭირს!“

**რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ბიბილოვის განცხადებას — ჩვენი შეიარაღებული ძალები სრულ მზადყოფნაში მოვიყვანეთო!**

ვინმეს შეხსენება სჭირდება, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ვისი შეიარაღებული ძალები დგას და ვისი ჯარია მოყვანილი საბრძოლო მზადყოფნაში? ყველას უნდა გვესმოდეს, რომ უმძიმესი განსაცდელის წინაშე ვდგავართ, რადგან არავინ იცის, საით შეტრიალდება აგრესორი, რომელიც ახლა უკრაინის დაპყრობას ლამობს. ფრთხილად ვიყოთ, გონიერებას მოვუხმოთ და საკუთარ თავზე მაღლა ახტომა არ ვცადოთ!

**ყველაზე მთავარია, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში ირაკლი ღარიბაშვილის სახით დგას გონიერი კაცი, რომელსაც სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილებების მიღებაც შეუძლია და აღსრულებაც, განსხვავებით ლაჩარი და სამარცხვინო სააკაშვილისაგან, რომელმაც 2008 წელს ლამის ნახევარი საქართველო რუსეთს ჩააბარა!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



ალბათ, პირველად ცხოვრებაში საჯაროდ მივმართავ სააკაშვილის მხარდამჭერ პარტიებს, ორგანიზაციებსა და, რაც მთავარია, მედიას: **მოგიწოდებთ მაქსიმალური კორექტულობისკენ, რუსეთის ლანძღვა-გინება, განსაკუთრებით ახლა, არანაირ სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას,** მოგვიტანს მხოლოდ უბედურებას!

„აიპრესი“

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



15 წლით არის დაგვიანებული ის, რაც დღეს კეთდება — **როდესაც რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა, სანქციები კი არ დაუწესდა,** ანალიზი დაიწყეს, ვინ დაიწყო ომი და ვისი ბრალი იყო.

„პალიტრანიუსი“

**იგორ დოლგოვი**
*საქართველოში უკრაინის ელჩი*



მოლაპარაკების დრო დასრულდა, **ჩემს სახელმწიფოში ომი დაიწყო** — თავიდანვე გასაგები გახდა, რომ ეს არ არის სამშვიდობო ოპერაცია, როგორც **პუტინს** უნდოდა, ყველასთვის ეჩვენებინა — **ეს არის ნამდვილი ომი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ურსულა ფონ დერ ლაიენი**
*ევროკომისიის პრეზიდენტი*



**რუსეთის სამიზნე არ არის მხოლოდ უკრაინა,** სამიზნე არის სტაბილურობა ევროპაში და მთელი საერთაშორისო წესრიგი, **პრეზიდენტ პუტინს ამისთვის პასუხს ვაგებინებთ.**

„პირველი არხი“

# «სხვის ომში რატომ



***— ხდება ის, რასაც ვამბობდი! — აცხადებს პროფესორი, პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა. თუ რა პროგნოზს აკეთებდა, მათ შორის, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან, რისი მიღწევა სურს მეხუთე კოლონას და რა პოზიცია უნდა დაიკავოს რუსეთ-უკრაინის ომის დროს საქართველომ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ:***

## ლალი მოროშკინა:

## ის, რასაც ირაკლი ღარიბაშვილი აკეთებს, არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა!

— დედამიწაზე ახალი გადანაწილების გლობალური პროცესი მიდის, რასაც წინ ე.წ. პანდემია უძღოდა. როდესაც ვამბობდით — პანდემია არის ბიოლოგიური ომი, გეგმის ნაწილი და ეს პროცესი სამხედრო ჩარევით დასრულდებაო, გიჟებს გვეძახდნენ — რაღაც თეორიებს იგონებთო. აღმოჩნდა, მართალი ვყოფილვართ! პანდემიით ხალხის დემორალიზაცია დაიწყეს, რაც საბოლოოდ სამხედრო ჩარევით დასრულდა. **ასე ხდება ისტორიულად, 100 წელიწადში ერთხელ, როდესაც პანდემია ცხადდება, ბოლოს მსოფლიოს გადანაწილებით მთავრდება.** საუკუნის წინათაც, როდესაც პანდემია გამოცხადდა, გერმანიამ თავისი ემისარი ლენინი წარგზავნა და წითელი რევოლუცია მოხდა.

**— ამჯერად რას უნდა ველოდოთ?**

— არაერთხელ მითქვამს, **გზები, რომელიც საქართველოში გაჰყავთ და 2024 წლისთვის უნდა გაიხსნას, არ კეთდება ქართველებისთვის, ეს არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზა, სადაც სერიოზულმა ტვირთებმა უნდა გაიაროს.** ვისი ტვირთი გაივლის, ვის რა წილი ექნება, ახლა სწორედ ამის გადანაწილება ხდება. გაიხსენეთ, **ბაიდენის** ე.წ. წამოცდენა — შეიჭერით, ოღონდ, ბოლომდე არაო. **პუტინისთვის,** რომელიც ამ საჭადრაკო დაფაზე სერიოზული მოთამაშეა და კარგი მადა აქვს, მცირე შეჭრა ასეთი აღმოჩნდა. ბიოლოგიური ომი ჩინეთიდან წამოვიდა. მან დაუკვეთა მუსიკა. მისი სახით პოლიტიკურ ველზე მთავარი ფიგურა, ახალი მოთამაშე — ჩინეთი შემოვიდა და ღიად გაურიგდა რუსეთს, **ანუ ჩინეთი, რუსეთი და ამერიკა თავიდან ინაწილებენ მსოფლიოს.** ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღმოსავლური სიბრძნე იხმარა და უკვე ჩავიდა მოსკოვში მოსალაპარაკებლად — რა ნაჭერი ერგება აბრეშუმის გზის გადანაწილებიდან.

**— თქვენი აზრით, როგორ დასრულდება ე.წ. გადანაწილების პროცესი?**

— **ზელენსკი** დაუბრუნდება თავის პატრონებს შესრულებული დავალებით და მილიარდიანი ქონებით. უკრაინიდან ლომის წილი იქნება რუსეთის. პატარა ნაწილი შესაძლოა, ევროპასაც ერგოს. ტაივან-ჩინეთი მორიგდებიან. ამერიკა ვერ გაუძლებს იმ წნეხს, რომელიც შესაძლოა, ჩინეთიდან წამოვიდეს.

**წინ საინტერესო პროცესები გველის, ოღონდ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მოვლენები თითოეული ჩვენგანის ნერვულ სისტემაზე გადის. ამიტომ მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება.**

**— უკვე ხმამაღლა საუბრობენ პუტინის მიერ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე. აქვე ამბობენ, შემდეგი სამიზნე საქართველო იქნებაო.**

— საქართველო შემდეგი კი არ იქნება, **2008 წელს სწორედ ჩვენი ქვეყნიდან დაიწყო ეს ყველაფერი!** შეიძლება, ვინმეს ეცოტავება, მაგრამ ფაქტია, რომ დამატებით დავკარგეთ ტერიტორიები. ახალგორი და კოდორი, თბილისის შემოგარენი და რამდენიმე ქალაქი მოსკოვისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. **თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული ტანკები დგას. ჩვენი დამცველიც არავინ იქნება.** ის განცხადებები, რომელიც დღეს უკრაინის მხარდასაჭერად ნატოს, ამერიკისა და ევროპელი ლიდერების მიერ კეთდება, არ არის საკმარისი.

მიუხედავად სიმაღლეში სხვაობისა, **ზელენსკი** და **სააკაშვილი** ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. როდესაც უკრაინის პრეზიდენტი ქვეყანას აქეზებდა, გადასარევად იცოდა, რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა თავისი ქვეყანა.

მარტივად იშიფრება ეს სქემა. გაიხსენეთ, ვინ ჰყავდათ უკრაინის მთავრობაში — ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებლები, **საქართველოს მოღალატე პრეზიდენტი** და ბევრი ის პირი, რომელიც ხელისუფლების მიერ იძებნებოდა. **ზურაბ ადეიშვილი** დღესაც იქ არის. ზუსტად იგივე პროექტი განხორციელდა უკრაინაში **მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით საყვარელიძისა და ხატია დეკანოიძის** მონაწილეობით. მათ გაათამაშეს ნაცადი კარტი. **ზელენსკიმაც** თავისი მისია ხუთიანზე შეასრულა. დააკვირდით კიდევ ერთ ფაქტს, რატომღაც ისე მოხდა, რომ ბოლო თვეებში უკრაინის პრეზიდენტი არნახულად გამდიდრდა, ვილების და მილიარდების პატრონი გახდა. **ძალიან მტკივა უკრაინელი ხალხის ტკივილი, უბრალოდ, სამწუხაროა, რომ 46-მილიონიან ქვეყანაში ეს კლოუნი აირჩიეს პრეზიდენტად.**

**— არ ფიქრობთ, რომ ომის დროს ზელენსკის სააკაშვილზე ღირსეულად ეჭირა თავი?**

— არ ვეთანხმები ამ პათოსს. მჯერა და მიყვარს უკრაინელი ხალხი, რომელიც უგუნურმა პირველმა პირმა ძალიან ცუდ თამაშში შეათრია, გული მეგლიჯება მათი უბედურებით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — **ზელენსკიმ ძალიან კარგად იცოდა, საით მიაქანებდა ამ ადამიანებს.** ჩემთვის მეომარი იყო **ჟიული შარტავა,** რომელმაც აღმოკიდებული აფხაზეთი არ დატოვა, ჩემთვის გმირები არიან ჩვენი ბიჭები, რომლის ცხედრებიც პატრიარქს გამოჰქონდა სამაჩაბლოდან, შინდისის ბიჭები, **გიორგი ანწუხელიძე** და ბევრი სხვა. ასეთ გმირებზე ვდგავართ და ვინ უნდა გაგვაკვირვოს?! **ზელენსკი არის ადამიანი, რომელსაც უკან დასახევი გარანტირებული აქვს, განსხვავებით უკრაინელი ხალხისგან, რომელიც ძალიან დიდხანს მოუნდება ჭრილობების მოშუშებას.**




შეიძლება, ბევრს არ ახსოვს, მაგრამ არსებობს კადრები, სადაც **მსახიობი ზელენსკი** საქართველოს დროშაზე და 2008 წელს გორის დაბომბვაზე „ღადაობს“. ამას გულისტკივილით ვამბობ. ეს სამარცხვინო კადრებია და ყველა უნდა დაფიქრდეს თავის შეცდომებზე.

**— ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენს მოძმე, ომში მყოფ უკრაინას განსაკუთრებული თანადგომა არ გამოვუცხადოთ?**

— უპირველეს ყოვლისა, **უკრაინა ჩვენი მოძმე არ არის. მოძმე სლავები — ბელარუსი და რუსეთია უკრაინისთვის.** ერთია თანადგომა და მეორე — ომში ჩაბმა. სხვის ომში რატომ უნდა წავიდეთ? გაიხსენეთ, 2008 წელს როგორი გუგუნი იყო უკრაინაში. ნაკლებად მახსოვს იქ გამოფენილი ქართული დროშები. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს უკრაინაში და ომის პარალელურად ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა ამ დროს ჩვენ ირგვლივ. საქართველოსთვის ახლა ომში ჩაბმა გენოციდის ტოლფასი იქნება. ორი თაობა ომმა შეიწირა, მესამე თაობის განადგურებას ერი ვეღარ გაუძლებს. **დღეს ჩვენი ერთადერთი მოვალეობაა, მშვიდად, წყნარად და დიპლომატიურად გავიაროთ გლობალისტების გამოწვევა — ახალი გადანაწილების პერიოდი.**

**— როგორც ჩანს, არ იზია-**




## კვირგვინოსნები

**რაულ ჩილაჩავა**
*უკრაინაში საქართველოს ყოფილი ელჩი*



**უკრაინა და საქართველო ჰგვანან მდიდარ და ძლიერ ცოლიან მამაკაცზე შეყვარებულ რომანტიკოს გოგონებს,** რომლებსაც ეს მამაკაცი გაურკვეველ დაპირებებს აძლევს, ამასობაში კი მათ ჩასაფრებული ბოროტი ხულიგანი ცემითა და მოკვლით ემუქრება. თვალმისაწვდომ მომავალში არც ევროკავშირისა და **არც ნატოს წევრობა ჩვენს ქვეყნებს არ ელოდებათ.**

„კვირის პალიტრა“

**ხათუნა ლაგაზიძე**
*ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში*



**უკრაინასაც** და **საქართველოსაც** ნატო სჭირდებათ მაშინ, როდესაც მათ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება, თორემ უკვე ოკუპირებულ **უკრაინას** და **საქართველოს** ნატო რაღას უშველის?!

„კვირის პალიტრა“

**დიმიტრი პესკოვი**
*ვლადიმერ პუტინის პრესმდივანი*



**რუსეთი პირველი არასდროს არავის დასხმია თავს** და ამდენი კონფლიქტის გადამტანს, არც კი სურს, წარმოთქვას სიტყვა **„ომი“.**

„რეზონანსი“

**მაქსიმ გალკინი**
*შოუმენი*



დილიდან ვუკავშირდები ოჯახს და მეგობრებს უკრაინიდან! **სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რას ვგრძნობ!** როგორ შეიძლება ეს ყველაფერი! **ომის გამართლება არ შეიძლება!** არავითარი ომი.

„PIA“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



**პუტინმა** რუსეთის ისტორიის ნარატივი შეცვალა. მან **ლენინი** ჩამოაგდო, გაათახსირა, გააცამტვერა და წინ წამოსწია **სტალინი.**

„ახალი თაობა“

# უნდა წავიდეთ?!»

## „ძალიან მტკივა უკრაინელი ხალხის ტკივილი, უბრალოდ, სამწუხაროა, რომ 46-მილიონიან ქვეყანაში ეს კლოუნი აირჩიეს პრეზიდენტად!“



**რებთ, ჰერიტიჯის ფონდის წარმომადგენლის ლუკ კოფის განცხადებას, რომელიც საქართველოს დასაცავად გააკეთა — სანამ რუსეთი საქართველოში შეჭრას გადაწყვეტს, დროა, დავიწყოთ მისი კბილებამდე შეიარაღებაო.**

— ვინც დღეს მსგავს განცხადებას აკეთებს, ჩვენი ქვეყნისთვის კარგი არ უნდა! კიდევ ერთხელ შევახსენებ ყველას — უკრაინა წლების განმავლობაში იფარებდა ჩვენს ბრალდებულ პრეზიდენტს. თავიდანვე ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, ჩვენ რომ თავმოყვარე ქვეყანა ვიყოთ, წესით, უკრაინასთან დიდი ხნის წინათ უნდა გაგვეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა. ყველა, ვინც დღეს საქართველოს პროვოკაციებში ჩათრევისკენ უბიძგებს და ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ აქეზებს, არის მეხუთე კოლონა.

საქართველოში მეხუთე კოლონას ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენს. ეს ის ხალხია, რომელსაც უშიშროების მაღალჩინოსანი **ბრიგოლ ვაშაძე** სურდა პრეზიდენტად, თვითონაც ყველას რუსეთში აქვს დამთავრებული უნივერსიტეტი. **გვარი კი მაქვს რუსული, მაგრამ ნამდვილად არ მქონია ისეთი მჭიდრო კავშირი რუსეთთან, როგორც მათ აქვთ.** პროვოკაციული განცხადებებისთვის, ვფიქრობ, უკვე დასჯილებიც უნდა იყვნენ. ნებისმიერი პროვოკაცია, მათ შორის, მასმედიიდან, აღკვეთილი უნდა იყოს! თუ ჩვენ არ გავაკეთებთ ამას დღეს, მომავალში უკრაინაში აუცილებლად დადგება მათი გასამართლების საკითხი.

**— გამოდის, სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ, როცა ნეიტრალიტეტი არჩია?! ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამ ლამის ომის მოვლენებიც გადაფარა. ყველაფრის მკადრებელმა ოპოზიციამ ქართველი ხალხის სირცხვილიც კი უწოდა...**

— **მაშინ შვეიცარიელებიც მოღალატეები ყოფილან, მეორე მსოფლიო ომში რომ არ ჩაერთნენ და სუვერენიტეტი შეინარჩუნეს.** რაღაც არ გამიგია, ვინმეს ეთქვას, შვეიცარიელები მოღალატეები არიანო?! პრემიერმა იცოდა, მეხუთე კოლონა რომ დაიწყებდა მასზე თავდასხმებს, მაგრამ მაინც თქვა ის, რაც უნდა ეთქვა. **ირაკლი ღარიბაშვილს არანაკლები თავდასხმებისთვის გაუძლია, როგორმე ამასაც გაუძლებს. დღეს რასაც პრემიერი აკეთებს, არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა!**

## „ზუსტად იგივე პროექტი განხორციელდა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით საყვარელიძისა და ხატია დეკანოიძის მონაწილეობით. მათ გაათამაშეს ნაცადი კარტი!“



ყველა კონფლიქტში შუამავლის როლი უნდა დავიკავოთ, ისევე მოვიქცეთ, როგორც ბულგარეთი, უნგრეთი და სხვა ჩვენისთანა პატარა ქვეყნები იქცევიან — არ აქტიურობენ, რათა ცეცხლის ქვეშ არ აღმოჩნდნენ.



ჩვენ რატომ უნდა შევიდეთ ცეცხლში, ისედაც გამწყდარი ვართ წელში, სამი მილიონიღა დავრჩით. 46-მილიონიანი უკრაინა შეძლებს ფეხზე დადგომას, სამმილიონიან საქართველოს კი ძალიან გაუჭირდება!

ეს ტრაგიკული ფილმი ნანახი გვაქვს. ჩვენ ჩვენი ბიჭები ვმარხეთ, ახლა წითელი ხიდისკენ გამქცევთა პროვოკაციებს არ უნდა ავყვეთ, ფრთხილად უნდა გავიაროთ დანის პირზე, მშვიდობა და გონიერება გვმართებს, რომ ხვალ საქართველოს ცაზეც არ გამოჩნდნენ ბომბდამშენები!

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***



## „უკრაინა წლების განმავლობაში იფარებდა ჩვენს ბრალდებულ პრეზიდენტს. თავიდანვე ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, ჩვენ რომ თავმოყვარე ქვეყანა ვიყოთ, წესით, უკრაინასთან დიდი ხნის წინათ უნდა გაგვეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა!“

### კვირგვინოსნები

**ემზარ კვიციანი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**მე ქართველი ვარ და ვამაყობ ქართველობით** იმიტომ კი არა, რომ **სააკაშვილი, ბოკერია** და ნაცმო არიან ქართველები, არამედ იმიტომ, რომ **სტალინის, ბერიას** და სახელოვანი მეფეების ერის წიაღში დავიბადე და გავიზარდე ქართველად.

„აიპრესი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი*



2008 წელს საქართველოში შემოჭრის შემდეგ **რუსეთი არ დასჯილა,** ამიტომაც ისინი შეგულიანებულები არიან, იმოქმედონ იგივე სცენარით.

„აიპრესი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილის** საბრალო სექტის სოლიდარობა აბსოლუტურად უადგილოა! **არაუნის ტრაილერით საქართველოში შემოპარვით სააკაშვილს სურდა სიტუაციის მაქსიმალურად აყირავება**, ე.წ. ანტირუსული გამოსვლების ორგანიზება და მტრის ხელახლა პროვოცირება.

„იმედინიუსი“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



მოსკოვმა დაიწყო **რუსეთის იმპერიის აღდგენა,** შემდეგ რიგში საქართველოა, კაცობრიობა კი **მესამე მსოფლიო ომის** წინაშეა.

„აიპრესი“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**ნაციონალებს** თავის გამოჩენის საშუალება ჰქონდათ რუსეთთან დაპირისპირებისას, მაგრამ **ბრძოლის ველიდან კუდამოძუებული გაიქცნენ** და მიატოვეს სამშობლო და თანამებრძოლები.

„იმედინიუსი“

# მალხაზ თოფურია: ნატოს „წალკოტი“ საქართველოს არ სჭირდება!



*საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ყველა ომში ნაბრძოლ ვეტერანს, ვიცე-პოლკოვნიკ მალხაზ თოფურიას ნაცდიაცმა — ვინმე ნონა მამულაშვილმა პირდაპირ ეთერში „რუსეთის აგენტი“ უწოდა და ნაცების ბუნაგში წინასწარ დაგეგმილი სპექტაკლის მიხედვით, სიმბოლურად 30 ვერცხლი შეაყარა. მალხაზმა ნაცდიაცს შეურაცხყოფა არ გაუტარა და რისხვის ნიშნად წყლით სავსე ჭიქა მის მახლობლად კედელს შეალეწა. რას ემართლებიან ნაცები მალხაზ თოფურიას? მან 33 საზოგადოებრივი ორგანიზაციის ლიდერთან ერთად ხელი მოაწერა „პატრიოტთა ალიანსის“ ინიციატივით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი გაგზავნილ მიმართვას, რომელშიც გამოთქმულია მისწრაფება, საქართველო გახდეს პოლიტიკურად ნეიტრალური ქვეყანა, სადაც არც ნატოსა და არც რუსეთის ბაზები არ იქნება.*

**მალხაზ თოფურია:** — დიახ, ჩვენ, ამ მემორანდუმზე ხელმომწერ ორგანიზაციებს, მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა დაასრულოს ნატოს კარზე გაუთავებელი კაკუნი და უარი უთხრას ამ სამხედრო ალიანსის შეიარაღებული ძალების საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებას. ამასთან ერთად, ვაცხადებთ, რომ **საქართველოში არც რუსეთის ბაზები არ უნდა იყოს.**

**— მაგრამ რახანია, საქართველო ნატოს კარზე აკაკუნებს. რატომ ხართ ნატოს ქოლგის ქვეშ ყოფნის წინააღმდეგი?**

— ჩვენ ვისწრაფვით, საქართველო დემილიტარიზებულ ქვეყნად გადავაქციოთ, სადაც არცერთი უცხო ქვეყნის, მათ შორის, რუსი ჯარისკაცებიც აღარ დადგამენ ფეხს. სხვათაშორის, ნატოს თავად არ გააჩნია ჯარების ჩვენთან ჩაყენებისა და რუსეთთან ღია სამხედრო დაპირისპირებაში შესვლის სურვილი. **მათთვის უპრიანია, რუსების წინააღმდეგ ქართველები და უკრაინელები წააქეზოს და ერთმანეთს შეაკლას, არათუ საკუთარი ჯარისკაცები.** ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენი ქვეყანა აღარ გაეხვიოს ვიღაცის დაგეგმილ ავანტიურაში, რაც ჩვენს სახელმწიფოებრიობას საბედისწერო შედეგებს მოუტანს. ჩვენი ოთხი მეზობელი ქვეყანა პირდაფჩენილები ელოდებიან, რათა საქართველოს ტერიტორია ერთმანეთში გადაინაწილონ, ამიტომ ნატოს „წალკოტი“ საქართველოს არ სჭირდება!

**— გამოდის, რომ გადაწყვიტეთ, საქართველოს გადასარჩენად სხვა გზა გამოგეძებნათ...**

— იმ ტყუილს, თითქოს ჩვენ ნატომ უნდა გადაგვარჩინოს, დროა, წერტილი დაესვას.

## როგორც კი ნატოსკენ მისწრაფება ახალ ფაზაში გადავა, საქართველოს ტერიტორიაზე მაშინვე გაჩაღდება სეპარატიზმის ახალი ხანძარი, რომელიც საბოლოოდ რუსეთის მხრიდან „დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების აღიარების“ მსგავსად ჩვენს ქვეყანაში ახალ-ახალი სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარებას მოიტანს!

გარწმუნებთ, ჩვენთვის ერთადერთი გამოსავალი **ნეიტრალიტეტის** გამოცხადებაშია! ვინც ასე არ ფიქრობს, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ვინც ამის გამო „მოღალატეებს“ გვიწოდებს, ყველას საკადრისი პასუხი გაეცემა!

**— მაგრამ რამდენად რეალურია, ნეიტრალიტეტის გამოცხადება, როცა ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ბაზებია განლაგებული?**

— ვფიქრობ, ეს იდეა განხორციელებადია. 2005 წელსაც იყო რუსებისა და ამერიკელების ერთობლივი მისწრაფება, საქართველოში ანტიტერორისტული ცენტრი შეექმნათ და ნეტავ მართლაც ასე მომხდარიყო! ასეთ შემთხვევაში ჩვენ გავხდებოდით დაპირისპირებულ მხარეთა შორის არა ბრძოლის არენა, არამედ დიპლომატიური შეხვედრების ასპარეზი და არც 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყებოდა. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუნდაც ერთ მსგავს ტრაგედიას ჩვენი ქვეყანა ვეღარ გადაიტანს!

**— კონკრეტულად, რა საფრთხე შეიძლება დაგვატყდეს?**

## „საქართველომ უნდა დაასრულოს ნატოს კარზე გაუთავებელი კაკუნი!“







— ჩვენ, „პატრიოტთა ალიანსი“, არ ვართ პრორუსული პარტია, როგორც ამას ვიღაც პრიმატები გვიწოდებენ. **თავად ნაციონალური მოძრაობა გახლავთ რუსეთის იმპერიის ყველაზე სანდო მოკავშირე, რადგან მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ განწყობის მიზეზებს პროვოკაციულად უქმნიან და ცდილობენ, რუსეთთან ომის პროვოცირებას ნებისმიერი საშუალებით მიაღწიონ.** მათგან განსხვავებით ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთი რუსეთიდან მოსალოდნელი აგრესიისგან ვერ და არ დაგვიცავს. ამისი მკაფიო მაგალითია უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, რასაც დასავლეთი სანქციების მეტს ვერაფერს უპირისპირებს, რუსეთს კი სანქციები არ აშფოთებს. ასეთ ფონზე, წარმოიდგინეთ, რა ელის საქართველოს, თუ აქაური მედასავლეთეები შარვლის ჩახდას განაგრძობენ ან გორის ტრასიდან კილომეტრნახევარში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებისკენ თუნდაც სანადირო თოფიდან გაისვრიან!

## ჩვენ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ მოძმე უკრაინელებს, ოღონდ მხოლოდ ჰუმანიტარული ასპექტით. მაგალითად, შევთავაზოთ დაჭრილი ჯარისკაცების საქართველოს სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იარაღის ან მეომრების საბრძოლველად გაგზავნა!

მიუღებელია ისტერიული სიგიჟეების დემონსტრაციაც, რასაც ნაცები ხშირად გამიზნულად სჩადიან!

**— მაგრამ უკრაინაში ხომ ქართველებიც იბრძვიან?**

— ძალიან მინდა, სამშობლოში თითოეული მათგანი ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდეს. საბედნიეროდ, უკრაინაში საომრად გამგზავრება მათი პირადი გადაწყვეტილებაა და არა ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალური ნება და პოზიცია.

## „ზონდერებით დაკომპლექტებულ ნაცპარტიაში ჩემთან საჩხუბრად კაცი ვერ იპოვეს და დატრენინგებული დიაცი გამომიგზავნეს!“

**— ერთ-ერთი ასეთი მეომრის დამ პირდაპირ თქვენთვის პერფორმანსის ჩატარება სცადა და ეთერში მაგიდაზე ხურდა ფული მოგიპნიათ... რისი თქმა სურდა უნიჭო ტელეწამყვანის დას?**

— ამდენი ზონდერისგან დაკომპლექტებულ ნაცპარტიაში კაცი რომ არ მოინახა ჩემთან საჩხუბრად, დატრენინგებულ ქალს დაევალა ჩემი წყობიდან გამოყვანა. ნამდვილად არ ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ ვხედავდი, გადაცემის მანძილზე მესიჯებს რომ იღებდა პირად ტელეფონზე, თუ რა უნდა ელაპარაკა. **ეს არის ნაციონალური მოძრაობის მორიგი სირცხვილი, რომ მამაკაცთან დებატებში ქალს აგზავნიან, რომელიც ოპონენტს პირად შეურაცხყოფას აყენებს.** ვისმენდი მის შეურაცხყოფას და ვნატრობდი, მის ადგილზე მამაკაცი ყოფილიყო. **მე ჭიქა მისთვის არ მისროლია, კედელს შევახეთქე, რაც ჩემგან იყო სიმწრით გამოწვეული რეაქცია, რადგან ჩემს ჯანმრთელობასაც კი შეეხო.**

მერე შევიტყვე, რომ ამ გოგონას ჩემამდეც ჰქონია იმავე ტექსტებით პირდაპირ ეთერში მსგავსი ისტერიული გამოვლენა. **მინდა, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან შევუთვალო, რომ მე პირადად მასთან არ მაქვს პრეტენზია, არამედ ვერჩი იმ ნაცნაცირალებს, ვინც ოპონენტებთან დასაპირისპირებლად ასეთ უკადრის მეთოდებს იყენებენ.** როცა ამ სიტუაციისგან გასარიდებლად სტუდიიდან გასვლა დავაპირე, მას უკარნახეს, რომ დაგეგმილი პერფორმანსი უვარდებოდა, ამიტომ სასწრაფოდ წამოდგა და მაგიდაზე სპეციალურად წამოღებული ხურდა ფული დამიპნია, აქაოდა, 30 ვერცხლიაო. **პასუხად ყველას დედა მოვუკითხე, ვინც ეს გოგონა ამ უზნეობისთვის მოამზადა და სტუდია დავტოვე.**

## ბევრჯერ მიომია და ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში ომი კვლავ დაიწყოს, ისევ ჩემნაირები იბრძოლებენ, ამ გოგონას პატრონები კი წითელი ხიდისკენ გაიქცევიან!

**— თქვენ გამოიარეთ აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და 2008 წლის აგვისტოს ომები. რომელიმე თანამედროვე ნაცი თუ გინახავთ ბრძოლის ველზე?**

— ნაციონალური მოძრაობის ჩემი თაობის წევრებიდან ფრონტის ხაზზე მხოლოდ **გიგა ბოკერია** მინახავს. ვნახე **გიორგი ბარამიძეც,** რომელიც კი არ ომობდა, ტელეკამერების თანხლებით დადიოდა და პიარს იკეთებდა.

**— ვის თვლით საქართველოს მტრად?**

— საქართველოს მტერია **აღგილობრივი მეხუთე კოლონა ნაცების სახით.** როდესაც „პატრიოტთა ალიანსისა“ და საფრანგეთის პრეზიდენტის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, როცა ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერთან იდენტურ პოზიციას ვახმოვანებთ და ისინი პუტინის აგენტებს გვეძახიან, თავად გამოდიან მოსკოვის აგენტები! **ვითომ საომრად იქაჩებიან, მაგრამ ჩემთან საკამათოდ კაცები დაელიათ, ქალები რომ არ გამოგზავნონ?** იმედი მაქვს, საქართველო აიცილებს ახალ ომს. ჩვენ არ ვართ ისეთი ბრძოლისუნარიანები, რომ რუსეთს ომში ვაჯობოთ, ხოლო უკრაინელ ხალხს ვუსურვებ, მალე გამოსულიყოს იმ ომიდან, რომელიც დამკვეთის გარდა, არავის სჭირდება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



უკრაინა. 2022 წლის თებერვალი.

# ხათუნა ხოფერია: ამ ომში ჩვენი შვილები არ უნდა ჩაებან!



***მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაზე სამხედრო იერიში მიიტანა და ქართველმა ხალხმა უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობა გამოხატა, საკითხი ასე დადგა — რა უნდა მოიმოქმედოს საქართველომ, როცა რეგიონში ომია და ბევრი ამ ომს 2008 წლის სცენარსაც ადარებს? როგორც ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია ამბობს, არავისთან ვალში არ ვართ. ერთადერთი, რაც ახლა უნდა გავაკეთოთ — ენას კბილი დავაჭიროთ:***

— ბოლო ორი წელია, მსოფლიოში წესრიგი იცვლება. ჯერ დიდი ბრიტანეთი გავიდა ევროკავშირიდან, მანამდე საბერძნეთმა გამოთქვა პრეტენზია... პრაქტიკულად, ევროპის ყველა ქვეყანამ დააფიქსირა სრულიად განსხვავებული პოზიცია. **ამერიკის შეერთებული შტატები ევროპის დაკარგვის და ნატოს გადარჩენის ფაქტის წინაშე დადგა, შესაბამისად, რუსეთის საზღვრებთან შემცვლელი სახელმწიფოების წარმოქმნის საშიშროება გაჩნდა.** ამ პროცესში დაფარული არაფერი ყოფილა. პუტინმა თავის გამოსვლაში, ფაქტობრივად, თქვა, რომ შედეგი იქნებოდა ისეთი, როგორიც არის. რუსეთი რის რუსეთია, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიეღო?!

**— მსოფლიომაც არ დააყოვნა რეაქცია...**

— გახსოვთ, ალბათ, 2008 წელს აკვატორიაში შემოსულმა გემმა წყალი და პამპერსები რომ ჩამოგვიტანა. ეს იყო ყველაზე დიდი ცინიზმი ჩვენი ქვეყნის მიმართ. დღეს უკრაინის დასაცავადაც სიტყვებით შემოიფარგლა ამერიკა, ნატო და ევროპა. სრულიად არაადეკვატურია შეერთებული შტატების დაძინებული, არაფრის მაქნისი პრეზიდენტი.

**რუსეთს ეკონომიკური სანქციებით ვერ შეაშინებ. სასაცილოა, როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჯარების ნაწილები შეჰყავთ და დღენახევრის სამყოფ იარაღს აძლევენ, სასაცილოა ბაიდენის უსუსური განცხადებები — ჩვენ ვერ ვიომებთ, მაგრამ მხარს გიჭერთო. აი, ამ რეალობის წინაშე დგას დღეს მსოფლიო!**

ამავდროულად,

**უკრაინა არის სახელმწიფო, რომელმაც ჩემი ქვეყნის მტრები შეიფარა – მიხეილ სააკაშვილი თავის კრიმინალურ ბანდასთან ერთად. როდესაც მათ გადმოცემას ვითხოვდით, წლების განმავლობაში უკრაინის მხრიდან დასაცინი ობიექტი ვიყავით.**

დიახ, ხარხარებდნენ ჩვენს ამ მოთხოვნაზე, მეტიც, ქართველ კრიმინალებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებმაც საქართველოს მოსახლეობა, სახელმწიფო დააზარალეს, უკრაინის წამყვან პოსტებზე ნიშნავდნენ. დღესაც თანამდებობაზეა უკრაინაში **ადეიშვილი.** დღემდე არ წყდება ქართველი ხალხის დაცინვა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან.

**— ამით რისი თქმა გსურთ, არ უნდა დავუდგეთ გვერდით უკრაინას?**

— მიყვარს უკრაინა, ბავშვობა ლამის იქ მაქვს გატარებული, ჩემი მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს, მაგრამ არა მათ, ვინც ჩემი ქვეყნის დამაქცევრები შეიფარა! არავის ვალი არ გვაქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ — ერთმა მხარემ ტერიტორიები წაგვართვა და ჩვენი შვილები ჩახოცა, ხოლო მეორემ — ამ პროცესში მონაწილე დამნაშავეები ჩაიხუტა, თანამდებობები მისცა, ფული აშოვნინა და ამ ფულის არჩევნებში გამოყენების საშუალება მისცა! **კეთილი ინებონ და ერთმანეთში ჩვენ გარეშე დალაგდნენ. ეს პრობლემა არის უკრაინა-ამერიკის მოსაგვარებელი, გარკვეულწილად ჩინეთისაც. იმის გამო, რომ ვილაცას გულზე მჯიღის დარტყმა სურს და ვილაცას — პასუხისმგებლობისგან გაქცევა, ამ ომში ჩვენი შვილები არ უნდა ჩაებან!**

დღეს მთავარი და უმნიშვნელოვანესი არის ჩვენი სამშობლო და მისი სიმშვიდე. ამისთვის ხელისუფლებამ ჭკუა უნდა იხმაროს, შეძლოს იმ პოზიციის არჩევა, რომელიც ჩემს ქვეყანას და მოსახლეობას დაიცავს. **მეთიუ ბრაიზას** მსგავსი მოწოდებები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმისგან იკვებებოდა, არის პროვოკაცია! თურმე, საქართველომ მსოფლიოს უნდა შეახსენოს 2008 წლის ომი, უნდა დავიძრათ და ჩავებათ ამ პროცესში — ეს არის ცეცხლზე ნავთის დასხმა და მცდელობა იმისა, რომ საქართველო მხარე გახადონ.

ასეთი შეკითხვა მაქვს — 2008 წლის ომის დროს რატომ არ ატყდა ანალოგიური ამბავი, რატომ არ შემოიყვანეს ჯარები სომხეთში, აზერბაიჯანში, როგორც ახლა ბალტიისპირეთის ქვეყნებში შეჰყავთ ტექნიკა? **გაეროს გენერალურმა მდივანმა ყველა პროტოკოლი რომ დაარღვია და პუტინის შეფასებები გააკეთა, 2008 წელს რატომ არ დაარღვიეს ეს პროტოკოლი? რატომ არ იყო მსოფლიოს დამოკიდებულება ანალოგიური?**

**— თქვენ რას ფიქრობთ?**

— უბრალოდ, გაგვიმეტეს! რუსეთს თავის საზღვართან ოსეთის მხრიდან სიმშვიდე რომ ჰქონოდა, ადგნენ და მისცეს დამატებით ტერიტორია. ამ შეთანხმების მონაწილე სააკაშვილიც იყო, პუტინიც, ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტიც და გაეროც. ახლა თამაშის წესები შეიცვალა. სულერთია, შეადარებენ თუ არა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს 2008 წელს, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა და სამშობლო. **ეს უნდა მოხდეს ომის გარეშე. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს!**

ისინი, ვინც მკაცრი რეზოლუციის მიღებას ითხოვენ რუსეთის წინააღმდეგ, არიან კრეტინები, აჟიტირებულები, სკამს გამოკიდებულები და ციხეში გამოსამწყვდევები. პირიქით — ჩვენ ხელისუფლებას უნდა ვუთხრათ, რომ შეინარჩუნოს სიმშვიდე და უზრუნველყოს მშვიდობა საქართველოში! სხვა მოვალეობა მათ ამ ეტაპზე არა აქვთ.

**— თქვენი აზრით, მიდის ამ გზით ხელისუფლება?**

— საქართველოს პრემიერ-მინისტრს **ირაკლი ღარიბაშვილს** ძალიან საღი პოზიცია აქვს! აქვე მადლიერება მინდა, გამოვხატო **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ — ნახევარი მსოფლიო იარაღს რომ აჟღარუნებს მეორე ნახევრის შესაშინებლად და ჩვენ ამ დროს წყნარად გვძინავს, სააკაშვილი დაბინავებული გვეგულება და ვიცით, რომ ვერაფერს არევს, უკვე დიდი საქმეა.

**— თუმცა, ქვეყნის შიგნით სიტუაციის არევის მცდელობა მაინც არის. სულ ახლახან სააკაშვილმა უვადო შიმშილობა გამოაცხადა და საზღვარგარეთ მკურნალობას ითხოვს.**

— აბსოლუტურად ვეთანხმები საქართველოს პრემიერს **ირაკლი ღარიბაშვილს** — კაცი ციხეში ზის და აღარ გვინდა ამ თემაზე ლაპარაკი. რაც უნდა, ის გააკეთოს — თუ უნდა, იშიმშილოს, თუ უნდა, პირი ამოიკეროს და ისე მიეჯაჭვოს გისოსებს. **სააკაშვილი თავის სასჯელს მოიხდის!** რაღა დროს მასზეა საუბარი?!

**სააკაშვილი აღარ არსებობს, მორჩა, პოლიტიკურად დასრულებულია!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# „დღემდე არ წყდება ქართველი ხალხის დაცინვა უკრაინის ხელისუფლების მხრიდან!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



რატომ ჩამოვიდა **სააკაშვილი** საქართველოში? რატომ ჩამოჰყვა რამდენიმე დღეში „კაგებეს“ ოფიცერი **თემურ ალასანია?!** იმიტომ ხომ არა, რომ **ფსევდოანტისაოკუპაციო მოქმედებებით** უფრო დიდ პროვოკაციებში გავხვეულიყავით?!

საქართველოს ისტორიაში რაც კი ოპოზიცია არსებობდა, **დღევანდელი ოპოზიციის რეიტინგი ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.**

„იმედინიუსი“

**ალექსი პეტრიაშვილი**
*პოლიტიკოსი*



„ქართულ ოცნებას“ ძალიან მძიმე დღეები დაუდგება, შეიძლება, **შუბლით დაეჯახოს პუტინს.** უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემთხვევაში, **პუტინს საკუთარი უახლოესი გარემოცვის ოლიგარქატი გამოუტანს განაჩენს.**

„ახალი თაობა“

**დმიტრი გოლუბოვი**
*რადას მე-8 მოწვევის დეპუტატი*



**ოდესაში ყოფნის დროს სააკაშვილი იპარავდა ფულს საქველმოქმედო ფონდიდან, რომელსაც ავსებდნენ მსხვილი ბიზნესმენები.** როგორც არ უნდა იტიროს, რასაც არ უნდა დაგპირდეთ, მან უნდა აგოს პასუხი ყველა იმ საქმისთვის, რაც ჩაიდინა. არცერთ უკრაინელ ოფიციალურ პირს საერთოდ არ დაუსახელებია გვარი სააკაშვილი და ის, რომ ჩვენ მოვითხოვთ მის დაბრუნებას უკრაინაში. **უკანასკნელი 4 თვეა, გვარი სააკაშვილი საერთოდ არ ისმის უკრაინის ტელევიზიებში.**

„TV იმედი“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



დღის წესრიგშია **მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენა,** რადგან ის არის საფრთხის ქვეშ.

„ინტერპრესნიუსი“

# მწარე დადგენილება,

## რომელმაც ზუსტად 50 წლის წინათ შეცვალა საქართველოს უახლესი ისტორიის მდინარება!



ვასილ მჟავანაძე რიწის ტბაზე საბჭოთა პარტიულ ელიტასთან ერთად



СССР

კომუნი...

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 56 (15...

სკკპ ცენტრალურ კ...

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

# 22.02.2022

***1972 წლის თებერვალი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში ისეთი გარდამტეხი აღმოჩნდა, რომ მის შედეგებს ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვიმკით. 22 თებერვლის დადგენილებამ „სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ თავდაყირა დააყენა არამარტო იმჟამინდელი პოლიტიკური ელიტის ცხოვრება, არამედ რიგითი ადამიანებისაც. აქედან იღებს სათავეს შევარდნაძის მიერ წარმოებული ნეგატიურ მოვლენებსა და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის ოპერაცია, რომელიც შემდეგ კორუფციასთან ბრძოლის სახელით სააკაშვილმა გააგრძელა.***

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ალღო **1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების** გამოსვლამ დაადასტურა, ვინაიდან მან ამ დადგენილების შესრულება ჯერ კიდევ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის პერიოდში დაიწყო. ერთ-ერთი პირველი, ვისაც მან შეუტია, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი **ოთარ ქავთარაძე** იყო, რომლის სავარძელიც შევარდნაძემ 1965 წელს დაიკავა. მართალია, მას ქავთარაძე არ დაუჭერია, მაგრამ ის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობიდან ჯერ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემდე ჩამოაქვეითა, მერე — კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილემდე და შემდეგ — საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილემდე. ბოლოს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტი იყო, დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1992 წლის მაისში.

**ედუარდ შევარდნაძემ მასობრივი და სისტემური დაჭერები დაიწყო საქართველოს ცეკას პირველ მდივნად დანიშვნისთანავე, პირველ ხუთ წელიწადში დააპატიმრა 30 ათასი ადამიანი და ერთი ამდენი სამსახურიდან დაითხოვა.** განსაკუთრებით იერიში მიჰქონდა მათზე, ვისაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვში პოლიტბიუროს წევრებთან და პარტიულ ელიტასთან. 1970 წელს დაიჭირა სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის ხელმძღვანელობა და მისი თანამშრომლები: **შალვა ჭეიშვილი, ლაშა მაცაბერიძე, ოთარ ლაზიშვილი, გიორგი მენაბდე, გიორგი ბაღდასაროვი, მოსე მებრელიშვილი, ლამარა გაბრიაძე, ამალია კაზარიანი, გურამ შალიბაშვილი, გურამ გურგენიძე, აბრამ კაკიაშვილი, ლალი ქუთათელაძე, ნიკოლოზ ამირანაშვილი, როზალია გრებენშჩიკოვა, რევაზ ჩიგოგიძე, სიმონ ჩიჯავაძე, სიმონ ბინიაშვილი, მიხეილ უმიკაშვილი, ქოთილა მუმლაძე, ზაურ მერკვილაძე, რომან სოლოღაშვილი, ცოტნე ყუფარაძე** და სხვები. ამათგან 15 წელი მიუსაჯეს ლაშა მაცაბერიძეს, გიორგი ბაღდასაროვს, შალვა ჭეიშვილსა და ოთარ ლაზიშვილს.

შევარდნაძის მიერ განხორციელებული რეპრესიების საჩვენებელი მაგალითი იყო საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის **ნიკოლოზ ჯავახაძის** დაკავება, რომლის დახვრეტაც ვერ გაბედა, რადგან მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. მექრთამეობაზე დაიჭირა და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გაუკეთდა ქონების კონფისკაცია.

შევარდნაძეს თვალში არ მოსდიოდა ცეკავშირის ფინანსური სიძლიერე და, რაც მთავარია, მისი ხელმძღვანელის კავშირები მოსკოვის პარტიულ ელიტასთან. შევარდნაძისთვის უკვე საკმარისი იყო, რომ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის განსახორციელებლად **ნიკოლოზ ჯავახაძე** რეპრესიებში მოეყოლებინა. მას ბრალად წაუყენეს საკუთარი თანამშრომლისგან **მიხეილ ახვლედიანისგან** ქრთამის მიღება 8 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო თავად ახვლედიანს ბრალად დასდეს ცეკავშირის სისტემაში არსებული დიდი ქონების დატაცება. **ბედის ირონიით, თავის სასამართლო პროცესზე ჯავახაძემ ახვლედიანი ცეკავშირის სისტემაში არსებული თანხების მითვისებაში არ დაადანაშაულა. იმ პერიოდისათვის იგი 65 წლის იყო. სასამართლო პროცესი გაიმართა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში.** ეს იყო საჩვენებელი დასჯა და ეს სადამსჯელო ღონისძიებები გაგრძელდა 1985 წლის ივლისამდე, სანამ ედუარდ შევარდნაძე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად არ დანიშნეს.

ნიკოლოზ ჯავახაძის სასამართლო პროცესისა და მისი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა 1974 წლის 1 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“.

### ბოლოთქმა

რუსული ენიდან „постоновление по горкому“ ქართულად ითარგმნება როგორც „დადგენილება საქალაქო კომიტეტის შესახებ“. მაგრამ, თუკი სიტყვა „გორკომში“ „მიაგკი ზნაკს“ შევიტანთ, გამოვა „постоновление по горькому“ და **„მწარე დადგენილებას“** მივიღებთ. საქართველოსთვის ეს დადგენილება რეალურად „постоновление по горкому“ კი არა, არამედ „постоновление по горькому“ იყო, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ ასე გულმოდგინედ შეასრულა!

***ქეთევან ხამიჩაშვილი***

## კვირგვინოსნები



**დავით უსუფაშვილი**
*პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე*

როდესაც **ივანიშვილი** პრემიერობიდან მიდიოდა, ერთი ძალიან კარგი ბოთლი ღვინო გახსნა, ვისხედით ოთხნი: ახალარჩეული პრეზიდენტი — **მარგველაშვილი,** ახალდანიშნული პრემიერი — **ღარიბაშვილი,** მე — პარლამენტის თავმჯდომარე და მიმავალი **ივანიშვილი.** პირველი შეისვა ქვეყნის წარმატების და ასე შემდეგ. მეორეზე კი დაგვარიგა მამაშვილურად, თუ როგორც იტყვიან, მთავარი მისი სათქმელი იყო, რომ **არავითარ შემთხვევაში ამერიკელებმა და ევროპელებმა რომელიმე თქვენგანი არ გამოგიჭიროთ ორმაგ თამაშში,** ანუ არ დაკარგოთ მათი ნდობა, ეგ იქნება დასასრულიო.

„პალიტრანიუსი“



**ირმა ჩქადუა**
*ადვოკატი*

**დღეს საქართველოში ევროპული ტიპის საპატიმრო დაწესებულებაშია,** რომელიც როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. **რომელ საზღვარგარეთ მკურნალობაზეა საუბარი, კამერაში ვერ ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს ვერ ელაპარაკებოდნენ.**

„TV იმედი“



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*უფლებადამცველი*

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **ოპოზიცია კი არა, ქვეყანაში, საერთოდ, პოლიტიკური პროცესი აღარ არსებობს, მკვდარია.** ამ ძალებს, რასაც თქვენ ოპოზიციას უწოდებთ, სინამდვილეში მხოლოდ სახელწოდება დარჩათ. **ჩვენ გვყავს ე.წ. 15 პოლიტიკური გეიპარტია.** სიმბოლურია, რომ ეს 15 პარტია, პირობითად, ცალკე სუბიექტებად განიხილება. სინამდვილეში, ყოველი პარტიის ლიდერი ნაცმოძრაობას უკავშირდება.

„საერთო გაზეთი“



**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*

**სააკაშვილს** ახლა ნამდვილად აქვს შიმშილობის მიზეზი, რადგან **ის თავის პარტიას, პრაქტიკულად, ჩამოაშორეს.**

„იმედინიუსი“

# ПОСТАНОВЛЕНИЕ ПО ГОРЬКОМУ

*„25 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც ვასილ მჟავანაძეს შევხვდი, ეს იყო საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული, საოცრად კეთილი კაცი“,* ***— ამბობს საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ მარგველაშვილი და იხსენებს 1972 წელს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მიერ ცეკას პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯებს:***



— **„პოსტანავლენიე პო გორკომუ“,** ანუ 1972 წლის დადგენილება **„სკკპ 24-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“,** საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში მიღებული იყო ედუარდ შევარდნაძის დიდი მეცადინეობის შედეგად. ის მაშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ **მიხეილ შჩოლოკოვთან** დაახლოებული პირი გახლდათ. ამ კაცის მხარდაჭერითა და ამ დადახვრეტის საქმეებს იმას აწერდა. შევარდნაძემ არც ებრაელები დაინდო და დიდძალი ქონება ჩამოართვა. მოკლედ, ვინც კი შევარდნაძეს კარიერულ წინსვლაში ხელი შეუშალა, არავინ დაზოგა, ვის რა ჰქონდა მიწაში, ის იცოდა!

**— შევარდნაძემ ნეგატიურ მოვლენებთან დაიწყო ბრძოლა...**

# 22.02.2022

## ომარ მარგველაშვილი: შევარდნაძე ნეგატიურ მოვლენებს ამოეფარა, იცოდა, ვის რა ჰქონდა მიწაში!



— ის ამ ნეგატიურ მოვლენებს ამოეფარა და წინ წაიწია. ის შჩოლოკოვის „ლუბიმჩიკი“ იყო, რომელსაც იმათ ძვირფას საჩუქრებს (ფერწერულ ტილოებს, კედლის დიდ საათებს) ჩუქნიდა, ვისაც ქონებას კონფისკაციის შედეგად ართმევდა. დასტურებულ ინფორმაციას გიამბობთ და არა ყურმოკრულ ამბავს — **როდესაც ვასილ მჟავანაძე 70 წლის ხდებოდა, შევარდნაძემ სწორედ შჩოლოკოვის დახმარებით დაიკავა მისი ადგილი!**

**— ვასილ მჟავანაძე გადადგომას აპირებდა?**

— ვასილ პავლოვიჩს საქართველოში საქმე შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი, მიმდინარეობდა აღმშენებლობითი სამუშაოები, უყვარდა თავისი ქვეყანა და მის ფარგლებს გარეთ დასასვენებლადაც კი არ მიდიოდა. ჩერდებოდა ლიკანში, საირმეში, წყალტუბოში... უხაროდა, როცა ქართველ კაცს წელში გამართულს ხედავდა... ერთხელ ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა უთხრა — წყნეთიდან მოვდიოდი, უამრავი სააგარაკე სახლი შენდება, გამოსარკვევია, ხალხს ფული და მასალები საიდან მოაქვსო? მჟავანაძემ ხმა ჩააწყვეტინა — აშენებენ, საქმეს ხომ არ აფუჭებენ, ხალხს რატომ ერჩიო? **ქალაქგარეთ რესტორანს რომ დაინახავდა, ვინც თან ახლდა, იმათ ეტყოდა — ჩვენ ხომ არც მშივრები ვართ, არც გვწყურია, მაგრამ მივიდეთ, დავლოცოთ და გავახაროთ, დრო არ დაგვეკარგებაო.** ასეთი იყო ვასილ მჟავანაძის პოლიტიკა, რომელსაც საქართველო სიგიჟემდე უყვარდა!

**— როგორ არჩევდა კადრებს ვასილ მჟავანაძე ან შევარდნაძე?**

— მჟავანაძე დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობასა და განათლებას. ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სახეებს წარმოადგენდნენ, სასიამოვნო შეხედულებისაც უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი იყო **ოთარ ლოლაშვილი,** ახალგაზრდა, ლამაზი კაცი, რომელიც შევარდნაძემ თავისზე წინ არ გაუშვა. **მან მჟავანაძის კადრები საერთოდ მოიშორა, მათ შორის იყვნენ როინ მეტრეველი და გივი ჯავახიშვილი.** გაუგებრობებიც ხდებოდა — მაგალითად, **შოთა ჭანუყვაძემ** რამდენჯერმე მოატყუა და ცეკას მდივან**გიორგი გეგეშიძეზე** უთხრა, მოსკოვში იმიტომ დადის, ძირი უნდა გამოგითხაროსო. მოკლედ, ეს ბრძენი კაცი დააეჭვა და გეგეშიძე ცეკას მდივნობიდან ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორად გადაიყვანეს. გეგეშიძე სიმპათიური მამაკაცი იყო, კულტურული, დედა რუსი ჰყავდა, სამწუხაროდ, ბოლოს დაბრმავდა. ის დღევანდელი **გეგეშიძის ბაღთან** ახლოს ცხოვრობდა ვაკეში, იქ, სადაც ახლა კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი დგას. ყოველ საღამოს მეგობარი აკითხავდა და ვაკის პარკში გვიანობამდე სეირნობდნენ.

რაც შეეხება შევარდნაძეს, ის უპირატესობას ანიჭებდა **ბუ-რულებს,** ვინც თვალში არ მოსდიოდა, გვერდზე სწევდა. ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა **მიხეილ გოგიჩაიშვილმა** ნერვიულობის ნიადაგზე 1973 წელს თავი მოიკლა. კიდევ რამდენიმემ ზუსტად ასევე დაასრულა სიცოცხლე, მაგალითად, 1974 წელს ჩემი მეგობრის სიმამრმა, ცეკას მდივანმა **ბორის გიგიბერიამ...**

**— ვასილ მჟავანაძეს პირველად როდის შეხვდით?**

— 25 წლის ვიყავი, როდესაც მადნეულმშენის სამმართველოს უფროსად დამნიშნეს. ტრესტის მმართველი გახლ-

**„მჟავანაძე დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობასა და განათლებას.** ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სახეებს წარმოადგენდნენ, სასიამოვნო შეხედულებისაც უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი იყო **ოთარ ლოლაშვილი,** ახალგაზრდა, ლამაზი კაცი, რომელიც **შევარდნაძემ თავისზე წინ არ გაუშვა!“**

**„ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა მიხეილ გოგიჩაიშვილმა ნერვიულობის ნიადაგზე 1973 წელს თავი მოიკლა. კიდევ რამდენიმემ ზუსტად ასევე დაასრულა სიცოცხლე, მაგალითად, 1974 წელს ჩემი მეგობრის სიმამრმა, ცეკას მდივანმა ბორის გიგიბერიამ!“**





გაგრძელება მე-14 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ლუკა კურტანიძე**
*მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მოჭიდავე*



ერთხელ, როდესაც **ბატონ ბიძინას** ვეუბნებოდი, რომ შეუძლებელი იქნებოდა იმ ადამიანებთან თანაარსებობა, რომლებიც მუდმივად რევდნენ სიტუაციას, მიპასუხა, უნდა შევძლოთო! **სწორედ ეს იყო შეცდომა!** პოლიტიკური ველიდან თავიდანვე უნდა გაეყვანათ ეს პარტია, უფრო მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო, **რამდენიმე ათეული ადამიანისთვის განაჩენი უნდა გამოეტანათ. ასეთი სასტიკი რეჟიმის შემქმნელი და დანაშაულის ჩამდენი პარტია უნდა აკრძალულიყო!** საქართველოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ექაჩებიან, უნდათ, საქართველო მხარედ გამოჩნდეს, მაშინ, როცა ლამის ხელის გაწვდენაზე გვაქვს რუსეთის სამხედრო ბაზა.

„კვირის პალიტრა“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **მსჯავრდადებულ მიხეილ სააკაშვილის** ჩრდილიდან და მისი შანტაჟიდან ვერ გამოდის.

„TV იმედი“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ბევრი საქართველოს ორი პერსონით იცნობს — **სტალინით** და **სააკაშვილით... შევარდნაძეც** იციან, მაგრამ ის ახალი თაობისთვის უცნობია.

„TV პირველი“

**ჯარჯი ნიკოლაური**
*პროკურორი*



ბრალდების მხარე ყველაფერს გავაკეთებთ, რომ **ყველამ აგოს პასუხი მძიმე ბრალდებებზე,** რაც 7 ნოემბრისთვის აქვთ წარდგენილი.

„რეზონანსი“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნახევარი მსოფლიო იარაღს რომ აყოლარუნებს და **ჩვენ წყნარად რომ გვძინავს და მიშა დაბინავებული გვეგულება,** აი, ამისთვის **ჩემი მადლიერება ივანიშვილს!**

„ალია“

# ПОСТАНОВЛЕНИЕ ПО ГОРЬКОМУ

დასაწყისი მე-13 გვერდზე

დათ არაჩვეულებრივი პიროვნება **შალვა ბარდაფხაძე** — მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კაცი. ვერავინ გაბედავდა, მისი დავალება არ შეესრულებინა. ამ მშენებლობის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა **ვასილ მჟავანაძე,** ობიექტზე ის სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრ **პეტრე ლომაკოსთან** ერთად მოვიდა. სკკპ 24-ე ყრილობის დირექტივები საქართველოში მხოლოდ ორი ობიექტის — **მადნეულის სამთო-გამამდიდრე**შემომთავაზა, მაგრამ უკან დავიხიე, ვინაიდან ამ ახალგაზრდებს შორის ხშირად დაპირისპირებები ხდებოდა და საქმეში ხელი შეგვეშლებოდა. ამიტომ მჟავანაძეს ვუთხარი —**სჯობს, პირობითად მსჯავრდებულები მოიყვანოთ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ იმუშაონ-მეთქი.** ჩემი აზრი მოეწონა და გადამეხვია.

არასოდეს დამავიწყდება მასთან ბოლო შეხვედრა ლიკანში, უბრალო პიჟამა და ფეხსაცმენია, ტელევიზიის შენობა, სპორტის სასახლე, სტადიონი „ქარიშხალა", გალაკტიონისა და ბარათაშვილის ხიდები, ონკოლოგიური საავადმყოფო, გაშენდა ვაკის პარკი, გაიჭრა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზა... დამტკიცდა თბილისის განვითარების გენერალური გეგმა, დაიდგა ქანდაკებები — ქართვლის დედა, ვახტანგ გორგასალი, დავით გურამიშვილი... ვასილ მჟავანაძის წყალობით დახურვას გადაურჩა კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. არნახული წარმატებები მოიპოვა კულტურამ და მეცნიერებამ, სპორტმა. აშენდა სა-





„გაუგებრობებიც ხდებოდა — მაგალითად, **შოთა ჭანუყვაძემ** რამდენჯერმე მოატყუა და ცეკას მდივან **გიორგი გეგეშიძეზე** უთხრა, მოსკოვში იმიტომ დადის, ძირი უნდა გამოგითხაროსო. **მოკლედ, ეს ბრძენი კაცი დააეჭვა და გეგეშიძე ცეკას მდივნობიდან ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორად გადაიყვანეს!"**

# 22.02.2022

22.02.2022



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ —

1972

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ

## ომარ მარგველაშვილი:

# მჟავანაძე ბრძენი კაცი იყო, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე. ურთულეს პერიოდში გამოიყვანა საქართველო მძიმე მდგომარეობიდან, ქართველები სამშობლოდან აყრასა და გადასახლებას გადაარჩინა!

**ბელი კომბინატისა და ენგურის თაღოვანი კაშხლის ჰიდროელექტროსადგურის** მშენებლობებს ითვალისწინებდა. აი, ამ მადნეულმშენის ახალგაზრდა ხელმძღვანელი ვიყავი, მჟავანაძემ რომ მკითხა —**ომარ, შვილო, რითი დაგეხმარო?** სსრ კავშირის ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები დასაქმების თაობაზე, მაგრამ, ვინაიდან, მაშინ მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნა დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ადგილობრივ მუშახელზე გავაკეთე არჩევანი. მჟავანაძემ სტუდენტები და კომკავშირელები ლი ეცვა. მოსკოვიდან სტუმარი მყავდა, ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე, ვსაუბრობდით. მჟავანაძემ გამოიარა და მოგვესალმა. ჩემი სტუმარი გავაცანი, კარგა ხანს ისაუბრეს. კმაყოფილი წავიდა. მოკლედ, **ბრძენი კაცი იყო, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწე. ურთულეს პერიოდში გამოიყვანა საქართველო მძიმე მდგომარეობიდან, ქართველები სამშობლოდან აყრასა და გადასახლებას გადაარჩინა.** მანვე ააშენა თბილისის მეტროპოლიტენი, რკინიგზის სადგური, ფილარმო-





წარმოები „ელმავალმშენებელი", კიროვის სახელობის „ჩარხმშენებელი", ქუთაისის სატრაქტორო, ელექტრომექანიკური, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, მაუდ-კომვოლის ფაბრიკა, ზოოვეტერინარული, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკური და სამედიცინო ინსტიტუტები. ექსპლუატაციაში შევიდა ხრამჰესი, ჭითახევჰესი, რუსთავის რკინაბეტონის ქარხანა, დიდ წარმატებას მიაღწია მრეწველობამ, მედიცინამ, გაიხსნა სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის, კიბერნეტიკის, მოლეკულური ბიოლოგიის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ფიზიკის, მევენახეობის ინსტიტუტები, მოხდა 1937 წელს დახვრეტილი **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, ევგენი მიქელაძისა** და სხვათა რეაბილიტაცია, მათ შორის, **კანდიდ ჩარკვიანისა და აკაკი მგელაძის.**

**— როგორც ჩანს, მხოლოდ არასრული სიაა...**

— დიახ, ეს არის მცირე ჩამონათვალი იმისა, რაც ვასილ მჟავანაძემ გააკეთა თავისი მმართველობის 19 წლის მანძილზე. **50 წლის წინათ ჯერ შევარდნაძე ცდილობდა მისი მოღვაწეობის მიჩქმალვას, მერე — სააკაშვილმა ერთი ხელის მოსმით გაანადგურა მჟავანაძის დროს შექმნილი ინსტიტუტები და სამეცნიერო დაწესებულებები.** სამწუხაროა, რომ ამის შედეგებს დღემდე ვიმკით და დაფიქრება არ გვინდა მომავალზე!

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

**„მან მჟავანაძის კადრები საერთოდ მოიშორა, მათ შორის იყვნენ როინ მეტრეველი და გივი ჯავახიშვილი!"**

## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**

*პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს"*



**„ოცნება" რატომ არ იჭერს კორუფციულ სქემებში გასვრილ ღარიბაშვილს?!**

„ახალი თაობა"

**ანზორ აბრალავა**

*ყოფილი პარლამენტარი*



არ შეიძლება, როცა ქვეყანა უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ყოველი დღე **სააკაშვილით იწყებოდეს** და **გახარიათი მთავრდებოდეს.**

„ახალი თაობა"

**ანა ბუჩუკური**

*პარტია „საქართველოსთვის" წევრი*



შეგახსენებთ, **გახარია** სწორედ პანკისის სპეცოპერაციის შემდეგ გახდა პრემიერი, სხვათაშორის, სწორედ **ირაკლი კობახიძის** მხარდაჭერით.

„კვირის პალიტრა"

**მამუკა არეშიძე**

*ექსპერტი*



კეზერაშვილის დაფინანსებული ტელევიზიები სხვების მიწებზე ლაპარაკობენ, არადა, ეს სასაცილოა იმასთან შედარებით, რაც **კეზერაშვილს** აქვს გაფორმებული. რაც შეეხება **იარაღით ვაჭრობას,** ეს ხომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

„კვირის პალიტრა"

**ემზარ გვენეტაძე**

*ანალიტიკოსი*



ოპოზიცია **შალიკოს ფანჩატურში** ქვეყნის ნგრევის გეგმას ამუშავებდა, ხოლო სწორედ **„ლელოს" წარმომადგენლები** იყვნენ, რომლებმაც პირველებმა შეადგინეს ე.წ. **შავი სიები.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ზაალ ანჯაფარიძე**

*ექსპერტი*



**ღარიბაშვილი პირველი პრემიერია,** რომელიც არ ერიდება დასავლელი პარტნიორების წინაშე საქართველოს პოზიციის დაფიქსირებას. **ის წითელ ხაზს ავლებს იქ, სადაც იწყება ქვეყნის სუვერენიტეტი.**

„ახალი თაობა"

# როდის წაიკითხავთ გაზეთში მსგავს სასიხარულო ცნობას?

,,... ფასების ახალი შემცირების შედეგად კვლავ მნიშვნელოვნად გადიდდება მანეთის მყიდველობითი უნარი და გაუმჯობესდება მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, კვლავ სერიოზულად გაიზრდება მუშებისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდება გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის ყიდვისას“.

***სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან***

**ეს მოხდა, როდესაც ფაშიზმის დამარცხებიდან 4 წელიც არ იყო გასული!**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 1 მარტი, 1949 წ. № 42 (8345). ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

## 1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ

1. 1947 წლის დამლევს ფულის რეფორმისა და საბარათო სისტემის გაუქმების განხორციელებისას გაუქმდა კომერციული ვაჭრობის მაღალი ფასები და შემოღებულ იქნა მასობრივი მოხმარების საქონლის ერთიანი შემცირებული სახელმწიფო საცალო ფასები. ეს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების პირველი ეტაპი იყო. პირველ ეტაპზე ფასების შემცირებამ გამოიწვია მასობრივი მოხმარების საქონლის გაიაფება სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ხაზით წლის განმავლობაში სულ ცოტა 57 მილიარდი მანეთით. ეს თანხა სახელმწიფოს ბიუჯეტისათვის წარმოადგენდა წმინდა ზარალს, რაც უნდა დაფარულიყო და შემდეგში მართლაც დაფარულ იქნა მთავრობის მიერ შრომის ნაყოფიერების ზრდის, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეოხებით. მაგრამ ეს თანხა ამავე დროს წმინდა მოგება იყო მოსახლეობისათვის.

მაგრამ საქმე ამით არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო. სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ხაზით საქონლის ფასების შემცირებას უნდა გამოეწვია და მართლაც გამოიწვია ფასების ასეთივე შემცირება საკოლმეურნეო და კოოპერაციულ ბაზარზე. რადგან საკოლმეურნეო და კოოპერაციული საქონლის წილი იმ საქონლის საერთო მასაში, რომელსაც მოსახლეობა წლის განმავლობაში ყიდულობს, დაახლოებით 33 პროცენტს შეადგენს, შედეგად ის გამოვიდა, რომ საკოლმეურნეო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონლის ფასების შემცირებამ მოგვცა ამ საქონლის გაიაფება სულ ცოტა 29 მილიარდი მანეთით.

მაშასადამე, საცალო ვაჭრობის ყველა სექტორში საცალო ფასების შემცირებით მოსახლეობამ ერთი წლის მანძილზე სულ დაახლოებით 86 მილიარდი მანეთი მოიგო.

ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ფასების შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მანეთის მყიდველობითი უნარი. გაუმჯობესდა მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, სერიოზულად გადიდდა მუშებისა და ინტელიგენციის ხელფასი, მნიშვნელოვნად შემცირდა გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის ყიდვისას.

2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასთან, მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების ზრდასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში ახალ მიღწევებთან დაკავშირებით 1948 წლის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირების განხორციელება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს განახორციელონ ფასების ეს ახალი შემცირება, რაც ნაწილობრივ უკვე დაიწყო 1948 წელს, და სავსებით დაამთავრონ იგი 1949 წლის 1 მარტს. ეს იქნება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების მეორე ეტაპი.

ფასების ახალი შემცირება იმ ოდენობით, რომლითაც იგი დასახულია ამ დადგენილებით, გამოიწვევს მასობრივი მოხმარების საქონლის ახალ, დამატებითს გაიაფებას საცალო ვაჭრობის სახელმწიფო სექტორის ხაზით წელიწადში სულ ცოტა 48 მილიარდი მანეთით. სახელმწიფო ბიუჯეტის ეს ზარალი, რაც ამავე დროს მოსახლეობისათვის წმინდა მოგებას წარმოადგენს, დაფარულ უნდა იქნას და უეჭველად დაფარული იქნება მთავრობის მიერ მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებათა საშუალებით, მიუხედავად სერიოზული სიძნელეებისა, რომელთა გადალახვაც საჭირო იქნება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საცალო ვაჭრობის სახელმწიფო სექტორში ფასების ახალი შემცირება გამოიწვევს ფასების დაუყოვნებლივ და ძირითადად ასეთსავე შემცირებას კოოპერაციულ და საკოლმეურნეო სექტორში, უნდა ვაღიაროთ, რომ საკოლმეურნეო და კოოპერაციული საქონლის ფასების ახალი შემცირებით მოსახლეობა დამატებით მოიგებს სულ ცოტა 23 მილიარდ მანეთს.

მაშასადამე საცალო ვაჭრობის ყველა სექტორში ფასების ახალი შემცირებით ახლანდელ მეორე ეტაპზე წლის განმავლობაში მოსახლეობა მოიგებს სულ დაახლოებით 71 მილიარდ მანეთს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების ახალი შემცირების შედეგად კვლავ მნიშვნელოვნად გადიდდება მანეთის მყიდველობითი უნარი და გაუმჯობესდება მანეთის კურსი უცხოეთის ვალუტების კურსთან შედარებით, კვლავ სერიოზულად გაიზრდება მუშებისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასი და კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდება გლეხთა ხარჯები სამრეწველო საქონლის ყიდვისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ა) 1949 წლის 1 მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდეს საშუალოდ შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| პური და ფქვილი | 10 პროცენტით |
| ბურღული და მაკარონი | 10 პროცენტით |
| მარცვლეული ფურაჟი, კოპტონი, ქატო, კომბინირებული საკვები | 20 პროცენტით |
| თივა | 30 პროცენტით |
| ნამცხვარი, თაფლის კვერი და ტორტი | 10 პროცენტით |
| ხორცი, ძეხვეული და კონსერვები | 10 პროცენტით |
| თევზი და თევზეული | 10 პროცენტით |
| კარაქი და ერბო | 10 პროცენტით |
| ყველი და ბრინზა | 20 პროცენტით |
| მარილი | 30 პროცენტით |
| არაყი | 28 პროცენტით |
| ლიქიორის ნაწარმი | 25 პროცენტით |
| ყურძნის შემაგრებული ღვინო, კონიაკი და ხილ-კენკრის ღვინო | 15 პროცენტით |
| თამბაქოს ნაწარმი | 10 პროცენტით |
| საპარფიუმერიო ნაწარმი | 20 პროცენტით |
| პალტო, კოსტიუმი, კაბა და სხვა შეკერილი ნაწარმი შალის ქსოვილისა | 12 პროცენტით |
| კაბა, პერანგი, ბლუზა და სხვა შეკერილი ნაწარმი აბრეშუმის ქსოვილისა | 15 პროცენტით |
| შალის ქსოვილი | 10 პროცენტით |
| აბრეშუმის ქსოვილი | 10 პროცენტით |
| ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა ატელიებსა და სახელოსნოებში | 20 პროცენტით |
| ძაფი | 15 პროცენტით |
| ქალისა და კაცის წინდა აბრეშუმისა | 15 პროცენტით |
| ფეხსაცმელი ქსოვილისა და კომბინირებული | 15 პროცენტით |
| ქუდი და კეპი | 15 პროცენტით |
| საფეიქრო გალანტერია | 15 პროცენტით |
| ნაქარგი ნაწარმი | 15 პროცენტით |
| ბეწვეული | 10 პროცენტით |
| ლითონის გალანტერია და ტყავის შემცვლელთა გალანტერია | 10 პროცენტით |
| პლასტმასისა და ცელულოიდის ნაწარმი (ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები და სხვა) | 20 პროცენტით |
| ლითონის სოჯახო საქონელი (დანა-ჩანგალი, კოვზი და სხვა) | 10 პროცენტით |
| ელექტრობის სოჯახო საქონელი (ელექტროჩაიდანი, ელექტროქურა, ელექტროუთო და სხვა) | 10 პროცენტით |
| კავეული | 20 პროცენტით |
| სასარაჯო საქონელი | 20 პროცენტით |
| ცემენტი | 30 პროცენტით |
| მოტოციკლი | 15 პროცენტით |
| ველოსიპედი | 20 პროცენტით |
| რადიომიმღები | 20 პროცენტით |
| ტელევიზორი | 25 პროცენტით |
| პიანინო, აკორდეონი, ბაიანი და გარმონი | 20 პროცენტით |
| პატეფონი | 30 პროცენტით |
| გრამოფონისა და პატეფონის ფირფიტები | 20 პროცენტით |
| საათი | 30 პროცენტით |
| საიუველირო ნაწარმი | 20 პროცენტით |
| საწერი მანქანა | 20 პროცენტით |
| ფოტოაპარატი და ბინოკლი | 10 პროცენტით. |

შესაბამისად შემცირდეს ფასები რესტორანებში, სასადილოებში, საჩაიეებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში.

ბ) დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ამ დადგენილების შესაბამისად დააწესოს ამ დადგენილების „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი სასურსათო, საფურაჟო და სამრეწველო საქონლის ახალი შემცირებული სახელმწიფო საცალო ფასები.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი**

**საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მალენკოვი**

1949 წლის 28 თებერვალი

*ცნობილი რუსი მწერალი, ისტორიკოსი და მკვლევარი ალექსეი ტოლსტოი, რომელმაც კრემლის არქივში პეტრე პირველის ქართველობის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტები აღმოაჩინა და სტალინს მიუტანა, მიიჩნევდა, რომ ამ ქვეყნად ორი რუსეთი არსებობდა — ერთი — ძველისძველი კიევის რუსეთი, რომლის ისტორიის ათვლაც „გარდასულ წელთა ამბის“ მიხედვით, 862 წლიდან იწყება, ხოლო მეორე — მოსკოვის რუსეთი. კიევის რუსეთი დასავლეთევროპული და მაღალკულტურული ქრისტიანული სახელმწიფო იყო, ხოლო მოსკოვის რუსეთი — მონღოლების „ოქროს ურდოს“ პროდუქტი, რომლისგანაც ალექსეი ტოლსტოის თქმით, ყოველგვარი ბოროტება და რეგრესი მოდის.*

# კიევის რუსეთიდან



ოლეგი ფარს აჭედებს კონსტანტინოპოლის კარიბჭეზე. 907 წ.



იაროსლავ ბრძენი (1019–1054)

# რა უნდა ვიცოდეთ რუსეთის

ტერმინი **„როსი“**, რომელიც **„რუსისა“** და **„რუსეთის“** აღმნიშვნელი უნდა იყოს, პირველად **555 წელს** ბიზანტიელმა ისტორიკოსმა **ზაქარია სქოლასტიკოსმა** ახსენა, რომელიც ქართველთა ლეგენდარულ და სახელოვან წინაპარს **პეტრე იბერს** პირადად იცნობდა. ერთი სიტყვით, **იმ დროს, როცა ეგრისში „დიდი ომიანობა“ იყო გაჩაღებული და იმპერატორ იუსტინიანეს მიერ კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ მოვლინებული პროკურატორები გუბაზ მეფის მკვლელ ბიზანტიელ სარდლებს ასამართლებდნენ, ცივილიზებულმა სამყარომ ზაქარია სქოლასტიკოსის მეშვეობით შეიტყო, რომ სადღაც ჩრდილოეთით არსებობდნენ წარმართი „როსები“, რომლებიც ნახევრად ველურ პირობებში ცხოვრობდნენ.**

რაც შეეხება **862 წელს,** რომელიც უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ისტორიაში პირველი თარიღია, **ამ წელს ნოვგოროდელები სკანდინავიაში ვარიაგებთან, ანუ იმავე ვიკინგებთან ჩავიდნენ,** რომლებსაც მაშინ მთელი ინგლისი, ბიზანტია და ხმელთაშუაზღვისპირეთი აკლებული ჰქონდათ და თხოვნით მიმართეს — ჩვენი მინდვრები მდიდარია პურით, ჩვენი საძოვრები სავსეა პირუტყვით, ხოლო მდინარეები — თევზით... **მოდით და იბატონეთ ჩვენზე!** დიახ სწორედ ასე წერია უძველეს მატიანეში — **„გარდასულ წელთა ამბავში“,** რომელიც რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსებისთვის ზუსტად იმავე დატვირთვის მატარებელია, როგორი დატვირთვაც ჩვენთვის, ქართველებისთვის **„ქართლის ცხოვრებას“** აქვს.

**882 წელს** რიურიკის ახლო ნათესავმა **ოლეგმა** კიევი აიღო. მან მოკლა კიევის მმართველი **ვარიაგი ძმები,** რიურიკის ნათესავი — **ასკოლდი** და **დირი** და კიევი თავისი სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა. ცნობილი რუსი მოღვაწისა და „რუსეთის ისტორიის“ პირველი ავტორის **ვასილი ტატიშჩევის** ცნობით, **ოლეგი რიურიკის ცოლისძმა** იყო...

**882 წელს,** როცა ქალაქში გამარჯვებული შევიდა, **ოლეგმა** კიევი **„რუსეთის ქალაქების დედად“** გამოაცხადა... **სწორედ ამ „დედის“ დასაბრუნებლად ბომბავს დღეს რუსეთი უკრაინას და რაც დიდხანს გაგრძელდება ეს საშინელი ომი, მითუფრო ცხადი და ნათელი გახდება, რომ არც რუსეთს და არც უკრაინას „დედა“ აღარ ჰყავთ!**

907 წელს **ოლეგმა** შეაგროვა 2 ათასი გემი, თითოეულში 40 მეომარი ჩასვა და ბიზანტიის იმპერიის სატახტო ქალაქს — **კონსტანტინოპოლს,** ანუ იმავე **ცარგრადს** შეუტია. იმპერატორი **ლეონ მეექვსე ბრძენი** იძულებული გახდა, დიდი გადასახადის სანაცვლოდ შეეჩერებინა რუსების იერიში და **ოლეგი** კიევისკენ დიდი ძღვენით გაესტუმრებინა. გამარჯვებულმა **ოლეგმა** კონსტანტინოპოლის კარიბჭეზე თავისი ფარი მიაჭედა და წავიდა... **იმ დღიდან მოყოლებული კიევის რუსეთის დიდი მთავრები და რუსეთის მეფეები ცარგრადის, ანუ თურქთა მიერ დამონებული ბიზანტიური კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების სურვლით ჭკუას კარგავენ.** ათასი წლის განმავლობაში რუსეთის იმპერია ძალიან ახლოს იყო ამ სურვილის ასრულებასთან, მაგრამ ამაოდ.

**უკანასკნელად ცარგრადის თურქთაგან გათავისუფლებას რუსეთის იმპერიის ქართველი საქეთმპყრობელი, გენერალისიმუსი სტალინი შეეცადა. 1945 წელს სულ ცოტა დააკლდა და ეს განზრახვა ამერიკელების მიერ ატომური ბომბის აფეთქების გამო ვერ აისრულა, ხოლო 1952 წელს, როცა, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა არმადა ცარგრადისა და თურქეთის მიერ ოკუპირებული ტაო-კლარჯეთის გასათავისუფლებლად დაძრა, ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა ჩამორჩენილი და დაჩაჩანაკებული თურქეთი უმალ ნატოში შეათრიეს და ასე იხსნეს...**

თუ ჩვენი და უკრაინის სიკეთე და გადარჩენა უნდოდათ, **ჩვენც შეგვეთრიეთ!** მაგრამ არა და არა... **როგორც ჩანს,**



ივანე კალიტა (1325–1340)



ივანე მესამე (1462–1505)



ივანე მრისხანე (1533–1584)

გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს

# რუსეთის კიევამდე

**საზარბაზნე ხორცად ვჭირდებოდით.**

**ოლეგის ვაჟმა იგორმა** 941 და 945 წლებში კვლავ გაილაშქრა ცარგრადზე, ხოლო მისმა შთამომავალმა **კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმირმა** 988 წელს ქრისტეს სჯული მიიღო და ქალაქ ხერსონში მოინათლა. ამ ნათლობას წინ ულტიმატუმი უძღოდა... **ვლადიმირმა** ბიზანტიის იმპერატორს, ძალღთაპირ **ბასილი ბულგართმმუსვრელს** შეუთვალა — **თუ გინდა, რომ ცარგრადი არ ავიღო და თავს ლაფი არ დაგასხა, შენი და, პრინცესა ანა პორფიროგენეტი ცოლად მომათხოვე და შემდეგ გავქრისტიანდებიო!**

ბასილი და კონსტანტინე დათანხმდნენ... ეს ის **ბასილი კეისარია,** რომლის გადასარჩენადაც **979 წელს** სახელოვანმა ქართველმა ხელმწიფემ, ტაოს მეფე **დავით მესამე კურაპალატმა თორნიკე ერისთავისა** და **ჯოჯიკის** ხელმძღვანელობით 12-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა და აჯანყებული ბიზანტიელი სარდალი **ბარდა სკლიაროსი,** რომელიც კონსტანტინოპოლს განადგურებით ემუქრებოდა, დაამარცხა. **აი, სწორედ მაშინ დაიღვარა ქართველებსა და რუსებს შორის პირველი სისხლი და ბედის ირონიით, ეს სისხლი ქართველებმა გამოიწვიეს.** საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთმა ქართველმა მოლაშქრემ, რომელიღაც რუს დაქირავებულს, რომელიც




# იმპერიის შესახებ?

ბიზანტიის საიმპერატორო კარმა აჯანყებული **ბარდა სკლიაროსის** დასამარცხებლად თავის „დრუჟინასთან" ერთად მოიწვია, თივა წაართვა და სცემა. **ამას კიეველების დიდი უკმაყოფილება მოჰყვა და ქართველებსა და რუსებს შორის ჩხუბი ატყდა, რომელშიც ორივე მხრიდან 500-ზე მეტმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა. გაწევ-გამოწევასა და შფოთს ქართველთა მხრიდან ორი დიდგვაროვნის სიცოცხლე შეეწირა. მკვდრები და დაჭრილები მრავლად იყვნენ რუსთა შორისაც...**

**კიევის რუსეთის** ისტორიაში პირველი დიდი და გამორჩეული მმართველი, რომელმაც ქვეყნის სახელი განადიდა და საერთაშორისო ასპარეზზე გავლენა მოიპოვა, სწორედ **ვლადიმირის ვაჟი იაროსლავ ბრძენი** (1019-1054 წ.წ.) იყო, რომელმაც თავისი ძმა **სვიატოპოლკ წყეული** დაამარცხა. ეს ის **სვიატოპოლკია,** რომელმაც თავისი ძმები — **ბორისი და გლები** დახოცა... რუსეთის ეკლესიამ ორივე წმინდანად შერაცხა. **იაროსლავ ბრძენმა ააგო „ოქროს ჭიშკარი", გაამშვენიერა კიევი, ააშენა სოფიის ტაძარი და 1051 წელს საფუძველი ჩაუყარა კიევ-პეჩერის ლავრას, რომლის მსგავსი ქრისტიანული სიწმინდე მთელ რუსეთში არ მოიძებნება.**

დღეს რუსეთის იმპერიული ელიტა ისევე მიელტვის **კიევ-პეჩერის ლავრას,** როგორც **რიჩარდ ლომგული** და მისი მოლაშქრენი — იერუსალიმს. **უკრაინის ომი რუსეთის საპატრიარქომ პუტინს უკურთხა, რადგან პატრიარქ კირილეს ერთი სული აქვს, კიევ-პეჩერის ლავრაში ზუსტად ისე აღასრულოს ღვთის სადიდებელი ლოცვა, როგორც ოცდაერთი წლის სულთანმა მეჰმედ მეორემ 1453 წლის 29 მაისს დაცემული და გადაბუგული კონსტანტინოპოლის აია-სოფიაში აღასრულა დილის ნამაზი...**

## იაროსლავ ბრძენის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა ქვეყნის ერთიანობა ვერ შეინარჩუნეს და კიევის რუსეთი დაინგრა. მის ადგილზე რამდენიმე ფეოდალური სამთავრო გაჩნდა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია

## ნოვგოროდის რესპუბლიკა, გალიჩ-ვოლინის, ვლადიმირ-სუზდალისა და მოსკოვის სამთავროები...

მონღოლების შემოსევის დროს, რომლებმაც **1240 წელს** კიევი მიწასთან გაასწორეს, განსაკუთრებით დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო. მოსკოვის მთავარმა **ივანე კალიტამ** (1325-1340 წ.წ.) მოხერხებულად ისარგებლა მოსკოვის მდებარეობით, რომელიც სავაჭრო გზებს აკონტროლებდა და **„ოქროს ურდოს"** ყაენთან ტკბილი ურთიერთობა დაამყარა. მოსკოვის მთავარი **„ოქროს ურდოს" ყაენის** მონა იყო. „ოქროს ურდო", რომელიც **ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა ბათო ყაენმა** 1243 წელს შექმნა, მთელ რუსეთს მოიცავდა. 260 წლის განმავლობაში მონღოლები და შემდეგ კიდევ მათი შთამომავლები დიდხანს ბატონობდნენ და მძლავრობდნენ რუსეთზე. ანთროპოლოგიურად დადასტურებულია, რომ ამ ბატონობას რუსი ერის გენოტიპის შეცვლა მოჰყვა.

**ის რუსები, რომლებსაც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ბიზანტიელი და არაბი ისტორიკოსები აღწერენ, დღევანდელი რუსებისგან ანთროპოლოგიურად ძალიან განსხვავდებიან.** მონღოლები უკანასკნელად **1480 წელს, კულიკოვოს ბრძოლიდან ასი წლის შემდეგ,** შეეცადნენ რუსეთზე თავიანთი გავლენის აღდგენას. ამ მიზნით **მონღოლთა ყაენმა აჰმედმა** უთვალავ-უანგარიშო მეომარი შეკრიბა და მოსკოვის დიდი მთავრის **ივანე მესამის** წინააღმდეგ დაიძრა. მდინარე ოკას მარცხენა შენაკადს, უგრას რომ მიუახლოვდა, ყაენმა მისი გადალახვა სცადა, მაგრამ მონღოლებმა გზის გაგრძელება ვეღარ შეძლეს, რადგან მეორე ნაპირას მდგარმა რუსთა ჯარმა რამდენიმე მცირე შეტაკებაში გადამთიელებს შავი დღე აყარა და სულ კბილები ჩაუმტვრია...

**აჰმედ ყაენი ივანე მესამისგან** ამაოდ ითხოვდა იმ ხარკის გადახდას, რომელსაც მოსკოვის დიდი მთავარი 1476 წლიდან არ იხდიდა. ასევე ამაო იყო იმის მოლოდინიც, რომ ყაენს მოსკოვის დიდი მთავარი მუხლმოყრილი ეახლებოდა და პატიებას სთხოვდა.

მოკლედ, **1480 წლის 8 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე** მდინარე უგრასთან რუსები და მონღოლები პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს ზვერავდნენ, რაც გენერალური ბრძოლის გარეშე დასრულდა და მონღოლთა ყაენი **აჰმედი** რუსთა ლაშქარს კუდამოძუებული გაეცალა.

აქედან გამომდინარე, **1480 წელი მიჩნეულია მონღოლთა 260-წლოვანი უღლისგან რუსეთის გათავისუფლების წმიდათაწმიდა თარიღად.** რუსებმა მონღოლები მოიშორეს, მაგრამ კიდევ დიდხანს ვერ მოიცილეს მონღოლური „ოქროს ურდოს" პროდუქტის — **ყირიმის ხანისადმი** დამამცირებელი მორჩილება, რაც **პეტრე პირველის** ეპოქამდეც კი გაგრძელდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, **რუსეთის მეფეები ყირიმის ხანების ვასალებად ითვლებოდნენ, ხოლო, თავის მხრივ, ყირიმის ხანი 1475 წლიდან თურქეთის სულთნის ვასალი იყო.** მოკ-

გაგრძელება მე-18 გვერდზე



ერეკლე პირველი (1642-1709)



პეტრე პირველი (1682-1725)



ელისაბედ პირველი (1741-1762)

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**

*დასაწყისი მე-16 გვერდზე*

ლედ, **ვიდრე პეტრე პირველმა „ჩრდილოეთის ომი“ არ მოიგო, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი არ მოიპოვა და 1721 წელს რუსეთი იმპერიად არ გამოაცხადა, რუსთხელმწიფენი თურქეთის ხონთქრის ვასალის ვასალები ბრძანდებოდნენ!**

**როგორც კი მოსკოვის პოლიტიკა არ მოეწონებოდათ, ყირიმელი თათრები მაშინვე შეუტევდნენ მოსკოვს და ქალაქს გადაბუგავდნენ...**

ასე მოხდა **1571 წელს,** როცა ყირიმის ხანმა **დევლეთ-გირეიმ** მოსკოვი ნაცარტუტად აქცია. თითქმის იგივე გაიმეორა **ყაზი-გირეიმ,** რომელიც 1591 წელს მოსკოვის კედლებთან ძლივს მოიგერიეს. 1382 წელს კი მოსკოვი **„ოქროს ურდოს“ ყაენმა თოხთამიშმა** გადაბუგა...

საერთოდ, რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო ისეთი სახელმწიფო მოღვაწე, როგორიც **მოსკოვის დიდი მთავარი ივანე მესამე** (1462-1505 წ.წ.) გახლდათ. ივანემ ბიზანტიელ პრინცესა **ზოია პალეოლოგოსზე** იქორწინა. **სწორედ ივანე მესამეს დროს გახდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გერბი ბიზანტიური ორთავიანი არწივი.** ამ დროიდან მოყოლებული მოსკოვის სამთავროსა და სრულიად რუსეთს მოსვენებას არ აძლევს იმპერიული ამბიცია, რომელმაც თავის დროზე მსოფლიოს ყველაზე ხნიერი იმპერია — ბიზანტია გადაიყოლა. **ივანე მესამეს მემკვიდრის ვასილი მესამის** (1505-1533) დროს **ბერმა ფილოფეიმ,** რომელიც ფსკოვში, იერლიზაროვის მონასტერში მოღვაწეობდა, მოსკოვის დიდ მთავარს წერილი გაუგზავნა და ჩააგონა — **„ყურად იღე, მართლმორწმუნე ხელმწიფეო! ორი რომი დაეცა, მესამე რომი მოსკოვია, ხოლო მეოთხე აღარ იქნება!“**

ნაპოლეონისა და ჰიტლერის არმადების შემოსევების დროს რუსი სასულიერო პირები და ლავრენტი ბერიას მიერ ხელდასხმული ტყავისლაბადიანი ჩეკისტები ხალხს აიმედებდნენ და აგულიანებდნენ, რომ მოსკოვი, როგორც „მარადიული ქალაქი“ და „მესამე რომი“ არ დაეცემოდა. **სამწუხაროდ, 1812 წლის 9 სექტემბერს რუსები იძულებული გახდნენ, გადაეწვათ თავიანთი საყვარელი ქალაქი... დიახ, ეს რუსებმა გააკეთეს, რადგან კუტუზოვის სიტყვებით თუ განვსჯით, მოსკოვის დაკარგვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსეთის განადგურებას, მაგრამ, თუ არმია განადგურდებოდა, მაშინ რუსეთიც დაეცემოდა და მოსკოვიც!**

**რუსეთის თვალუწვდენელ დერჟავად ჩამოყალიბების საქმეში პირველი დიდი და სერიოზული ნაბიჯი ივანე მრისხანემ (1533/47-1584 წ.წ.) გადადგა. მან 1547 წელს რუსეთის ისტორიაში პირველად საკუთარი თავი „ცარ“-ად გამოაცხადა და 1552 და 1556 წლებში ყაზანისა და ასტრახანის სახანოები დაიპყრო.**

# კიევის რუსეთიდან



ეკატერინე მეორე (1762-1796)



ნიკოლოზ პირველი (1825-1855)

**ივანე მრისხანე იყო შლეგი, პათოლოგი, გარყვნილი და უზნეო, რომელმაც რძლისადმი სექსუალური ლტოლვის ნიადაგზე თავისი ვაჟიც კი მოკლა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი რუსეთის აღმოსავლეთით გაფართოებას და ციმბირის თვალუწვდენელი ტერიტორიის დამორჩილებას.** რუს კაზაკთა ატამანი **ერმაკ ტიმოფეის ძეც** სწორედ **ივანე მრისხანემ** მიავლინა დასავლეთ ციმბირის დასამორჩილებლად. მიუხედავად იმისა, რომ **ლივონიის ომში** (1558-1583 წ.წ.) გამანადგურებელი მარცხი იწვნია და ქვეყანას ბალტიის ზღვაზე გასასვლელი ვერ მოუპოვა, ამ ნახევრად შეშლილმა და შლეგმა კაცმა, რომელმაც თავისი „ოპრიჩნიკებით“ მთელი რუსეთი დაიმონა და მონღოლების ბატონობა ბევრს სანატრელიც კი გაუხადა, რუსეთის იმპერიის სტრატეგიული განვითარების გეზი განსაზღვრა.

**ივანე მრისხანეს** რუსი ნაციონალისტ-შოვინისტები **„ყველაზე რუს მეფედ“** აღიარებენ და მიიჩნევენ, რომ ისეთმა უდიდესმა რეფორმატორმა და წარმატებულმა ხელმწიფემ, როგორიც **პეტრე პირველი** იყო, რუსეთი თავისი ისტორიული განვითარების კალაპოტიდან ამოაგდო...

მაინც რა იყო და რა არის რუსეთის განვითარების ტრადიციული და ისტორიული გზა? ალბათ, ის მონღოლური თავგადასავალი, რომლის შესახებაც **მიხეილ ლერმონტოვი** წერდა:

Прощай,
Немытая Россия,
Страна рабов,
Страна господ,
И вы,
Мундиры голубые
И ты,
Им преданный народ.

Быть может,
За стеной Кавказа
Сокроюсь
От твоих пашей,
От их
Всевидящего глаза,
От их
Всеслышащих ушей.

**მე-17 საუკუნის დასაწყისი რუსეთის ისტორიისთვის სამარცხვინო და დამამცირებელი ეპოქაა. პოლონელმა და შვედმა ინტერვენტებმა თავიანთი აგენტურის წყალობით რუსი ერი ისე მოაღორეს, არა თუ ორი, როგორც ამას რუსეთის ისტორია გვასწავლის, არამედ ერთმანეთის მიყოლებით რვა ცრუდიმიტრი შეუგზავნეს და ქვეყანა არიეს.** ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1591 წლის 15 მაისს უგლიჩში სამეფო სასახლის ეზოში ყელგამოჭრილი იპოვეს **ივანე მრისხანეს მცირეწლოვანი მემკვიდრე, უკანასკნელი რიურიკოვიჩი,** რვა წლის **უფლისწული დიმიტრი.** აქედან მოყოლებული 1613 წლამდე, ვიდრე რუსმა ბოიარებმა რუსეთის მეფედ 16 წლის **მიხეილ რომანოვი** არ დაადგინეს, რუსეთს მშვიდობა არ ღირსებია.

პოლონელებმა და შვედებმა, რომლებიც დასუსტებული და არეული რუსეთის საშინაო საქმეებში ხელებს ბინძურად აფათურებდნენ, შეთხზეს ლეგენდა, **თითქოს უგლიჩში მოკლული უფლისწული დიმიტრი გადარჩა და ხელისუფლების დასაბრუნებლად მოსკოვისკენ ჯარით მოემართებოდა.** აი, ასე, ამ ხერხით, მათ სულ რვა **ცრუდიმიტრი** შეუგზავნეს რუსეთს და ქვეყანა თავდაყირა დააყენეს, სანამ ნიჟნი-ნოვგოროდელმა ხორცით მოვაჭრე **კუზმა მინინმა** და ვოევოდა **დიმიტრი პოჟარსკიმ** 1611 წლის 1 სექტემბერს დიდი სახალხო მოძრაობა არ წამოიწყეს და პოლონელი და შვედი ინტერვენტები ქვეყნიდან კისრისტეხით არ გააძევეს!

**პეტრე პირველმა — კახეთის მეფის ერეკლე პირველის სიმრუშის ნაყოფმა, როგორც ამის შესახებ მამამისმა — ერეკლემ ისპაჰანში მყოფ შვედ დიპლომატს ჰენდრიკ ბრეიენს თვალცრემლიანმა აუწყა, რუსეთი იმპერიად აქცია...** რაც ივანე მრისხანესთვის მიუღწეველ ოცნებად დარჩა, **პეტრე დიდმა** ხორცი შეასხა. **მან რუსეთს პოლტავასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოუპოვა, რუსეთი იმპერიად გამოაცხადა და კავკასიაშიც შემოაბიჯა.** რომ არა პეტრე, რუსეთი დაიშლებოდა...

**1613 წლიდან 1917 წლამდე რუსეთს 22 რომანოვი მართავდა და აქედან 13 გონებაშეზღუდული იყო.**

# რა უნდა ვიცოდეთ რუსეთის



იოსებ სტალინი (1924-1953)

მეცნიერებმა ეს საკითხი საგულდაგულოდ შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ ამ ამბავში დამნაშავე კრემლის წყალგაყვანილობა ყოფილა. კერძოდ, სასმელი წყალი სამეფო ოჯახის წევრებს ტყვიის მილებით მიეწოდებოდა, რაც დროთა განმავლობაში უმძიმეს პათოლოგიებს იწვევდა. მოგეხსენებათ, ტყვია საშინლად ტოქსიკური ელემენტია...

**22 მეფე რომანოვიდან ყველაზე წარმატებული ორი იყო - პეტრე პირველი და ეკატერინე მეორე. მათგან არც ერთი გახლდათ რუსი და არც - მეორე. პეტრე სუფთა ქართველი იყო, ხოლო ეკატერინე - გერმანელი!**

**პეტრე დიდის** შემდეგ რუსეთს დიდება და სახელი მოუტანა **იმპერატრიცა ელისაბედ პირველმა** (1741-1762 წ.წ.), რომელიც პრუსიის ლეგენდარული მეფის **ფრიდრიხ დიდის** დაუძინებელი მტერი იყო და ევროპაში ატეხილი „შვიდწლიანი ომის“ დროს იქადნიდა — **ჩემი 30 ათასი კაბის გაყიდვა რომ მომიწიოს,**

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**

# რუსეთის კიევამდე

**ფრიდრიხს ბერლინში დავასრულებო! ელისაბედის** ხელმძღვანელობით რუსეთმა აღმოსავლეთ პრუსიაში ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია, მაგრამ სულელმა **პეტრე მესამემ,** რომელსაც კრემლის ტყვიის მილებიდან გადმონადენი წყალი, ეტყობა, მართლაც ბლომად ჰქონდა ნასვამი, **ფრიდრიხ დიდს** მთელი აღმოსავლეთ პრუსია უკან დაუბრუნა.

რუსეთის იმპერიამ დიდების ზენიტს **იმპერატრიცა ეკატერინე მეორის** (1762-1796 წ.წ.) მეფობის ჟამს მიაღწია. **1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატით** სწორედ ეკატერინემ შემოაღო საქართველოს კარი, **ერეკლეს დასამხობად ეკატერინემ შემოგვიგზავნა ნაძირალა ტოტლებენი და ეკატერინემ დაუბრუნა რუსეთს ყირიმი 1783 წელს, სადაც თურქებთან ომს უამრავი რუსი ჯარისკაცი შეეწირა.**

**ეკატერინე მეორეს** რუსები ეჯავრებოდა და შინაურ საუბრებში მათ „ველურებს“ უწოდებდა, მაგრამ ამ **გერმანელმა ქალმა, რომლის ძარღვებშიც ერთი წვეთი რუსული სისხლისა არ იყო, ყველა რუსზე უფრო დიდი რუსული საქმეები აკეთა.** ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას **სტალინის** შესახებაც...

## ქართველმა სემინარიელმა


ვლადიმერ პუტინი (1999– )


ვოლოდიმირ ზელენსკი (2019– )

# იმპერიის შესახებ?

## „სოსელომ“ ქართველ ლავრენტი ბერიასთან ერთად შექმნა დედამიწაზე უძლიერესი ატომური დერჟავა, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო დღესაც ძრწის და კანკალებს.

სწორედ სტალინმა და ბერიამ შესძინეს რუსის ჯარს ის ძლევამოსილება, რომლითაც პუტინი მთელ მსოფლიოს აზანზარებს...

**რომ არა ეს ორი ქართველი, რუსეთი 1941 წლის ზაფხულში დამთავრდებოდა... მოგეხსენებათ, 1941 წლის ივლისის ბოლოს ჰიტლერს 3,5 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი ჰყავდა დატყვევებული, ხოლო სამხედრო ნადავლის სახით ფლობდა იმაზე მეტ საბჭოთა ტანკს, რამდენიც სტალინს ჰქონდა დარჩენილი...**

მთელი მე-19 საუკუნე რუსეთის იმპერიის აღმავლობისა და ბრწყინვალების ხანაა. მას შემდეგ, რაც რუსეთში 600-ათასიანი არმიით შესული ნაპოლეონი რუსეთიდან 30 ათასი ჯარისკაცით წავიდა, რუსეთი გამარჯვებულად გამოცხადდა. მართალია, რუსეთს ის 30-ათასიანი არმიაც არ ჰყავდა, მაგრამ მან, **ქართველი მოღალატეებისა და სომეხი დამქაშების წყალობით,** მაინც მოახერხა 1812 წლის **კახეთის აჯანყების** ჩახშობა...

## რუსეთის იმპერატორები საქართველოსა და დაპყრობილ ქვეყნებში იქცეოდნენ როგორც ბინძური ღორები, მაგრამ იმპერატორ ნიკოლოზ პირველზე უფრო ბინძურად გამოიყურებოდნენ ის ქართველი თავადები, რომლებმაც 1837 წლის ოქტომბერში საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ტირანს კოჯრის ციხეში უმშვენიერესი მაიკო ორბელიანი საწოლში ჩაუგორეს და საქართველოს ლეჩაქი მოხადეს!

მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერატორებმა —**ნიკოლოზ პირველმა** და **ალექსანდრე მეორემ** თურქეთს წაართვეს და რუსეთის იმპერიას მიუერთეს ისტორიული ქართული მიწები — **ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ფოთი...** ცხადია, რუსეთი ამას აკეთებდა არა საქართველოს სიყვარულით, არამედ თავისი იმპერიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, ობიექტურად გაკეთდა საქართველოს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს საქართველოს საზღვარი არა ვალესთან და გონიოსთან, არამედ ბორჯომთან და ჩოლოქთან იქნებოდა...

რუსთხელმწიფე **ალექსანდრე მესამე** ამბობდა — **რუსეთს ჰყავს ორი ერთგული მეგობარი — არმია და ფლოტი!**

პუტინის რუსეთი დღეს **სწორედ არმიისა და ფლოტის** იმედად არის დარჩენილი, რადგან სხვა მეგობარი არ ჰყავს!

## უბედურება ის არის, რომ დღევანდელ სულგაყიდულ და ბაბილონის მეძავად ქცეულ მსოფლიოში მეგობარი არც არავის ჰყავს და პატარა საქართველო – ჩაწიხლული და ნაღალატევი დღესაც ისევე უმეგობროდ არის დარჩენილი, როგორც კრწანისში, კოჯორ–ტაბახმელასთან, აფხაზეთსა და ცხინვალში.

ჩვენ გვიღალატეს და დაგვღუპეს!

რუსეთს ღალატი არ აშინებს, რადგან **არმია და ფლოტი** მისი საუკეთესო მეგობარია!

***დიტო ჩუბინიძე***


*1945 წლის 24 ივნისი. გამარჯვების პარადი წითელ მოედანზე ქართველი რუსთხელმწიფის სტალინის მიერ ფაშიზმზე ტრიუმფალური გამარჯვების აღსანიშნავად*

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**




# პუტინი უკრაინაში შეიტყუეს, რათა დაანგრიონ რუსეთი და ჩამოშალონ მისი ეკონომიკა!

***უკრაინაში ატეხილმა ომმა მსოფლიო წესრიგი თავდაყირა დააყენა. ცნობილი ანალიტიკოსი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОРЬ — იგორ კვესელავა საქართველოს მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო ჯარები საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილი:***

— საკითხს ისტორიულ პლანში თუ განვსჯით, მაშინ სიმართლე ერთია და ეს სიმართლე უნდა ითქვას — **უკრაინა არის კიევის რუსეთი, ანუ იგივე რუსეთი, რომელსაც ისევე, როგორც ბელორუსიას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონია!** არც — აზერბაიჯანს, არც — ყაზახეთს, არც — ყირგიზეთს და შუა აზიის არც სხვა დანარჩენ რესპუბლიკებს არავითარი სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ. თუ გვინდა ისტორიული სიმართლე, ასეა...

**— ბატონო იგორ, ამას პუტინი ამტკიცებს!**

— პუტინი საერთოდ არ მაინტერესებს! **მე გახლავართ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მკვლევარი და ვერც პუტინი და ვერც ვერავინ მასწავლის, თუ რა იყო და რას წარმოადგენდა უკრაინა და ყველა ის ქვეყანა, რომლებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ.**

ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უძველესი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ საქართველოს, სომხეთსა და ნაწილობრივ დღევანდელ ლიეტუვას ჰქონდათ! დიახ, **უკრაინას მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე რუსეთში მეფის ხელისუფლება არ დაემხო, სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და ის იყო რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი.** უკრაინისთვის დონბასისა და სხვა მიმდებარე ტერიტორიების გადაცემა დაკავშირებულია სწორედ ლენინთან, რომელსაც რუსეთი და რუსები არასოდეს უყვარდა. არც კულტურული, არც რელიგიური და არც ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი რუსებსა და უკრაინელებს შორის არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, 1654 წლის იანვარში პერეიასლავის რადაზე უკრაინის ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის ჰქონდა ოთხი არჩევანი — **ან პოლონეთს შეერთებოდა, ან — ლიტვას, ან — ყირიმის სახანოს და ან — რუსეთს.** რუს ბოიარს **ბუტურლინს** ხმელნიცკიმ განუცხადა, რომ ის უერთდებოდა რუსეთს და ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში, სხვა ყველა მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად განმსაზღვრელი აღმოჩნდა სარწმუნოებრივი მომენტი — **ხმელნიცკი იყო მართლმადიდებელი და მან არჩევანი გააკეთა სწორედ მართლმადიდებელი რუსეთის სასარგებლოდ!**

**— მერედა, დღეს როგორ ექცევა მართლმადიდებელი რუსეთი მართლმადიდებელ უკრაინას?**

— სხვათაშორის, **ნიკიტა ხრუშჩოვმა 1954 წელს უკრაინას ყირიმი სწორედ პერეიასლავში გამართული ისტორიული რადის 300 წლის იუბილეზე აჩუქა, როცა უკრაინამ მოსკოვის სასარგებლოდ გააკეთა თავისი პოლიტიკური არჩევანი.**

„უკრაინა“ ნიშნავს „განაპირა მხარეს“ და თუ კარგად დავაკვირდებით, ის მართლაცდა რუსეთის განაპირა რეგიონია. უკრაინელი ერის საბოლოოდ ფორმირება მოხდა მე-17 საუკუნეში. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, წარმოუდგენელია, კაცმა ის გაამართლოს, რაც დღეს უკრაინაში ხდება, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ **დასავლეთმა რუსეთი აქამდე მიიყვანა!**

## ხაზგასმით ვაცხადებ: არავითარი ყირიმის ანექსია რუსეთს არ მოუხდენია, რუსეთმა დაიბრუნა თავისი ტერიტორია მას შემდეგ, რაც კიევში განვითარებული ე.წ. მაიდნის ცნობილი მოვლენების შემდეგ უკრაინის ხელისუფლების სათავეში

## მოვიდნენ ძალები, რომლებმაც რუსეთთან როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო და რელიგიურ კავშირზე უარი თქვეს!

აი, ამ ძალებმა დასავლეთის წაქეზებით ჯერ დაგვღუპეს ჩვენ, ხოლო ახლა ღუპავენ უკრაინას, რომელიც ინგრევა და ცეცხლის ალშია გახვეული.

**— თქვენ ამბობთ, რომ უკრაინაში ომის გაჩაღება ნატოს მიზნებში შედიოდა? მაშინ რა გამოდის, პუტინი ნატოს მოკავშირეა?**

— პუტინი კი არ არის ნატოს მოკავშირე, **პუტინი უკრაინაში შეიტყუეს, რათა დაანგრიონ რუსეთი და ჩამოშალონ მისი ეკონომიკა!** კრემლში მოკალათებულმა ცხელმა თავებმა, როგორც ჩანს, ეს ვერ გათვალეს და მოიმოქმედეს ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეკეთებინათ, რადგან ის,

## რაც დღეს უკრაინაში ხდება, არა რუსეთის და უკრაინის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ბლოკის ინტერესებში შედის!

უბედურება ის არის, რომ უკრაინაში ატეხილი უბედურება დასავლეთის ქვეყნებისა და, უპირველეს ყოვლისა, **ანგლოსაქსების გათვლით,** რომლის მეთაურიც დიდი ბრიტანეთია, საქართველოსაც ეხება!

**— ამიტომ აცხადებს ამერიკელი ანალიტიკოსი, ვინმე ლუკ კოფი, რომ ახლა საქართველო უნდა შევაიარაღოთ კბილებამდეო?**

— დიახ, ბატონო, მათი მიზანი სწორედ ეს არის! ე.ი. თურმე, საქართველო უნდა შეიარაღდეს კბილებამდე და რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსნას კავკასიაში და დასავლეთმა და ნატომ შორიდან უნდა გვიყურონ, თუ როგორ შევეწირებით და შევაკვდებით ამხელა ატომურ დერჟავას!

**— უკრაინის რადას დეპუტატი ვინმე ალექსეი გონჩარენკო ქართველებს მოგვიწოდებს, რომ დავიძრათ ცხინვალისა და აფხაზეთის მიმართულებით და დავიბრუნოთ ჩვენი მიწები!**

— **არ ვიცი, ვინ არის გონჩარენკო — დეპუტატი თუ პროვოკატორი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის**




> **„უკრაინა არის კიევის რუსეთი, ანუ იგივე რუსეთი, რომელსაც ისევე, როგორც ბელორუსიას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონია!** არც — აზერბაიჯანს, არც — ყაზახეთს, არც — ყირგიზეთს და შუა აზიის არც სხვა დანარჩენ რესპუბლიკებს არავითარი სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიათ. **თუ გვინდა ისტორიული სიმართლე, ასეა!“**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ჩომახაშვილი**
*ადვოკატი*



14 წელი გავიდა და **რუსეთი ისევ ისეთი ნაგავია,** როგორიც იყო. აი, თქვენ კი ვინც ამბობთ, რომ საქართველომ დაიწყო ომი, **თქვენთვის ნაგვის დაძახებაც კი ზედმეტია.**

„ალია“

**ვანო მაჭავარიანი**
*უმცირესობების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე*



**რუსეთის** ულტიმატუმი გულისხმობს იმას, რომ **საქართველო და უკრაინა** უნდა დაუბრუნდნენ **რუსეთის** გავლენის სფეროს.

„კვირის პალიტრა“

**გია ნოდია**
*ანალიტიკოსი*



**მიშა, შეწყვიტე შიმშილობა, ახლა ამის დრო არაა.** როცა უკრაინას თავს დაესხნენ, საკუთარ თავზე ყურადღების გადატანის მცდელობა **არც მორალურად და არც პოლიტიკურად არ არის სწორი.**

„GTMEDIA“

**ვატო გელაშვილი**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „შეაჩერე კორუფციას“ დამფუძნებელი*



ოპოზიცია **ვაჭრობდა** და დღემდე **ვაჭრობს** საპარლამენტო მანდატებით. ამიტომაც ნაციონალურ მოძრაობას **„მანდატების ბარიგებს“** ვეძახი.

„საერთო გაზეთი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**პუტინს** სურს, დასავლეთის მხრიდან აწეული ხელები დაინახოს, მაგრამ **დასავლეთის ლიდერებსაც აქვთ თავმოყვარეობა!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით დარჩიაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



დასავლეთმა ცივილიზებულ მსოფლიოში **იმპერიის აღდგენა** არ უნდა დაუშვას.

„ახალი თაობა“

# „ასეთ შემთხვევაში რუსეთი გადაკეტავს გორის ტრასას, საქართველოს გახლეჩს შუაზე და დაელოდება ჩვენი ეკონომიკის პირწმინდად განადგურებას!“


ВЕДОМОСТИ
ВЕРХОВНОГО СОВЕТА
СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК
9 марта 1954 г. № 4 (798) Год издания 17-й

УКАЗ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР
О передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР

Учитывая общность экономики, территориальную близость и тесные хозяйственные и культурные связи между Крымской областью и Украинской ССР, Президиум Верховного Совета Союза Советских Социалистических Республик постановляет:

Утвердить совместное представление Президиума Верховного Совета РСФСР и Президиума Верховного Совета УССР о передаче Крымской области из состава Российской Советской Федеративной Социалистической Республики в состав Украинской Советской Социалистической Республики.

Председатель Президиума Верховного Совета СССР К. ВОРОШИЛОВ.
Секретарь Президиума Верховного Совета СССР Н. ПЕГОВ.
Москва, Кремль. 19 февраля 1954 г.

**რეგიონში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზები საბრძოლო მდგომარეობაშია მოყვანილი.** უფრო მეტიც,

**ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ჩვენი მხრიდან, ოდნავი სამხედრო აქტიურობა დაფიქსირდა, მე დაგიხატავთ იმ საშიშ და დამანგრეველ სცენარს, რომლის მომსწრენიც შეიძლება გავხდეთ!**

ასეთ შემთხვევაში რუსეთი გადაკეტავს გორის ტრასას, ქვეყანას გახლეჩს შუაზე და დაელოდება საქართველოს ეკონომიკის პირწმინდად განადგურებას. აი, ეს მოხდება...

აქედან გამომდინარე, ვუქებ განცხადებებსა და მოქმედებას **ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელიც იქცევა ზუსტად ისე, როგორც სახელმწიფოს ლიდერი. **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ ოპოზიციის ჭკუაზე სიარული,** რომლის განცხადებებიც და ქმედებაც აშკარად პროვოკაციულია. რუსეთი ახლა არის ჩასაფრებული, გამწარებული, პუტინი მიდის ვა-ბანკზე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოვეგოთ იმ ანკესს, რომელსაც **გონჩარენკოები, ბიბილოვები თუ ათასი ჯურის პროვოკატორები** ჩვენი მისამართით ისვრიან! სულ ცოტა ხნის წინათ, ვიდრე უკრაინაში ომი დაიწყებოდა, დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანდნენ ბრიტანეთი, პოლონეთი და უკრაინა. იყო სერიოზული მცდელობა, რომ საქართველოც როგორმე შეეტყუებინათ ამ კავშირში, რაც რუსეთის დაზვერვას არ გამოჰპარვია და უკრაინაში დაიწყო ის, რაც დაიწყო.

**— უკრაინაში რუსეთის შეჭრას წინ უსწრებდა მიუნხენის კონფერენცია, სადაც მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა...**

— აი, სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეთქვა! მიუნხენის კონფერენციაზე გამოიყვანეს **პრეზიდენტი ზელენსკი,** რომელმაც მოითხოვა 1994 წლის ბუდაპეშტის შეთანხმების გადასინჯვა და განაცხადა, რომ უკრაინამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა თავისი ბირთვული პოტენციალი დათმო და რომ უკრაინას შეუძლია, აღადგინოს ეს მძიმე დანაკლისი, ანუ შექმნას ატომური ბომბი! **ეს იყო პირდაპირი სიგნალი რუსეთისთვის, რომ მას აუცილებლად რაღაც უნდა მოემოქმედებინა.**

უკრაინაში შეჭრას ასევე წინ უსწრებდა პრეზიდენტ ზელენსკის განცხადება იმის შესახებ, რომ ის გადიოდა მინსკის შეთანხმებიდან... მოკლედ, ძალიან ბევრი რამ მოხდა და ელემენტარული ანალიზის უნარიც საკმარისია, მიხვდე, რომ **უკრაინაში ომის გაჩაღება შედიოდა დასავლეთის ინტერესში!** არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ 2022 წლის თებერვალში პეკინის ოლიმპიადაზე **პუტინი** და ჩინეთის ლიდერი **სი ძინ პინი** ერთმანეთს შეხვდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ისეთ ურთიერთობას, რომელიც, მათი შეფასებით, ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე უფრო დიდია! ამ შეხვედრის შემდეგ გამოვიდა **ლავროვი** და თქვა — რუსეთი და ჩინეთი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დაიცავენ თავიანთ სტრატეგიულ ინტერესებსო! ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში მსგავსი შეთანხმება არ შედიოდა. ამიტომ აუცილებელი იყო რუსეთის, როგორც მსოფლიო წესრიგის დესტაბილიზატორისა და აგრესორის, საქვეყნოდ გამოჭენება და მისი ისედაც შელახული იმიჯის სულ მთლად მიწასთან გასწორება. აი, ამ მიზნის მისაღწევად დასავლეთს დასჭირდა ომის გაჩაღება უკრაინაში, რომელიც თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს **ანგლოსაქსური სცენარით** და კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

**ამ ომში ერთადერთი გამარჯვებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და მათი მოკავშირენი!**



**— საინტერესო ანალიზია, მაგრამ, ალბათ, თქვენს მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგეც ეყოლება!**

— მე გახლავართ მეცნიერი, მკვლევარი, ანალიტიკოსი და რასაც ვაცხადებ, ეს არის ჩემი მეცნიერული განსჯის პროდუქტი! გაგახსენებთ 2008 წლის აგვისტოს ომს, როცა **პრეზიდენტი ბუში** აცხადებდა — **დაე, შევიდეს რუსის ჯარი თბილისშიო!**

**— ანუ ეს პროგრამა დიდი ხნის წინათ შეიქმნა და პირველად ჩვენზე უნდა გამოეცადათ?**

— დიახ,

**მასშტაბურ ომში რუსეთის ჩათრევის პროგრამა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში უნდა აემოქმედებინათ, მაგრამ ჩვენ მაშინ ღმერთმა ბოლომდე არ გაგვწირა და მართალია, უმძიმესი დანაკარგებით, მაგრამ სახელმწიფოებრიობა მაინც შევინარჩუნეთ.**

ახლა ეს პროგრამა დაქოქეს უკრაინაში, **პრეზიდენტ ზელენსკის** შეასრულებინეს თავისი საქმე და ახლა ეუბნებიან, კიევი დატოვე და ლვოვში გადმოდიო! თუ უკრაინის დახმარება უნდოდათ, დასავლეთს შეეძლო, უკრაინა აღეჭურვა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებით, მაგრამ არც საქართველოს და არც უკრაინას ეს უნიკალური სისტემა არ აღირსეს.

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება უკვე აბსურდია?**

— საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება უკვე აბსურდია და აბსურდი იყო თავიდანაც! სხვათაშორის, ჩვენი თავდაცვის მინისტრის გამოსვლა მიუნხენის კონფერენციაზე და განცხადება — **საქართველო მზად არის ნატოში გასაწევრიანებლადო!** — შეცდომა იყო. როცა **ბორის ჯონსონი, შულცი და ბაიდენი** აცხადებენ, რომ აღმოსავლეთით ნატოს გაფართოება არ განიხილება და შენ მაინც შენსას მიერეკები, არ არის ეს მთლად სწორი პოლიტიკა. 1991 წლის ივლისში კოპენჰაგენში ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა პირობა დადეს, რომ ნატოს საზღვრები არ შეიცვლებოდა, ნატო სხვა სახელმწიფოთა ლეგიტიმურ ინტერესებს არ დაემუქრებოდა და რომელიმე ქვეყანას იზოლაციაში არ მოაქცევდა. არსებობს ეს დოკუმენტი... მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ამ დოკუმენტის არსებობას უარყოფდა, რუსეთმა ეს საბუთი ნატოს წინ დაუდო. 1991 წლის ივლისის შემდეგ ნატომ თავისი საზღვრებიც შეცვალა, რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებსაც დაემუქრა და ამხელა დერჟავა იზოლაციაშიც მოაქცია.

**— რა იქნება იმ საშინელების ბოლო, რაც დღეს უკრაინაში ხდება,?**

— ერთი რამ ამთავითვე ცხადია — უკრაინა რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირებას ეწირება და ჩვენს ხელისუფლებასა და ხალხს დიდი წინდახედულობა მართებს, რათა ამ უბედურებას საქართველოც არ შეეწიროს!

**— დიდი მითქმა-მოთქმა და ინსინუაციები მოჰყვა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდება!**

— ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება ქვეყანაზე მოფიქრალი კაცისა და სახელმწიფო მოღვაწის პოზიციაა! 2024 წლამდე საქართველოში ვადამდელი არჩევნების ჩატარებას გამოვრიცხავ და ერთ რამეშიც დარწმუნებული ვარ — **არ ვიცი, გაიმარჯვებს თუ არა 2024 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“, მაგრამ ვიცი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი აუცილებლად გაიმარჯვებს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„2022 წლის თებერვალში პეკინის ოლიმპიადაზე ვლადიმერ პუტინი და ჩინეთის ლიდერი სი ძინ პინი ერთმანეთს შეხვდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ისეთ ურთიერთობას, რომელიც, მათი შეფასებით, ნებისმიერ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე უფრო დიდია!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი ანთაძე**
*„ჩოლოქიის“ მკვლევარი*



ძალიან დიდი ხანია, **მოსკოვმა დასავლეთის ე.წ. გატესტვის რეჟიმი დაიწყო** — რასაც დღეს ვუყურებთ, ფაქტობრივად, **დასავლეთის მხრიდან არასაკმარისი ქმედებებისა და სიმტკიცის გამოხატვის შედეგია.**

„იმედინიუსი“

**ლევან ბეჟაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ნაციონალური მოძრაობა ვერ შეეგუება, რომ მიხეილ სააკაშვილი შიმშილობდეს** — ამ საკითხთან დაკავშირებით, სტრატეგია და გეგმა გვჭირდება, მათ შორის, **საპროტესტო აქციების დაორგანიზება.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობის **მოთხოვნა არის არა სააკაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობა, არამედ სასჯელისგან თავის არიდება,** მართლმსაჯულება უკან ვერ დაიხევს, სასჯელი უნდა აღსრულდეს.

„პირველი არხი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** ცდილობს, როგორმე უკრაინაში არსებული ყველა პრობლემა გადაფაროს და **მთელი საზოგადოება მისი ეგოს გარშემო ამოძრაოს.**

„პირველი არხი“

**დავით ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



როგორც კი ცოტა დათბება და საზოგადოებას სიცივის არ შეეშინდება, **ნაცმოძრაობას არეულობის მოწყობის მცდელობა ექნება.**

„ახალი თაობა“

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიების შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ავადსახსენებელი ლენინის სიცოცხლის ბოლო წლებში კრემლში უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური თანამდებობის ხელში ჩასაგდებად ბოლშევიკ ლიდერებს შორის გაჩაღდა. მეცნიერის თქმით, ლენინი აშკარად ხვდებოდა, რომ რეალურ საფრთხეს არა ტროცკი, არამედ სტალინი უქმნიდა:***



# სვიმონ მასხარაშვილი:

# ნაძირალა ქართველი ბოლშევიკები, იმის ნაცვლად, რომ ქართველს დასდგომოდნენ გვერდით, სტალინს დაუპირისპირდნენ და საბჭოთა იმპერიის სათავეში ტროცკის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი!

— სტალინისთვის კაპიტალისტური მორალი მიუღებელი იყო. ბელადი თავისი მსოფლმხედველობით გეგმურ ეკონომიკასა და მტკიცე მორალზე დაფუძნებული სახელმწიფოს აპოლოგეტი გახლდათ. სტალინი იყო პიროვნება, რომელსაც ჰქონდა შინაგანი შეგრძნება და სურვილი, მიეღწია უმაღლესი ძალაუფლებისთვის. ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი მიზეზი, რის გამოც ქართველი სოციალ-დემოკრატები და შემდგომში „ნაციონალ-უკლონისტებად" წოდებული ბოლშევიკები სტალინს ვერ იტანდნენ, სწორედ უმაღლესი ძალაუფლებისადმი მისი წყურვილი იყო. ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და „ნაციონალ-უკლონისტებს" თავად სურდათ უმაღლესი ძალაუფლება და ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მათი თანამემამულე — სტალინი იყო გადაულახავი ბარიერი.

**— ბატონო სვიმონ, როდის იგრძნო სტალინმა, რომ მას ჰქონდა შანსი, რუსეთის საბჭოთა იმპერიის გვირგვინი დაედგა?**

— უკლებლივ ყველა ავტორი, ვისაც კი სტალინთან ოდნავი შეხება ჰქონია, ხაზგასმით მიუთითებს, რომ **ბელადი რუსეთის იმპერიის ტახტზე შემთხვევით არ მოხვედრილა და ის მოწოდებით იმპერატორი იყო.** მაკედონელშიც, კეისარშიც, ნაპოლეონშიც, ჰიტლერშიც და სტალინშიც უპირველესი და გადამწყვეტი იყო ძალაუფლების ნება, რომელმაც თითოეული ამ პიროვნების ბედი განსაზღვრა. **„მე უნდა ვიყო პირველი!"** — აი, ეს სურვილი ასულდგმულებდა ამ ისტორიული ფიგურებისა და ტიტანების მიზანსწრაფვას. ეს თვისება ადამიანს ან აქვს, ან — არა.

სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა სტალინმა დაინახა, რომ რევოლუცია მისთვის იყო გზა და საშუალება უმაღლეს ხელისუფლებაში მოსასვლელად. მიუხედავად იმისა, რომ 1905-1907 წლების რევოლუცია დამარცხდა, სტალინმა მშვიდად აიტანა ათწლიანი სასჯელი, არც გამარგინალებულა, არც მეფის „ოხრანკის" აგენტი გამხდარა და 1917 წლის გაზაფხულზე გადასახლებიდან ჩამოვიდა თუ არა, უმალ პეტროგრადს მიაშურა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმის კონტურები, რომ სტალინი შესაძლოა, სწორედ რევოლუციის გზით გამხდარიყო უმაღლესი ხელისუფალი, ბელადმა ჯერ კიდევ შორეული 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს დალანდა.

**— ნუთუ სტალინი უხერხულობასა და სინდისის ქენჯნას ვერ გრძნობდა იმის გამო, რომ იმ ლენინის გვერდით იდგა, რომელიც გერმანელებმა დააფინანსეს და ხელისუფლებაში მოიყვანეს?**

— ეს მეასეხარისხოვანი საკითხია, მთავარია, ვინ რა შედეგი მიიღო იმ რევოლუციით, რომელიც მართლაც გერმანული ფულით დაფინანსდა. ფაქტი ერთია — მოგვიანებით სწორედ გერმანია გახდა სტალინის მიერ შექმნილი ძლევამოსილი საბჭოთა იმპერიის მსხვერპლი! ასე რომ, ვინ დარჩა გაბრიყვებული? 1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადში გადატრიალება რომ მოხდა, ნახევარმა ქალაქმა ამის შესახებ სამი-ოთხი დღის შემდეგ შეიტყო. მთელი პეტროგრადი ერთობოდა, რესტორნები და კაფე-ბარები მოქეიფეებით იყო გამოტენილი და არავინ ელოდა იმას, რაც მოხდა. **ოქტომბრის გადატრიალების დროს ტროცკი და ის ჯგუფი, რომელიც ლენინთან იყო დაკავშირებული, მიდიოდნენ ჯარისკაცებთან და მატროსებთან, აგიტაციას ეწეოდნენ და პეტროგრადის ცენტრალურ და სტრატეგიულ წერტილებს იკავებდნენ. სულ ეს იყო ე.წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.** საერთოდ, ტროცკი თავისი ნატურით არ იყო კაბინეტის კაცი...

**— სად იყო ამ დროს სტალინი?**

— სტალინი ამ დროს ერთგულად თამაშობდა ლენინის მტკიცე და უღალატო თანაშემწის როლს. კარგად დავიმახსოვროთ: 1917-1919 წლებში საბჭოთა რუსეთს მართავდა ტრიუმვირატი — **ლენინი, ტროცკი** და **სვერდლოვი!** 1919 წლის მარტში, როცა **იაკობ სვერდლოვი** ცემის თუ „ისპანკის" შედეგად გარდაიცვალა და პირველი პოლიტბიურო შეიქმნა, ლენინის დაჟინებული მოთხოვნით, პოლიტბიუროში შეიყვანეს სტალინიც. ამ პერიოდში **ლევ კამენევისა** და **გერშონ ზინოვიევის** გავლენები დიდად არ იგრძნობა, რადგან მათ ჩაიდინეს უდიდესი სისულელე და 1917 წლის ოქტომბერში, ბოლშევიკურ გადატრიალებამდე ათი დღით ადრე, რუსულ პრესაში დაწერეს — **რევოლუცია რუსეთისთვის დამღუპველი იქნება და ჩვენ ამ იდეას ვემიჯნებითო!** ცხადია, ასეთი ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას თავიდან გარიყული ჰყავდა, მაგრამ **ზინოვიევმა** და **კამენევმა** მაინც მოახერხეს თავიანთი პოზიციების აღდგენა. 1918 წლის აგვისტოდან მოყოლებული, ვიდრე 1919 წლის მარტამდე, როცა ლენინს **კაპლანის** ქალმა ესროლა და დაჭრა, მოსკოვში მძვინვარებდა სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის **იაკობ სვერდლოვის** დიქტატურა, რომელსაც **სტალინიც, ტროცკიც, კამენევიც, ზინოვიევიც** და ყველა, გაგზავნილი ჰყავს ფრონტზე თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.



## „ვიდრე ავად გახდებოდა, ლენინი ტროცკის შეხვდა და შესთავაზა – თუ სტალინის განადგურებაში მხარს დამიჭერ, ჩემი პოლიტიკური მემკვიდრე იქნებიო!"

**— სტალინის გარდა კიდევ ვინ შევიდა პირველ პოლიტბიუროში?**

— როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სვერდლოვის მემკვიდრეობის გადასანაწილებლად 1919 წლის 26 მარტს შეიქმნა პოლიტბიურო, რომელშიც შევიდა ხუთი კაცი — **ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკი, ნიკოლაი კრესტინსკი, ლევ კამენევი, ლენინი** და **სტალინი.** კრესტინსკი იყო ტროცკის კაცი... ზუსტად ასე, ლენინმა პოლიტბიუროში „თავის კაცად" შეიყვანა სტალინი, რომლის გავლენებიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტი და პირობითი იყო, მაგრამ იგი მიიჩნევდა, რომ სტალინი მისთვის ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენი გახლდათ.

**— ყველაზე საინტერესო ის არის, რა დროიდან აღარ იყო ლენინისთვის სტალინი საიმედო?**

— 1921 წლის მარტში **ნიკოლაი კრესტინსკი** პოლიტბიუროდან გაიყვანეს და შემოიყვანეს **გერშონ ზინოვიევი, ალექსეი რიკოვი** და **ტომსკი.** მოკლედ, პოლიტბიურო გახდა შვიდკაციანი, რომელმაც ამ ფორმით იარსება 1924 წლამდე და სწორედ აქ გადაწყდა ყველაფერი. შვიდკაციანი პოლიტბიუროდან ნამდვილი რუსი გახლდათ **ალექსეი რიკოვი,** ხოლო დანარჩენები სუყველანი ებრაელები იყვნენ. **ლენინი** იყო თათრისა და ლუთერანი ებრაელის ნაჯვარი, ხოლო **სტალინი** — ქართველი! 1921 წელს, როცა ლენინის სამხედრო კომუნიზმის იდეამ სრული კრახი განიცადა, ქვეყანა დაიმშა და რუსეთში კანიბალიზმის შემთხვევები დაფიქსირდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, შემოეღო „ნეპი" — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ძალითაც კერძო ვაჭრობა და საკუთრება დროებით დაუშვეს!

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პოლიტბიურო მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ რეგიონებთან პარტიული მუშაობის გასაჩაღებლად აუცილებელი იყო რაღაც ახალი რგოლის, თანამდებობის შექმნა, რათა პარტიული აპარატები აემოქმედებინათ. პოლიტბიურომ ლენინთან შეთანხმებით მიიჩნია, რომ ადგილებზე პარტიული ორგანიზაციების დასაქოქად სტალინის კანდიდატურა ყველაზე საუკეთესო იქნებოდა. ამიტომ სტალინი დაინიშნა ამ რგოლის კურატორად, ანუ პარტიის გენერალურ მდივნად. ეს მოხდა 1922 წლის აპრილში. აი, ასეთ დროს, 1922 წლის მაისში, იმის გამო, რომ მისმა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკამ

> **„შვიდკაციანი პოლიტბიუროდან ნამდვილი რუსი გახლდათ ალექსეი რიკოვი, ხოლო დანარჩენები სუყველანი ებრაელები იყვნენ! ლენინი იყო თათრისა და ლუთერანი ებრაელის ნაჯვარი, ხოლო სტალინი — ქართველი!"**



ალექსეი რიკოვი

## კვირგვინოსნები



**ქეთი შნებერგერი**
*ევროპელი პოლიტიკოსი*

როცა მეგობრებს ვუთხარი, რომ საქართველოში მივდიოდი, სხვადასხვანაირი რეაქცია ჰქონდათ. **ზოგი ამბობდა, რომ საქართველო უმშვენიერესი ქვეყანაა, ზოგი კი მაფრთხილებდა, საშიშია და წასვლას როგორ ბედავო.** ვფიქრობდი, მართლაც ხომ არ უნდა შემშინებოდა, მაგრამ — არა. პატარა, ბნელ ქუჩებში სეირნობისასაც კი არ მქონია შიშის გრძნობა, პირიქით, **ადამიანები, რომლებიც საქართველოში გავიცანი, გულითადები, მეგობრულები და სტუმართმოყვარეები არიან.**

„კვირის პალიტრა"



**ზურაბ აბაშიძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*

თუ ვისაუბრებთ იმაზე, **სირცხვილია თუ არა ქვეყნის დედაქალაქის ერთ-ერთ გამზირს ოკუპანტი ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის სახელი ერქვას,** ამაზე მარტივი პასუხი მაქვს — 2008 წელს, როდესაც მოხდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი კუთხეების ოკუპაცია, ის ძალა იყო ხელისუფლებაში, ვინც ახლა ქუჩის სახელის გადარქმევას ითხოვს. **მაშინ რატომ არ გადაარქვეს სახელი?**

„რეზონანსი"



**ქეთო ჯავახიშვილი**
*პოეტი*

**თავისუფალი საზოგადოება ვიქნებით მაშინ,** როდესაც სახალხო დღესასწაულები ხალხის გარეშე არ ჩატარდება და ქუჩებში ივლიან ადამიანები, რომლებიც წლებია, წიგნებს გაზის, შუქის და ნაგვის ქვითრებზე კითხულობენ, ან **როცა ევროპისკენ მიმავალი გზა მშიერი ბავშვების თვალებზე არ გაივლის.**

„კვირის პალიტრა"



**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელო საქართველოსთვის" ლიდერი*

**წალენჯიხაში** რამდენიმე სერიოზული პროექტი დავიწყეთ, სადაც თავისუფლებაა, იქ არის **ხელოვნება, ინვესტიცია, განვითარება.**

„პირველი არხი"

# „ლენინმა მხარი დაუჭირა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“, რომლებიც სტალინს ებრძოდნენ!“

საშინელი და სამარცხვინო კრახი განიცადა, ლენინმა ნერვიულობისგან მიიღო ინსულტი. 1922 წლის მაისიდან ოქტომბრამდე ლენინი გათიშული იყო და წერა-კითხვის თავიდან სწავლა მოუწია. სწორედ ამ პერიოდში სტალინი შეეკრა **ზინოვიევსა და კამენევს,** რათა ჩაეძირა **ტროცკი.** ბელადმა კარგად იცოდა, რომ, თუ ლენინი მოკვდებოდა, საბჭოთა იმპერიის ლიდერი აუცილებლად გახდებოდა **ლევ ტროცკი. ზინოვიევი** ამ დროს კომინტერნისა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ლიდერი გახლდათ, ხოლო **კამენევი** — მოსკოვის.

**— როგორ მოახერხა სტალინმა ზინოვიევისა და კამენევის მიმხრობა?**

— სტალინმა ეს მოახერხა, რადგან არც **ზინოვიევსა** და არც **კამენევს** არ სურდათ ხელისუფლების სათავეში **ტროცკის** მოსვლა, რომელიც ბოლშევიკების მხარეს 1917 წლის აგვისტოში გადმოვიდა, თორემ მანამდე მენშევიკი იყო. ამ ბრძოლაში **ალექსეი კამენევიც** და **ტომსკიც** სტალინის მომხრენი იყვნენ, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ლენინს მათი პერსონები სწორედ სტალინმა შესთავაზა და პოლიტბიუროში შეაყვანინა.

1922 წლის მაისიდან ოქტომბრამდე, როცა ლენინი გათიშული იყო, სტალინმა პარტიის ცეკას რუსული, შოვინისტური ნაწილის მისამხრობად ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ ხერხს მიმართა. კერძოდ, ქართველი ბოლშევიკების, ე.წ. ნაციონალ-უკლონისტების საწინააღმდეგოდ ბელადი მიემხრო ე.წ. ავტონომიზაციის გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და სხვა ოკუპირებული ქვეყნების საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ავტონომიის უფლებით. ცხადია, ამას ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები“... სტალინმა ამ ნაბიჯით მიიმხრო პარტიის ცეკას რუსული ნაწილი, რომელსაც პატრიოტული გრძნობები პირველად გაუღვივდა. ამ შოვინისტურმა დაჯგუფებამ აშკარად იგრძნო იმის საფრთხე, რომ შესაძლოა, რუსეთის სათავეში მართლა ებრაელი ტროცკი ჩასდგომოდა.

**— ლენინი რომ გონზე მოვიდა, რა მოხდა?**

— ლენინმა მაშინვე იგრძნო, რომ სტალინი, რომელიც მისი ერთგული თანამებრძოლი იყო, უკვე აშკარად ალტერნატივას წარმოადგენდა პარტიაში. ლენინი იმასაც ხვდებოდა, რომ რეალურ საფრთხეს უქმნიდა არა ტროცკი, არამედ სტალინი. ამიტომ, ვიდრე ისევ დაკარგავდა გონებას, მოხდა ორი მნიშვნელოვანი რამ — **ლენინმა დაწერა წერილი და მხარი დაუჭირა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“, რომლებიც სტალინს ებრძოდნენ!** მეორე — ლენინმა ტროცკის უწოდა **„იუდა“!** ლენინს რომ საქართველო გულზე არ ეხატებოდა, ეს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ იმის შიშით, რომ სტალინი ხელისუფლებაში არ მოსულიყო, მან ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“ მხარი აუბა და სტალინის მიერ შემუშავებული „ავტონომიზაციის გეგმა“ დაიწუნა. ტროცკის მოგონებებში პირდაპირ წერია, რომ ვიდრე ავად გახდებოდა, ლენინი ტროცკის შეხვდა და შესთავაზა — თუ სტალინის განადგურებაში მხარს დამიჭერ, ჩემი პოლიტიკური მემკვიდრე იქნები! ერთი სიტყვით, **ლენინი პანიკაში იყო, ოღონდაც სტალინი ხელისუფლებაში არ მოსულიყო.**

**— რაც შეეხება ლენინის წერილს!**

— 1922 წლის დეკემბერში ლენინმა დაწერა თავისი მნიშვნელოვანი მიმართვა — **„წერილი ყრილობას!“** ეს წერილი მან საიდუმლოდ გადასცა თავის პირად მდივანს **ლიდია ფოტიევას,** რომელიც უკვე სტალინის აგენტი იყო. ლენინის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წლის გაზაფხულზე, ეს წერილი სტალინის თანხმობით გაასაჯაროვეს.

**— რა წერია წერილში?**

— წერილში ლენინი წერს — **სტალინში შევცდით. ეს არის ძალიან უხეში პიროვნება, რომლის უხეშობაც ასე თუ ისე ასატანი იყო შიდა, მეგობრულ, ამხანაგურ წრეში, მაგრამ პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ასეთი პიროვნების ყოფნა დაუშვებელიაო!** ლენინი იმავე წერილში სხვებსაც აკრიტიკებს, განსაკუთრებით — ტროცკის, რომელსაც **„იუდას“** უწოდებს, მაგრამ ისევ და ისევ დაბეჯითებით მოუწოდებს ყრილობას — აუცილებლად ვიფიქროთ სტალინის გადარჩევაზეო!



## „მაკედონელშიც, კეისარშიც, ნაპოლეონშიც, ჰიტლერშიც და სტალინშიც უპირველესი და გადამწყვეტი იყო ძალაუფლების ნება, რომელმაც თითოეული ამ პიროვნების ბედი განსაზღვრა!“



მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე

**— 1924 წელს, როცა ეს წერილი გასაჯაროვდა, სტალინს დისკომფორტი არ შეექმნა?**

— არანაირი, რადგან მთელი ცეკა უკვე სტალინის ხელში იყო. ამ წერილის გასაჯაროებით, რომელსაც სტალინი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ინახავდა, ბელადმა წყალი შეუყენა **ტროცკის,** რომელსაც ლენინი **„იუდად“** მოიხსენიებდა. წერილით სტალინმა მთელ ცეკას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მისი ალტერნატივა **ტროცკი** იყო არამარტო ეროვნებით ებრაელი, არამედ **„იუდაც“.**

სტალინის მიერ სწორად შერჩეულმა ამ სტრატეგიამ ის შედეგი გამოიღო, რომ ლენინის წერილის გასაჯაროებამ ბელადს ვერაფერი დააკლო, ხოლო ტროცკის პოზიციები კიდევ უფრო მეტად შეურყია. **წერილი რომ ჯიბეში ჰქონდა და ლენინის მოსაზრება იცოდა, სტალინი სერიოზულად მოემზადა და ზინოვიევთან და კამენევთან ერთად ტროცკის წინააღმდეგ სერიოზული შეტევა დაიწყო.** მართლაც, მთელი 1923 წელი იმაში გაილია, რომ სტალინმა, ზინოვიევმა და კამენევმა ტროცკის წინააღმდეგ ააგორეს უმძლავრესი კამპანია. მაგალითად, **ტროცკის** ამოუქექეს ამერიკაში გატარებული წლები, ასევე გაიხსენეს მისი მენშევიკობაც... ერთი სიტყვით, სერიოზული პრობლემები შეუქმნეს.

**— რა ხდება 1923 წელს საქართველოში და რა ურთიერთობა აქვთ ქართველ ბოლშევიკებს სტალინთან, რომელიც უმძიმეს ბრძოლას აწარმოებს იმპერიის ცენტრში, რათა ლენინის შემდეგ პირველკაცობა არავის დაუთმოს?**

— 1923 წელს ქართველი ბოლშევიკებისთვის — **მიხა ცხაკაიას, მამია ორახელაშვილის, ბუდუ მდივნის, ფილიპე მახარაძისა** და სხვებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ლენინს დიდი დღე არ ეწერა და მისი ადგილი ან სტალინს უნდა დაეკავებინა, ან — ტროცკის. **აი, ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ნაძირალა ქართველი ბოლშევიკები, იმის ნაცვლად, რომ ქართველს დასდგომოდნენ გვერდით, სტალინს დაუპირისპირდნენ და საბჭოთა იმპერიის სათავეში მოსასვლელად ტროცკის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი!** გეკითხებით, ქართველის გარდა ამას რომელიმე სხვა ნაცია იზამდა? მოკლედ, ქართველი ბოლშევიკები მთლიანად შეეკრნენ ტროცკის და ლენინი გონზე მოვიდა თუ არა, მის წინაშეც სცადეს სტალინის გაშავება.

**— ქართველი მოღალატეების ამ ჯგუფს ვინ მეთაურობდა?**

— სტალინის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ბოლშევიკთა ჯგუფს **ფილიპე მახარაძე** ხელმძღვანელობდა. მოკლედ, სტალინის ძველი ძმაკაცები ქართველს დაუპირისპირდნენ და გადამთიელ ტროცკის შეეკრნენ!

**— სერგო ორჯონიკიძე ამ დროს რას აკეთებდა?**

— **სერგო ორჯონიკიძე** ე.წ. ნაციონალ-უკლონისტებთან არ მეგობრობდა! მოკლედ, ქართულმა შურმა აქაც იჩინა თავი და, როგორც კი ცხადი გახდა, რომ სტალინი საბჭოთა იმპერიის სათავეში მოდიოდა, ქართველი ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა მისთვის პრობლემები შეექმნათ და მოსკოვში ხაფანგები დაეგოთ!

## „1923 წელს ქართველი ბოლშევიკებისთვის — მიხა ცხაკაიას, მამია ორახელაშვილის, ბუდუ მდივნის, ფილიპე მახარაძისა და სხვებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ლენინს დიდი დღე არ ეწერა და მისი ადგილი ან სტალინს უნდა დაეკავებინა, ან — ტროცკის!“

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**ბესიკ ხარანაული**
*პოეტი*



ვფიქრობდი, კი არ ვემშვიდობები **თამაზ მეჭიაურს,** წუთისოფლიდან სულეთში ასე ვაცილებ: **„მომავალ შეხვედრამდე, ლომო!“** ერთმანეთს ყოველთვის ვესალმებოდით სიტყვებით: **„ლომო, როგორა ხარ?“** გამოხედვა და ღიმილი ისეთი ჰქონდა, მიხვდებოდი, რომ შენზე ფიქრობდა. ეჰ, **ლომების მეგობრობა დასრულდა.** ასე აღარავინ მომესალმება. მარტო **ზურა ქაფიანიძემ** და **თამაზმა** იცოდნენ ასეთი მოსალმება და ორივე დავკარგე.

„კვირის პალიტრა“

**თამარ მეჭიაური**
*თამაზ მეჭიაურის ყოფილი მეუღლე*



**თამაზი იყო კაცობის მაგალითი, ულირსი საქმე არასდროს ჩაუდენია.** მე მისი დიდი პატივისცემა მქონდა, ის ყოველთვის დარჩება ჩემთვის, როგორც საუკეთესო ადამიანი, ვაჟკაცობისა და პატიოსნების სიმბოლო. ბოლოს რომ ვესაუბრე, ძალიან მოწყენილი ხმა ჰქონდა. შემოვუძახე, გამაგრდი და შენებურად იბრძოლე-მეთქი. **ისე სევდიანად დამემშვიდობა, გული ჩამწყდა.**

„სარკე“

**სიმონ ბარამიძე**
*მეცნიერი, აკადემიკოსი*



**სამშენებლო მტვერი, მანქანებისა და უკვე გათბობის გამონაბოლქვი ატმოსფეროში სერიოზულ დაბინძურებას იწვევს,** რომელიც ილექება დაბლა და მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დიდ საფრთხეს უქმნის. დედაქალაქის განიავების ფუნქციას მტკვარი ასრულებს, მაგრამ — არასაკმარისად. **დღესდღეობით თბილისი მხოლოდ ქარის დროს ნიავდება.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დათო დვალიშვილი**
*მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი*



უკვე აღარ ვიცი, რამდენი მეგობარი დავკარგე. ბოლომდე ვერც გავაცნობიერე, რომ ჩემ გვერდით აღარ არიან. **ზოგჯერ ავიღებ ტელეფონს, მინდა, შევეხმიანო, მოვიკითხო, გამახსენდება, რომ აღარ არის** და ხელები მოჭრილივით ჩამომცვივა.

„სარკე“



დასაწყისი იხ. 2022 წლის „ა–დ“ №9

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

სააკაშვილი თავის მემუარებში, საქართველოდან გაქცევის ამბის შემდეგ, უკრაინული ამბების თხრობას აგრძელებს! ეს აშკარად უკრაინელებზეა გათვლილი — აი, როგორ მემშობლიურება თქვენი სამშობლოო.

მემუარების ქვეთავს ასეც ჰქვია — **„უკრაინა ჩემს ცხოვრებაში“** და ასეთი ურცხვი მაამებლობით იწყება:

> ***„საქართველოსთან ერთად, მრავალი წელი ჩემს თავს ვაიგივებდი ასევე უკრაინასთან. აქ ჩვიდმეტისა ჩამოვედი და შვიდი წელი დავრჩი. აქ პირველად ვიგრძენი თავი დამოუკიდებლად, აქ მნიშვნელოვანწილად ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“ გვ.16).*

სააკაშვილი ფრაგმენტულად აღწერს თავის სტუდენტობის ამბებს კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში და ურცხვად „აბოლებს“ მკითხველს, როგორი „ანტისაბჭოთა დისიდენტი“ იყო. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს არსება კაგებეშნიკმა ბიძამ მოაწყო იმავე „კაგებეს“ პატრონაჟის ქვეშ არსებულ საბჭოთა დიპლომატიურ უმაღლეს სასწავლებელში! **ანუ რომელი ნორმალური დაიჯერებს, რომ საბჭოთა დიპლომატად აღსაზრდელი სააკაშვილი ასე „მამაცად დისიდენტობდა“!**

თუმცა, მემუარისტი იქვე ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, „დისიდენტი მიშიკო“ როგორ პირდაპირ და ღიად მიესალმა კრემლის მიერ მოწყობილ სისხლიან პუტჩს საქართველოში და როგორ ეძახდა დასავლური პრესისთვის პუტჩის დასრულებისთანავე **„კავკასიის ჰუსეინს“** საქართველოს პირველ პრეზიდენტს **ზვიად გამსახურდიას!** დოკუმენტები არ იწვიან და აგერ, ბატონო, პოლონურ ჟურნალ **„ვპროსტისთვის“** მიცემული სააკაშვილის ინტერვიუც სამარცხვინო სახელწოდებით **„კავკასიის ჰუსეინი“!**

სააკაშვილი უკრაინული ამბების თხრობისას იხსენებს უკრაინის პრეზიდენტ **ლეონიდ კუჩმასთან** ახლო ნაცნობობასაც და საკუთარი პერსონის განდიდებით დაბრმავებული ვერც კი ამჩნევს, როგორ წამოაყრანტალა, რომ მართლა აპირებდა 2004 წლის „აჭარის რევოლუციისას“ ბათუმის დაბომბვას:

> ***„1998 წელს*** *(სააკაშვილი ამ დროს, უკვე სახელისუფლებო „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციის ლიდერია — გ.გ.),* ***ლეონიდ კუჩმა გავიცანი. მაშინ შევარდნაძე სტუმრობდა უკრაინას ოფიციალური ვიზიტით. უკრაინის პრეზიდენტთან ერთ მაგიდაზე აღმოვჩნდი. შემდეგ კუჩმამ ცალკე მიმიღო. ეს მისი მხრიდან დემონსტრაციული ჟესტი იყო. რატომღაც მოვეწონე. მან დიდი დრო დამითმო. 2004 წლის გაზაფხულზე ის ძალიან დამეხმარა: საქართველოს ვერტმფრენები მოაწოდა, რომელთა დახმარებითაც წესრიგი აღვადგინეთ შევარდნაძის პერიოდში განდგომილ აჭარაში“*** *(იქვე, გვ. 19).*

აი, შავით თეთრზე ასე უწერია მემუარისტს: **კუჩმას მიერ მოწოდებული ვერტმფრენების დახმარებით „წესრიგი აღვადგინეთ“** „შევარდნაძის პერიოდში განდგომილ აჭარაშიო“!

ანუ ეს პირდაპირი აღიარებითი ჩვენებაა იმისა, რასაც „ასავალ-დასავალის“ ჭორებს ეძახდნენ ნაცები, როდესაც ჩვენ ამას ღიად ვწერდით სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში: **დიახ, სააკაშვილი თავის მემუარებში აღიარებს, რომ მართლა დაემუქრა ასლან აბაშიძეს, ვერტმფრენებიდან ბათუმს დავბომბავთო!**

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, რამხელა მასშტაბის ფიგურაა და როგორ მოაწყობინა უკრაინული ოპოზიციის ლიდერ **ვიქტორ იუშჩენკოს** 2004 წლის „ნარინჯისფერი რევოლუცია“.

> ***„იუშჩენკომ ვიღაცისგან შეიტყო, რომ მე ჩამოვედი. მასთან ზუსტად იმ დროს ოპოზიციის საბჭო უნდა შეკრებილიყო. იუშჩენკომ მიმიწვია, თათბირში მონაწილეობა რომ მიმეღო. მათ ჩვენი გამოცდილება აინტერესებდათ — როგორ ჯობდა არჩევნების ჩატარება. ვურჩიე: არჩევნებს თქვენ, რა თქმა უნდა, ჩაატარებთ, თუმცა, რევოლუცია მაინც დაგჭირდებათ. რა რევოლუცია?! — წამოიძახა იუშჩენკომ — ეს უკრაინაა და არა საქართველო“.*** *(იქვე, გვ. 20).*

ანუ წარმოიდგინეთ, ეს არსება მაშინ საქართველოს პრეზიდენტია და უკრაინაში ვიზიტით ჩასული იქაურ ოპოზიციას **რევოლუციის მოწყობისაკენ** და **ხელისუფლების დამხობისაკენ** მოუწოდებს!

და ამას საკუთარი პირით აღიარებს, ვინმე კი არ უგონებს!

და იქვე, სააკაშვილი, რომ იტყვიან, **ურცხვად ხოტბასასხამს პეტრო პოროშენკოს** — ეს მემუარები ხომ სწორედ მაშინ გამოიცა უკრაინაში, როდესაც პოროშენკო პრეზიდენტი იყო, სააკაშვილი კი მისი ოდესის გუბერნატორი!

> ***„შემდგომშიც მრავალჯერ მსმენია, რომ უკრაინა საქართველო არ არის. მაგრამ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელსაც სტუდენტური მერხიდან ვიცნობდი — პოროშენკო. ის სწორედ ჩემი სიტყვებით დაინტერესდა და კრების შემდეგ მთხოვა, მომეყოლა, თუ როგორ კეთდება რევოლუცია. კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა. ჩამოთვლა დავიწყე: დაგჭირდებათ კარვები, როკჯგუფები, თბილი ტანსაცმელი და სასურველია, მოიგონოთ რაღაც ახალი ბრენდი. მან ყველაფერი ჩაიწერა“.*** *(იქვე, გვ.19).*

ეს ის პოროშენკოა, რომელმაც თავისი პრეზიდენტობისას, ავანტიურისტი სააკაშვილი ოდესის გუბერნატორობიდანაც მოხსნა, მოქალაქეობაც ჩამოართვა, პროპელერიანი კარლსონის მსგავსად, სახურავ-სახურავზეც არბენინა, უკრაინიდანაც გააპანღურა და შემდეგ ციხეშიც აყურყუტა, როდესაც მიხაილო პოლონეთის საზღვრიდან შემოიჭრა უკრაინაში! მაგრამ **ეს უკვე ამ მემუარების გამოქვეყნების შემდეგ მოხდა და ამიტომაც ელაქუცება სააკაშვილი მემუარებში თავის გამპანღურებელს!**

სააკაშვილი უკრაინასთან დაკავშირებით ისეთ კულუარულ ამბებსაც იხსენებს, რომლებშიც პირდაპირ ამხელს და არცთუ სასიამოვნო შთაბეჭდილებებით წარმოაჩენს თავის ნათლიმამა **ვიქტორ იუშჩენკოსაც** და ძველ მეგობარ **ლეონიდ კუჩმასაც.** ასე მაგალითად, სააკაშვილი ჰყვება 2004 წლის ამბავს, როდესაც ის საქართველოს პრეზიდენტის რანგში ესტუმრა უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას მის დაბადების დღეზე:

> ***„აეროპორტიდან სახელმწიფო რეზიდენციისაკენ მიმავალი მთელი გზა იანუკოვიჩის*** *(უკრაინის პრორუსული პრემიერი და მაშინდელი საპრეზიდენტო კანდიდატი — გ.გ.)* ***ბილბორდებით იყო ავსებული და მისი პარტიის ფერებით მორთული. „აბა, ნახე იმ ბანდიტის ბილბორდები?“ — შესვლისთანავე მკითხა კუჩმამ. — „იმედი მაქვს, მას არ აირჩევენ და თუ მაინც აირჩევენ, კარგი დღეც დაადგებათ. მას ჯერ კიდევ არ იცნობენ. აი, მაშინ კი დამაფასებს ხალხი. შენი მეგობარი იუშჩენკო კი აბსოლუტურად უწყინარია. ის გაცილებით მეტად მესიმპათიურება. მართალია, მას თაფლისა და ფუტკრის გარდა ცოტა რამ აინტერესებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ უკრაინისთვის იუშჩენკო უკეთესი იქნება“. ამის მოსმენა ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო.***
>
> ***კუჩმა ნამდვილად არ იყო იანუკოვიჩის მხარეს. ის ყოველთვის ორმაგ თამაშს თამაშობდა. ვფიქრობ, გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ ქაოსი დაიწყებოდა და ხალხი მას, ამა თუ იმ ფორმით, დარჩენას სთხოვდა“.*** *(იქვე, გვ.23).*

ეს იქით იყოს, სააკაშვილი თავის ძველ მეგობარ **კუჩმას** კრიმინალური ბანდის მეთაურადაც კი წარმოაჩენს:

> ***„მახსოვს, 2004 წელს პირველად ვეწვიე უკრაინას ოფიციალური ვიზიტით. კონცერტს ვესწრებოდით. ჩემგან მარჯვნივ პრეზიდენტი კუჩმა იჯდა, მარცხნივ — პრემიერი იანუკოვიჩი. კუჩმა ეკითხება მას: „აბა, რას იტყვი, ვიტია, ზვიაგილსკი*** *(ერთ-ერთი ხელისუფლებისაგან შერისხული უკრაინელი ოლიგარქი — გ.გ.)* ***არ გამოჩენილა?“ — „რას ბრძანებთ?!“ — პასუხობს იანუკოვიჩი — „ის რომ გამოჩენილიყო, ბიჭები დიდი ხნის წინ გაასაღებდნენ. პრემიერი ეუბნება პრეზიდენტს, რომ ვიღაცის „გასაღებაა“ საჭირო! უფრო მეტიც, იანუკოვიჩი აშკარად არ ხუმრობდა“*** *(იქვე, გვ.25).*

აი, ეს არის სააკაშვილი, რომელიც საკუთარ დედასაც კი არ დაინდობს, ოღონდ საკუთარი თავი წარმოაჩინოს აღმატებულ ხარისხში!

არადა, ვისი კრიმინალურობა უკვირს სააკაშვილს, რომლის კისერზეც უამრავი სისხლიანი ისტორიაა?

სხვათაშორის, სააკაშვილმა თავის მემუარებში თვით **იულია ტიმოშენკოც** კი „ჩაუშვა“:

> ***„ერთხელ, ნარინჯისფერი რევოლუციიდან დიდი ხნის შემდეგ, იანუკოვიჩთან რამდენიმესაათიანი ლაპარაკი მქონდა. საუბრის უმეტესი ნაწილი მან იულიას დაუთმო. ასახელებდა მის კრიმინალურ — მოგონილ თუ რეალურ საქმეებს...“*** *(იქვე, გვ. 26).*

მოკლედ, სააკაშვილმა უკრაინელებს პირდაპირ უთხრა, **იულია ტიმოშენკო** — თქვენი ქვეყნის პრემიერად რომ გყავდათ — ჩვეულებრივი კრიმინალიაო! სწორედ ამას ნიშნავდა იულიას კრიმინალობაზე ხაზგასმულად ნათქვამი **„მოგონილი თუ რეალური საქმეებიო“!**

მოკლედ, მემუარისტი მეგობრების ჩათვლით არავის ინდობს, ოღონდ თვითონ გამოჩნდეს უმწიკვლო, თეთრ და ფუმფულა მიშიკოდ!

**სააკაშვილი აღიარებს, რომ მართლა დაემუქრა ასლან აბაშიძეს, ვერტმფრენებიდან ბათუმს დავბომბავთო!**


2
კუჩმას მიერ მოწოდებული ვერტმფრენების დახმარებით „წესრიგი აღვადგინეთ“ — „შევარდნაძის პერიოდში განდგომილ აჭარაშიო“!


იულია ტიმოშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი

გიორგი გიგაური

გაგრძელება იქნება

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**

# პროფესორ ჯაბა სამუშიას უნიკალური პროექტი, ანუ რა უნდა აგონდებოდეს ქართველს

*რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის, პროფესორ **ჯაბა სამუშიას** პროექტით და ინიციატივით, ქართველმა მკითხველმა უნიკალური საჩუქარი მიიღო. თქვენ წინაშეა „საქართველოს ისტორიის პალიტრის" პირველი ტომი, რომელიც ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებს ეძღვნება. დაგეგმილია კიდევ თოთხმეტი ტომის გამოშვება... საგულისხმოა, რომ თითოეულ ტომზე სპეციალისტთა საგანგებოდ შერჩეულმა ამქარმა იმუშავა, რაც გამოცემას მაღალ სამეცნიერო სტანდარტს, სოლიდურობასა და სანდოობას სძენს. 15-ტომეულში, რომლის თითოეულ წიგნსაც მკითხველი თვეში ერთხელ მიიღებს, პროფესორ ჯაბა სამუშიას მხოლოდ ორი ტომი ეკუთვნის — „საქართველოს სამხედრო ისტორია" და „ქართული გასტრონომიის ისტორია"... მეცნიერი მიიჩნევს, რომ ისეთი მაღალი მეცნიერული ხარისხის გამოცემა, როგორიც „საქართველოს ისტორიის პალიტრაა", ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს:*

— **„საქართველოს ისტორიის პალიტრის"** თხუთმეტტომეულის გამოცემა, რომლის პროექტის ავტორიც გახლავართ, ძირითადად, იმან განაპირობა, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის ერთი რამ დაგვენახებინა — საქართველოს ისტორია არ არის მხოლოდ მეფეების ისტორია! სინამდვილეში ეს გახლავთ უძველესი ცივილიზაციის თავგადასავალი, რომელსაც გააჩნია თავისი ეთნიკური ისტორია, აბსოლუტურად განყენებული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, ქალის კულტი, მედიცინისა და მოდის ისტორია, გამორჩეული და ნატიფი ხუროთმოძღვრება, არაჩვეულებრივი გასტრონომია, უძველესი და მრავალფეროვანი პოლიტიკური ისტორია და დიადი სამხედრო წარსული... ბევრმა არაფერი იცის ქართული ზღვაოსნობის შესახებ და არც იმ ეპიდემიებზე აქვთ წარმოდგენა, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას უდიდესი ზიანი მოუტანეს!

**— ბატონო ჯაბა, გრიგოლ რობაქიძის ცნობილი წერილის მიხედვით თუ განვსჯით, ამ საყოველთაო ეიფორიის, სამხედრო დაპირისპირებისა და ცივილიზაციათა ომის ზღურბლზე „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს"?**

— ქართველს უნდა აგონდებოდეს, რომ ეს ქვეყანა უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე წარმოადგენს უნიკალურ არეალს, სადაც კულტურის უწყვეტი განვითარების ჯაჭვი ფიქსირდება. **საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვედა პალეოლითის ხანის უძველესი კულტურის, ე.წ. აშელური ხანის ნამოსახლარები.** აშელური კულტურა დაახლოებით **1 მილიონ 700 ათასი წლის წინათ** დაიწყო და 100 ათასი წლის წინათ დასრულდა, რომელიც **მუსტიეს** კულტურამ შეცვალა. ცნობისათვის, საქართველოში აშელური ეპოქის 50-ზე მეტი ძეგლი გვაქვს, ხოლო 200-ზე მეტი ძეგლი მუსტიეური ეპოქით თარიღდება. საერთო ჯამში, საქართველოში 400-ზე მეტი ძეგლი გვაქვს, რომელიც პალეოლითს განეკუთვნება. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 150 ძეგლი მხოლოდ ზედა პალეოლითითა და მეზოლითით, ანუ შუა ქვის ხანით თარიღდება. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეს იმ დონის მასშტაბებია, ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს რომ შეშურდება...

**— მაინც რამდენად ძველია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები და რამდენად გვაქვს ქართველებს იმის განცხადების საფუძველი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ კულტურის შემქმნელი ხალხი იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა უშუალო წინაპარი და არავინ სხვა?**

— საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კულტურა რომ დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესია, ეს **„დმანისელი ადამიანის"** აღმოჩენამაც ცხადყო. ქართველი მეცნიერების გარდა მთელმა მსოფლიომ დაადასტურა და აღიარა ის ფაქტი, რომ ევრაზიაში ყველაზე უძველესი ადამიანი სწორედ „დმანისელი ადამიანი" გახლავთ, რომლის ასაკიც **1 მილიონ 800 ათასი წლით** განისაზღვრა.

ქართულ ცივილიზაციას ძალიან აქტიური ურთიერთობა ჰქონდა შუმერულ სამყაროსთან, ხეთებთან, ასურეთთან და ეგვიპტესთან. ქართულისა და შუმერულის საერთო ძირების შესახებ კვლევები დიდი ხანია ინტენსიურად მიმდინარეობს. ასურულ წარწერებში ერთ-ერთი მეფის ცხენს პირდაპირ **„არცივ"**, ანუ **„არწივი"** ჰქვია, ხოლო ხეთების მეფეები თავიანთ თავს ასე უწოდებდნენ — **„ჩემმა მზემ!"**

ეგვიპტელებსა და ძველ ქართველებს რომ ერთმანეთთან უმტკიცესი კავშირი ჰქონდათ, ამას თვით **ჰეროდოტეს** საქვეყნოდ ცნობილი ცნობა ადასტურებს. მოგეხსენებათ, ჰეროდოტე მიიჩნევდა, რომ კოლხები ძველი წელთაღრიცხვის მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე **ფარაონ სესოსტრისის,** ანუ იმავე **სენუსერტ მესამის** მოლაშქრეთა შთამომავლები იყვნენ. რაჭაში, ბრილში, ჩატარებული გათხრების შედეგად ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის მეთვრამეტე საუკუნეში დამზადებული ეგვიპტური სკარაბეები, რომლებზეც ეგვიპტური იეროგლიფებია ამოტვიფრული. მსგავსი სკარაბეები, რომლებსაც მხოლოდ ეგვიპტეში ამზადებდნენ, ბრილში ნაპოვნია ძალიან დიდი რაოდენობით. ქართულმა ენამ და ქართველურმა ტომებმა მიიღეს და შეითვისეს არაერთი ურარტული სიტყვა, მაგალითად, **„ყირა"**, რომელიც ქართულად **„მიწას"** ნიშნავს. სწორედ აქედან წარმოდგება ქართული სიტყვები — **„თავდაყირა", „ყირამალა"...** ქართულში სწორედ ურარტულიდან შემოვიდა მოსავლის ღვთაების — **„არალეს"** კულტი, რომელიც არაერთ ქართულ სიმღერაში, მაგალითად, **„კალოსპირულში"** დამკვიდრდა. ფაქტია, რომ ბრინჯაოს ხანაში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ერთიანი კულტურული სივრცე, რომლის შემოქმედიც ქართველური ტომებია!



## ჯაბა სამუშია:

## „საქართველოს ისტორიის პალიტრა" ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს!



**— რას იტყვით იმის შესახებ, თითქოს ქართველები საქართველოს ტერიტორიაზე მოსული ხალხია და ჩვენ არ წარმოვადგენთ ამ ქვეყნის ავტოქტონ მოსახლეობას?**

— ეს აბსურდია! ყველა სერიოზული მეცნიერი — უცხოელიც და ქართველიც თანხმდება იმაში, რომ, სულ მცირე, ენეოლითის ხანიდან მოყოლებული, კავკასიის იმ რეგიონში, რომელსაც დღეს საქართველო ჰქვია, კულტურის უწყვეტ ჯაჭვს ქმნის და მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან დგას ის ხალხი, რომელსაც დღეს ქართველი ერი ჰქვია! დიახ, ანთროპოლოგიურად დადასტურებულია, რომ კულტურას უძველესი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერი! ასე რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა სხვა მსჯელობა არის სიყალბე, ინსინუაცია და სხვა არაფერი.

**— შეიმჩნევა თუ არა იმ უძველეს კულტურულ არეალში, რომელსაც უძველესი ქართველები — ამ ქვეყნის ავტოქტონი მოსახლეობა ქმნიდა, ისეთი მძლავრი კულტურული ნაკადის შემოჭრა, რომელმაც ადგილობრივი კულტურა შეცვალა, დაჩრდილა და ჩაანაცვლა?**

— ასეთი მძლავრი კულტურული ნაკადების შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება, მაგრამ არსად, არასდროს და არცერთ ეპოქაში არ დასტურდება ის ფაქტი, რომ უცხო ძალას ადგილობრივი, ქართველი მოსახლეობისთვის თავისი კულტურა თავს მოეხვიოს და ადგილობრივი კულტურული ქსოვილი შეეცვალოს. როგორც ქართული წყაროები გვამცნობენ, მართალია, ყიზილბაშების ბატონობის დროს ქართული პოლიტიკური ელიტა ირანელთა წეს-ჩვეულებაზე გადავიდა, მაგრამ ქართველი ერის ძირითად მასას ეს ცვლილება არ შეხებია და ერი ერად დარჩა, რომელმაც ქრისტიანობაც შეინარჩუნა, მენტალობაც და ტრადიციებიც.

ყველაზე მძლავრი კულტურული ნაკადი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიტანეს ძველმა ბერძნებმა და აქემენიდურმა სპარსეთმა, მაგრამ ადგილობრივი კულტურა ვერც მათ დაჩრდილეს და გააძევეს! ერთი რამ ხაზგასმით უნდა ითქვას — **ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება ერთიანი კულტურული წრე!** აი, ამის დასტურია თუნდაც ბრინჯაოს ცულები, რომლებსაც მეცნიერები „კოლხურ ცულს" უწოდებენ. საქართველოში ეს ცულები ნაპოვნია თითქმის ყველგან, როგორც — აღმოსავლეთში, ისე — დასავლეთში. უბრალოდ, დასავლეთ საქართველოში ის ბევრად უფრო მეტი რაოდენობითაა ნაპოვნი და იმიტომაც უწოდეს ეს სახელი — **„კოლხური ცული".**

ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში — არგონავტების ეპოქაში დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სამეფოს არსებობა ეჭვს არ იწვევს. დაახლოებით იმავე პერიოდისაა სამხრეთქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება დიაოხიც, რომელიც უძველესმა ქართულმა ტომებმა ტაოხებმა შექმნეს. სწორედ ამავე ეპოქაში, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება ქონების მკვეთრი დიფერენციაცია, რაც აშკარა ნიშანია იმისა, რომ რაღაც დიდი პოლიტიკური გაერთიანება აქაც უნდა ყოფილიყო!

ქართველ ერს აქვს დიდი და ძველისძველი ისტორია, რომლითაც სამართლიანად უნდა ვიამაყოთ. ვიმედოვნებ, რომ **„საქართველოს ისტორიის პალიტრის"** თხუთმეტტომეული საქართველოს წარსულის, მისი კულტურისა და ტრადიციების სწორად გაგებაში ბევრს დაეხმარება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ეს მრავალტომეული ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გია ნადარეიშვილი**
*ექიმი ჰომეოპათი, აკადემიკოსი*



უფლება რომ მომცენ, **„დრონით",** ჩემი პრეპარატით, დავამუშავებდი თბილისს, მთელ საქართველოს და **ერთ კვირაში ავუკრავდი გუდა-ნაბადს კორონას.** „ალია"

**გიორგი ფხაკაძე**
*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, პროფესორი*



თუ თქვენ გადაიტანეთ **ომიკრონის პირველი ვარიანტი,** არ ხართ დაცული **მეორე ვარიანტისგან** და შესაძლებელია, გამოჯანმრთელებიდან მეორე დღესვე დაგემართოთ **ომიკრონის მეორე ვარიანტი.** ყველაფერი რასაც ამბობდნენ, ტყუილი გამოდგა — ომიკრონი გრიპიაო, დასასრულის დასაწყისიაო, კოვიდს ვინც გადაიტანს, იმუნიტეტი რჩება და აღარ ემართება ახალი შტამიო — გამართლდა რომელიმე? **რეალობა ისაა, რომ გვიცავს სამჯერ ვაქცინაცია პირბადესთან და დისტანციასთან ერთად.** „ალია"

**მანანა ხიდაშელი**
*[illegible]*



ერმალო **ანტივაქსერი** ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა, მეც და მასაც ახლობლები გვიგზავნიდნენ ინფორმაციებს — **ნახეთ, რა საშიშია ვაქცინაო.** ალბათ, მასზე ამან იმდენად იმოქმედა, რომ შიშმა შეიპყრო. **მე სკოლაში ავიცერი და ვეხვეწებოდი, შენც აიცერი-მეთქი.** ბრაზობდა, აპროტესტებდა. მე ვფიქრობ, **ეშინოდა, აცრით რამე არ დამართოდა.** ჯობდა, მეც მოვმკვდარიყავი და ერთად წავსულიყავით იმქვეყნად. ალბათ, ამქვეყნად მის სულზე სალოცავად დავრჩი. „თბილისელები"

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციონისტი, [illegible] გენერალური დირექტორი*



პრემიერმა მოახდინა იმის კონსტატაცია, რაც არის: **2-ჯერ ვარ აცრილი, ახლახან გადავიტანე კოვიდი და „ბუსტერი" არ მჭირდებაო,** სადღაც მართალია — **ნუ გავიგებთ ისე, რომ მოუწოდებს მოსახლეობას, „ბუსტერი" არ გაიკეთონ.** „ინტერპრესნიუსი"

**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**

***გული ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი, მაგრამ, ამავდროულად, ფაქიზი ორგანოა. ადამიანების უმრავლესობა გულის ჩივილს მაშინ გრძნობს, როცა სერიოზული კარდიოლოგიური პრობლემები უკვე სახეზეა. არადა, მეცნიერულად ზედმიწევნით შესწავლილია ის ნიშნები, რომლებიც გულის პათოლოგიაზე უტყუარად მიგვითითებს. ქართველი მეცნიერი და ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი სწორედ იმ გამოხატული თუ ფარული სიმპტომების შესახებ გვესაუბრება, რომლებიც აშკარად მიგვანიშნებს, რომ გულს სერიოზული საფრთხე ემუქრება:***



**გადავიღოთ კარდიოგრამა, რამეთუ ინფარქტის პირველი ნიშნები შესაძლოა, უკვე სახეზე გვქონდეს! ასეთ დროს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, მაქსიმუმ, 90 წუთია დარჩენილი.**

**ძლიერ და უეცარ ოფლიანობას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციონ შუახნის ასაკს გადაცილებულმა ქალებმა, რადგან დიდია იმის ალბათობა, რომ ეს ყველაფერი მათ კლიმაქტერიულ მოვლენებს მიაწერონ!** საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ქალებში ინფარქტის შემთხვევათა 90 პროცენტზე მე-



„ინფარქტის თავიდან ასაცილებლად არამარტო გულს, არამედ ღრძილებსაც უნდა მივხედოთ!“

*კახა საბახტარიშვილი:*

# ე.წ. იჟოგა შესაძლოა, გამოწვეული იყოს ინფარქტის საწყისი სტადიით!

— შესაძლოა, ბევრმა არაფერი იცის იმის შესახებ, რომ მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით ყოველწლიურად, სულ მცირე, ათჯერ მეტი ადამიანი მაინც იღუპება, ვიდრე კორონაპანდემიის პიკის დროს. **რადიკულიტი, წყლული, პროსტატის ადენომა, თირკმელკენჭოვანი დაავადებები არ კლავს და ყოველთვის გამოამჟღავნებს თავს, მაგრამ გულის ნებისმიერი დაავადება სასიკვდილოდ სახიფათო და განსაკუთრებით საყურადღებოა.** უფრო მეტიც, ადამიანს შესაძლოა, გარეგნულად საერთოდ არ აწუხებდეს გული, მაგრამ მოულოდნელად ინფარქტისაგან გარდაიცვალოს.

**— ბატონო კახა, მაინც რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა გულის ფუნქციონირების სერიოზული დარღვევა და მოსალოდნელი საფრთხე არ გამოგვეპაროს?**

— გულის კუნთის ინფარქტი გულის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირი და სასიკვდილო პათოლოგიაა. ინფარქტის დროს ადამიანს ე.წ. გულის ფიცრის, ანუ მკერდის ძვლის უკან ძლიერი ტკივილი ეწყება. **ასეთ დროს შესაძლოა, ტკივილი გავრცელდეს მარცხენა ყბის მიდამოში, პაციენტს დაეწყოს ქოშინი და მარცხენა ხელის ნეკა თითი დაუბუჟდეს.** ეს სიმპტომები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ არსებობს ინფარქტის ფარული სიმპტომები, რომლებიც ვლინდება, მაგრამ ადამიანი მას ყურადღებას არ აქცევს. ერთ-ერთი ასეთი სიმპტომია **უეცრად განვითარებული ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამე და დილით, გამთენიისას.** უეცარი და ძლიერი ოფლიანობა შესაძლოა, ინფარქტის დაწყების პირველი ნიშანიც იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ გული ინერვირდება სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნერვული სისტემით. სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივაცია განაპირობებს გულისცემის აჩქარებას, გულის ტონუსის ზრდას, სისხლძარღვების შევიწროებას და არტერიული წნევის მატებას. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, მაშინ მოსალოდნელია სისხლძარღვების სპაზმი და ინფარქტი.

იმისათვის, რომ ეს საბედისწერო შედეგი არ დადგეს, სიმპათიკურ ნერვულ სისტემას პარასიმპათიკური ნერვული სისტემა აბალანსებს. მისი ეფექტი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა — სისხლძარღვების გაფართოება, არტერიული წნევის შემცირება და სისხლძარღვების სპაზმის მოხსნა. **როდესაც ზედმეტი სტრესისა და დატვირთვის დროს სიმპათიკური ნერვული სისტემა ძალიან დატვირთულია და მას პარასიმპათიკური ნერვული სისტემა ვერ აბალანსებს, ხდება ინფარქტი ან ინსულტი.** ასეთ დროს შესაძლოა, ტკივილი საერთოდ არ არსებობდეს, მაგრამ უეცარი და ძლიერი ოფლიანობა ნებისმიერ ვარიანტში სახეზე გვექნება. ამიტომ

**ძლიერი და მოულოდნელი ოფლიანობის დროს სასწრაფოდ**

ტი აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მიმდინარეობს და მისი ერთადერთი გამოხატული ნიშანი ძლიერი და მოულოდნელი ოფლიანობაა!

**— კიდევ რა ფარული ნიშნები არსებობს, რომლებიც გულის სერიოზულ პათოლოგიაზე მიგვითითებს და ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ?**

— ერთ-ერთი ასეთი გამოხატული ნიშანია **მოულოდნელი ტკივილი ზედა ან ქვედა ყბის მიდამოში.** საქმე ის გახლავთ, რომ გულსა და საყლაპავ მილს ერთი და იგივე ნერვის განშტოება აინერვირებს. აქედან გამომდინარე, ძალიან ადვილად შეიძლება მოხდეს იმ ტკივილის ყბაზე გადაცემა, რომელიც გულში დაიწყო. **ასეთ დროს სტომატოლოგთან კი არა, კარდიოლოგთან უნდა წავიდეთ, რათა ინფარქტი გამოვრიცხოთ.**

**ძალზე სახიფათო და საყურადღებოა თავბრუხვევა, რომელიც ადამიანს საწოლიდან წამოდგომისთანავე უეცრად დაეწყება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ დროს აუცილებელია, სასწრაფოდ გადავიღოთ ელექტროკარდიოგრამა.**

ამ უეცარი თავბრუხვევის მიზეზი შესაძლოა, ის იყოს, რომ გულის კუნთი სათანადოდ ვერ იკუმშება და თავის ტვინს საჭირო რაოდენობით სისხლს ვერ აწვდის. **გვახსოვდეს, რომ გულწვა, ანუ ე.წ. იჟოგა მხოლოდ კუჭ-ნაწლავთან არ არის დაკავშირებული და შესაძლოა, გამოწვეული იყოს გულის კუნთის ინფარქტის საწყისი სტადიით.** კერძოდ, იმის გამო, რომ გული და საყლაპავი მილი ორივე გულ-მკერდის არეშია მოთავსებული და ერთსა და იმავე დონეზე იმყოფება, ორივეს ერთი და იგივე ნერვული ბოჭკო აინერვირებს. ამიტომაც გულ-მკერდის არეში წვის, ანუ ე.წ. იჟოგის დროს ჯერ კარდიოლოგს მივმართოთ, რათა გულის პრობლემები გამოირიცხოს და მხოლოდ ამის შემდეგ ვეწვიოთ გასტროენტეროლოგს!

**— დავუშვათ, გული საერთოდ არ გვაწუხებს. როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ძალიან მალე შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეგვექმნას?**

— თუ შაქრიანი დიაბეტი არ გვაქვს, მხედველობას არ ვუჩიოდით და მოულოდნელად თვალს სერიოზულად დაგვაკლდა, მაშინ დაუყოვნებლივ მივმართოთ არა ოფთალმოლოგს, არამედ — კარდიოლოგს! კარდიოლოგი გვირჩევს, რომ ოკულისტთან გავისინჯოთ თვალის ფსკერი. **თუ თვალის ფსკერზე მიკროსისხლჩაქცევები დაფიქსირდა, მხედველობის ნერვი შეშუპებულია და**



**„თუ შაქრიანი დიაბეტი არ გვაქვს, მხედველობას არ ვუჩიოდით და მოულოდნელად თვალს სერიოზულად დაგვაკლდა, მაშინ დაუყოვნებლივ მივმართოთ არა ოფთალმოლოგს, არამედ – კარდიოლოგს!“**

## კვირგვინოსნები

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



ვიდრე პრინციპულები არ ვიქნებით, **შულერობაში,** მაპატიეთ და, **ჩათლახობაში,** ივანიშვილი აუცილებლად და ყოველთვის მოუგებს ოპოზიციას. **ბადრი ჯაფარიძის** გადაწყვეტილება შეცდომაა. **შე კაი კაცო, გუშინ გამოგაგდეს პარლამენტიდან,** ხო? მანამდე თალლითის იარლიყი მოგაკერეს სასამართლოს მეშვეობით. **ამის მერე ისევ არჩევნებში გარბიხარ?**

„ალია“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**ნათელაშვილს** სადეპუტატო უფლებამოსილება შევუწყვიტეთ იმიტომ, რომ არ დადიოდა პარლამენტში, რაც შეეხება **ჯაფარიძეს,** არ შეიძლება ასეთ მძიმე დანაშაულში დადანაშაულებული პირი პარლამენტის წევრი იყოს.

„კვირის პალიტრა“

**ნაზი ჯანეზაშვილი**
*იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრი*



კანონი ითხოვს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებდეს ორ ძირითად კრიტერიუმს, ეს არის: **კეთილსინდისიერება და კვალიფიკაცია,** თუმცა, ჩვენ წლების განმავლობაში ვნახეთ, რომ **მოსამართლეები ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ.**

„ახალი თაობა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**იმის ძახილი, რომ ივანიშვილის უკან დგას რუსეთი, ხალხს ძალიან მობეზრდა.** ვერც იმის შანსს ვხედავ უახლოეს პერიოდში, რომ ოპოზიციამ გაიღვიძოს და მიხვდეს საკუთარ შეცდომებს. თუ ასე გაგრძელდა და არაფერი შეიცვალა, 2024-შიც იგივე იქნება. **ეს ვის აწყობს? ეს აწყობს ბატონ ბიძინას.**

„ახალი თაობა“





**თვალის ფსკერის სურათი გაფერმკრთალებულია, მაშინ სახეზე გვაქვს არტერიული ჰიპერტენზიის კლინიკური სურათი.**

მამაკაცი, პირველ რიგში, კარდიოლოგს უნდა ეწვიოს მაშინაც, როცა გრძნობს, რომ იმპოტენცია უეცრად განუვითარდა. საქმე ის გახლავთ, რომ ერექციას თავიდან ბოლომდე განაპირობებს მამაკაცის სასქესო ორგანოს უწვრილესი სისხლძარღვები, რომლებიც სისხლს კარგად უნდა ატარებდნენ. როდესაც ათეროსკლეროზი დაწყებულია და ე.წ. ათეროსკლეროზული ფოლაქები წარმოქმნილია, ყველაზე მეტად ამას გრძნობს მამაკაცის სასქესო ორგანო, რომლის უწვრილეს კაპილარებშიც სისხლი არ გადის, რადგან დახშობილია.

**თუ ნაადრევი იმპოტენციის განვითარებიდან ხუთ წელიწადში პაციენტმა გულზე არ იმკურნალა, მაშინ ინფარქტი ან ინსულტი**

## „თუ გენეტიკური ფაქტორი ხელს არ უწყობს და მამაკაცს ე.წ. კინკრიხოს მიდამოში მოულოდნელად გამელოტება დაეწყო, მაშინ საქმე გვაქვს გულის პათოლოგიასთან!“

**გარანტირებული აქვს!**

თუ გენეტიკური ფაქტორი ხელს არ უწყობს და მამაკაცს **ე.წ. კინკრიხოს მიდამოში** მოულოდნელად გამელოტება დაეწყო, მაშინ საქმე გვაქვს გულის პათოლოგიასთან. საქმე ის გახლავთ, რომ კინკრიხოს მიდამოში არსებული თმის ძირები ყველაზე წვრილი სისხლძარღვებით იკვებება. რაკი ისინი დახშულია, ცხადია, თმა შესაბამის საკვებს ვერ იღებს და იწყება თმის ცვენა. სულ სხვა საქმეა, როცა გამელოტება ერთიანად იწყება, რაც გენეტიკური ფაქტორით ან ტესტოსტერონის მაღალი დონით არის გამოწვეული.

**— არსებობს თუ არა ისეთი დაავადებები, რომლებმაც შესაძლოა, გულის სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს?**

— ერთ-ერთი ასეთი დაავადებაა **ღრძილების ანთება, ანუ პერიოდონტოზი,** როდესაც შესაძლოა, ღრძილებიდან სისხლდენასაც კი ჰქონდეს ადგილი. ასეთ ღრძილებში, როგორც წესი, მიკრობები გროვდება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ათეროსკლეროზულ ფოლაქებში ზუსტად იგივე ბაქტერიები ბუდობს, როგორიც ღრძილებში მისი ანთების, ანუ პერიოდონტოზის დროს. ეს მიკრობები სისხლში მოხვდებიან თუ არა, იწვევენ სისხლძარღვების ანთებას. ამის გამო ამ მიკრობებს მაკროფაგები უტევენ. ყოველივე ამის შედეგად საბოლოოდ სისხლძარღვთა კედლები ზიანდება, სადაც „ლაგდება“ ქოლესტერინი და ცხიმები. აქედან კი თრომბამდე, ინფარქტამდე და ინსულტამდე ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი. ასე რომ, **ინფარქტის თავიდან ასაცილებლად არამარტო გულს, არამედ ღრძილებსაც უნდა მივხედოთ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***


## თქვენი ჯანმრთელობისათვის!

# «გულის ელექსირი» - დაცვა ინფარქტისაგან!



უნიკალური ლიცენზირებული ბუნებრივი ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“,** რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო ხალხში უკვე სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში **ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება გახდა. „გულის ელექსირი“** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს **პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება!**

გაზაფხულზე ხშირია გეომაგნიტური დღეები: **წნევა ცვალებადობს, წარმოიქმნება არითმიები**. ადამიანები უჩივიან **მოთენთილობას, ადვილად დაღლას.** მატულობს **ინფარქტების, ინსულტების** წარმოშობის რისკი. სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს“.**

**„გულის ელექსირი“:**

**1. ხსნის სპაზმებს;**

**2. კვებავს გულის კუნთს;**

**3. აფართოებს სისხლძარღვებს;**

**4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;**

**5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;**

**6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;**

**7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.** რაც მთავარია: წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.

**„გულის ელექსირის“** შემქმნელმა **ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა** თითქმის 15 წელი მოანდომა „გულის ელექსირის“ ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასობით პაციენტზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული, **„გულის ელექსირი“** დარეგისტრირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არა როგორც საკვები დანამატი, არამედ როგორც სამკურნალო წამალი, ყოველგვარი **გვერდითი მოქმედებების და მიჩვევის ეფექტის გარეშე. „გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში **რეცეპტის გარეშე** გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ჰყოფნის 1 თვეზე მეტი!

**„გულის ელექსირი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია! ტელ. 593 31-70-34**

**P.S.**

**აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის** კვლევებით კოვიდინფექცია 72-ჯერ ზრდის **გულით დაავადებათა** განვითარების **რისკს.** ყოველი 100 ადამიანიდან, რომელთაც **გული საერთოდ არ აწუხებდათ „კოვიდის“** გადატანის შემდგომ 40 პროცენტს აღენიშნათ: *გულის არეში პერიოდული ჩხვლეტა, გულის ცემის გახშირება — ტაქიკარდია, ქოშინის დატვირთვისას ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება. ეს სხვა არაფერია, თუ არა გულის კუნთის ანთება — მიოკარდიტი.* **თუ დროულად არ მოხდა ამ დაავადების მკურნალობა, შესაძლოა განვითარდეს ექსტრაცისტონია, არითმია,** *რომელიც ინფარქტით სრულდება.* **„გულის ელექსირის“** მიღებული 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ ხსნის ამ მოვლენებს, **იცავს კოვიდგადატანილ** პაციენტს *ინფარქტისა და ინსულტისაგან.*


## საეკლესიო კალენდარი



**3 მარტი – ხსენება ღირსი შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა, შიოობა**



**6 მარტი – ყველიერის, მიტევების კვირიაკე. ადამის განდევნის ხსენება**

✝ **28 თებერვალი. ორშაბათი.** მოციქულისა **ონისიმესი,** 70-თაგანისა; ღირსისა **ევსევისა,** სირიელი მეუდაბნოისა; მოწამისა **მაიორისა;** მოწამისა **იოანე თესალონიკელისა;** ღირსისა **ანთიმოზ ქიოსელისა.**

✝ **1 მარტი. სამშაბათი.** მოწამეთა: **პამფილე, უალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე, ივლიანე** და ხუთთა მეგვიპტელთა.

✝ **2 მარტი. ოთხშაბათი.** დიდმოწამისა **თეოდორე ტირონისა,** ახლად **სტრატიოტად** განწესებულისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა **მინა კალიკელადისა.**

✝ **3 მარტი. ხუთშაბათი. ღირსი შიო დიდისა, მღვიმელისა, სასწაულმოქმედისა, შიოობა.**

✝ **4 მარტი. პარასკევი.** მოციქულთა: არქიპოსი და ფილიმონისა, 70-თაგანთა და მოწამისა, მოციქულთა სწორისა აპფიასი.

✝ **5 მარტი. შაბათი. ყოველთა ღირსთა მამათა და დედათა, ღვაწლით გაბრწყინვებულთა;** ღირსისა ლეონისა, კატანელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; მღვდელმოწამისა სადოკისა, სპარსელი ეპისკოპოსისა.

✝ **6 მარტი. კვირა. ყველიერის, მიტევების კვირიაკე.** ადამის განდევნის ხსენება. ღირსისა ტიმოთე სიმვოლელისა; ევსტათისი, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა.

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს **პაატა პეტაშვილს** დედის

## ლამარა მაღრაძის

გარდაცვალების გამო.

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. მარშალი; 7. პრიმა; 12. რამზესი; 13. ლარგო; 14. ტამპონი; 15. რაცია; 16. ბრემენი; 17. დოგმა; 18. ნირვანა; 19. ქუსლი; 20. რეიგანი; 21. ნედლი; 22. აზიმოვი; 26. თხილი; 28. ლიმიტი; 31. მაკე; 33. კუპიდონი; 35. ხარშო; 36. პრინციპი; 37. სენეგალი; 41. ლეი; 42. პელე; 43. ზვიგენი; 45. ბარისახო; 46. ინა; 49. ბია; 51. კალისტო; 53. სანიკიძე; 56. მაო; 57. ნალმი; 58. ვაფლი; 59. კლავესინი; 60. ბუტია; 61. ნუნცი; 62. ნერბი; 63. ცოლიკაური; 64. ასაკი. **შვეულად:** 1. მეტანია; 2. რემარკი; 3. აკოლადო; 4. ირიბარი; 5. იმბეცილი; 6. დერეფანი; 7. პირიქითი; 8. ინცესტი; 9. ალადინი; 10. ტრაგედია; 11. მონადირე; 23. ზღუდე; 24. მძიმე; 25. ვიოლა; 27. ლევილი; 28. ლიხი; 29. მარტენი; 30. ტროლეი; 31. მაცნე; 32. კუპრი; 34. ოპიზა; 37. საბო; 38. ნორმა; 39. გესტი; 40. ლახტი; 44. გალავანი; 47. ნამიბია; 48. კომისია; 49. ბენინი; 50. არღანი; 51. კონტრა; 52. საფარი; 53. სალტო; 54. ნავთი; 55. კოსტა.

**გალავანილიანგიომარისკიბობინაპალმირალიბანი**
**გერილიანოსირიმესამეკარეტატამიშიფერიავარია**

## კვირგვინოსნები

**ლელა კოკალეიშვილი**
*კარდიოლოგი*



კოვიდიდან **6 კვირა მაინც უნდა გავიდეს,** რომ აქტიურ სპორტსა და ძლიერ დატვირთვას დავუბრუნდეთ.

„რეზონანსი“

**მალხაზ კვრივიშვილი**
*მსახიობი*



მეგონა, რომ ამ **პანდემიის გამო ხალხი თეატრში სიარულს გადაეჩვია,** მაგრამ ყველა სპექტაკლზე სრული ანშლაგია.

„სარკე“

**თამარ გაბუნია**
*ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე*



**„ომიკრონის“ ტალღის პიკი გადავლილია.**

„რეზონანსი“

**ლევან მგალობლიშვილი (ვანო)**
*მუსიკოსი*



**პირველმა ცოლმა** შვილები მაჩუქა, **ახლანდელმა** — იდილია.

„თბილისელები“

**ლაშა მესხი**
*უფლებადამცველი*



ბელგია გადადის 4-დღიან სამუშაო კვირაზეო... ჩვენთან?! **ქსელურ სუპერმარკეტებში 400 ლარად რომ ღამეებს ათენებინებენ ახალგაზრდებს,** რა პირად ცხოვრებასა და რა ჯანმრთელობაზე ვლაპარაკობთ?!

„ალია“

**ნოდიკო ტატიშვილი**
*მუსიკოსი*



ბოლო წლებია, ძალიან მიჭირს ადამიანის მეგობრად მიღება.

„თბილისელები“

# „პრომიოდ ფორტე“

FitoSana

## ლეგენდარული ბალზამი მყარი ჯანმრთელობისთვის

## აქცია!!! მხოლოდ პენსიონერებისთვის! თითო კოლოფზე ფასდაკლება 3 ლარი!




წარმოიდგინეთ: მართავთ მანქანას და ხელსაწყოთა პანელზე ინთება ნათურა, რომელიც გაუმართაობის შესახებ გაუწყებთ. მძღოლი, ანუ თქვენ, პრობლემის დადგენის და მისი აღმოფხვრის ნაცვლად, უბრალოდ აქრობს ნათურას. სისულელეა? რა თქმა უნდა! განგაშის სიგნალი აღარ არის, მაგრამ გაუმართაობა ხომ დარჩა. სწორედ ასე ვექცევით ჩვენს ორგანიზმს - ვყლაპავთ წამლებს ორგანიზმის სიგნალების გამოსართავად. მაგრამ ამგვარი მკურნალობით გამოვჯანმრთელდებით? არა! წამალი - ქიმიური ნივთიერებების ნაკრებია, რომელსაც ორგანიზმი ვერ ითვისებს. იგი მხოლოდ დროებით ხსნის სიმპტომებს, დაავადება კი აგრძელებს განვითარებას, და მოითხოვს უფრო და უფრო ძლიერ მედიკამენტებს.

ჩვენი ორგანიზმი მუდმივად განახლების პროცესშია. ახალი უჯრედების წარმოქმნა მოითხოვს საკვები ნივთიერებების დიდ რაოდენობას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება. ამ ყველაფერს საკვებით უნდა ვიღებდეთ, მაგრამ ეს არ გამოგვდის. ცნობილია, რომ თანამედროვე გადამუშავებულ საკვებ პროდუქტებში ძალიან ცოტა სასარგებლო ნივთიერებაა. არაჯანსაღი და არასრულყოფილი საკვების მიღების გამო ვაიძულებთ ორგანიზმს შიმშილს. უჯრედები, რომლებიც არ იღებენ საჭირო საკვებ ნივთიერებებს, კარგავენ ძალას და ვერ ახერხებენ თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებას. ამიტომ, ადამიანი ველარ უძლებს პატარა ცხოვრებისეულ დატვირთვასაც კი და ავადდება.

რა უნდა მოვიმოქმედოთ ასეთ შემთხვევაში? პასუხი ნათელია: აღმოვფხვრათ გაუმართაობა ორგანიზმისთვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების მიცემით, ბუნებრივი ბალზამის - „პრომიოდის“ დახმარებით.

**"პრომიოდი" - ორგანიზმის უჯრედების საუკეთესო ექიმი!**

ბუნებრივი ბალზამი "პრომიოდი" უზრუნველყოფს ადამიანს ნუტრიენტების სრული ნაკრებით (24 კლასის ნივთიერება). იგი შეიცავს ფუტკრის ცვილს, თაფლს, პროპოლისის ექსტრაქტს, ასევე ქაცვის, გოგრის თესლისა და კედარის ზეთებს. ეს კომპონენტები ბუნებრივი იმუნომოდულატორები არიან, ბიოაქტიური ნივთიერებების სრულფასოვანი მომწოდებლები, მთლიანად მუშავდებიან საჭმლის მომნელებელი ფერმენტების მიერ და იშლებიან უმცირეს ელემენტებად - უჯრედების საშენ მასალად. აგურ-აგურ მიმდინარეობს მათი ჩაშენება დაზიანებულ სტრუქტურებში, რომლებიც ხდება სრულყოფილი.

**„პრომიოდის“ ნატურალური ბალზამი ანესრიგებს შინაგანი ორგანოების და სისტემების მუშაობას, ეფექტურად მოქმედებს ისეთი დაავადებების დროს როგორიცაა:**

❖ საჭმლის მომნელებელი სისტემა: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, ციროზი, ჰეპატოზი, დისბაქტერიოზი, ყაბზობა, ბუასილი, პანკრეატიტი, კოლიტი, ქოლეცისტიტი, რადგან ხსნის ანთებას და აღადგენს ლორწოვან გარსებს, ახორცებს დაზიანებებს, აქვს ნაღვლმდენი და ჰეპატოპროტექტორული თვისებები, ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას;

❖ სასუნთქი სისტემა: ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, ჰაიმორიტი, სინუსიტი, ანგინა - ანთების საწინააღმდეგო და სადრენაჟო თვისებების წყალობით;

❖ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა: ართროზი, ართრიტი, რევმატიზმი, პოდაგრა, ოსტეოქონდროზი, ოსტეოპოროზი, ხერხემლის მალთაშუა თიაქარი, რადიკულიტი, ნევრალგია, რადგან აუმჯობესებს სახსრებისა და ძვლების მდგომარეობას, ხსნის ანთებას და ტკივილს;

❖ გულსისხლძარღვთა და ლიმფური სისტემა: ჰიპერტონია, არითმია, გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, ვენების ვარიკოზული გაფართოვება, თრომბოფლებიტი, გამოიყენება ინფარქტისა და ინსულტის პროფილაქტიკისთვის, ეფექტურია რეაბილიტაციის პერიოდში, რადგან ანესრიგებს არტერიულ წნევას, აღადგენს გულის რითმს, გამოჰყავს ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინი, ზრდის სისხლძარღვების ელასტიურობას;

❖ ნერვული სისტემა: ნევრიტი, ნევრალგია, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ვეგეტატიურ-სისხლძარღვოვანი დისტონია, რადგან გააჩნია მომადუნებელი და დამამშვიდებელი მოქმედება, ანესრიგებს ძილს;

❖ მხედველობისა და სმენის ორგანოები: კონიუნქტივიტი, კატარაქტა, გლაუკომა, მხედველობის და სმენის ასაკობრივი დაქვეითება;

❖ საშარდე და რეპროდუქციული სისტემა: ცისტიტი, პიელონეფრიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, გინეკოლოგიური დაავადებები, რადგან გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული და რეზორბციული (განოვის) მოქმედება;

❖ ენდოკრინული სისტემა: შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა, რადგან აღადგენს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, ანესრიგებს ჰორმონალურ ბალანსს;

❖ კანი: დერმატიტი, ეგზემა, ფსორიაზი, ნეიროდერმატიტი, ტროპიკული წყლული, რადგან აქვს ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული თვისებები;

❖ აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და აძლიერებს იმუნიტეტს, იცავს ორგანიზმს ვირუსული ინფექციებისა და გრიპის ეპიდემიების დროს.

**„პრომიოდის“ ბალზამთან ერთად ძალიან მარტივია ჯანმრთელად ყოფნა!**



თქვენმა ბუნებრივმა საშუალებებმა "პრომიოდმა" და "არტეპროლმა" გამიმარტივეს ცხოვრება. სისუსტე, თავის ტკივილი, წუილი ყურებში, **მეხსიერების პრობლემები** – ეს ყველაფერი **ინსულტის** შემდეგ დამეწყო. მეტყევა კი მაშინ დამემართა, როცა მკითხავმა მითხრა, რომ მალე შვილი მოიკვდებოდა. იმავე დღესვე საავადმყოფოში წამიყვანეს. ექვს თვეში შვილი მართლა გარდამეცვალა. ამის შემდეგ ჯანმრთელობა საერთოდ აღარ მივარგოდა. რამდენი წამალიც არ უნდა დამელია, უკეთ არ ვხდებოდი, მხოლოდ გაუარესება იგრძნობოდა. წამლებისგან **ეროზიული გასტრიტი** დამემართა და **კუჭ-ნაწლავში პოლიპები** წარმოიქმნა. მეშინოდა, კიბოში არ გადაზრდილიყო. აღარ მინდოდა ქიმიური მედიკამენტების მიღება და გადავედი მცენარეულ პროდუქტებზე.4 შეფუთვა „პრომიოდი“ და 4 კოლოფი „არტეპროლი“ დავლიე და თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ. თავის ტკივილმა და ყურებში ხმაურმა გამიარა, გონება გამინათდა, მეხსიერება გამოიკეთდა. სისხლის ანალიზი გავიკეთე - **ჰემოგლობინი** 70-დან 120 ერთეულამდეა გაზრდილი. **გულძმარვა და დიარეა** აღარ მაწუხებს. გასტროსკოპიისა და კოლონოსკოპიის შემდეგ საბოლოოდ დავწყნარდი - ეროზიები შეხორცებულია, კუჭის ლორწოვანი გარსი ნორმაშია, პოლიპები გაიწოვა. დიდი ხანია ასე კარგად თავი არ მიგრძნია.

*თამარ ქარსიძე, ქ.ბორჯომი, საქართველო*



"პრომიოდს" ვიღებდი, რადგან ყველა შინაგანი ორგანო მტკიოდა. **კუჭის წყლული, კოლიტი, პანკრეატიტი.** ვერც ვჭამდი და ვერც ვსვამდი. მაღებინებდა, დიარეა მქონდა, აირები მაწუხებდა. ისე ცუდად ვგრძნობდი თავს, რომ დიეტურ საკვებსა და ჩვეულებრივ წყალსაც ვერ ვიგებდი. მაგრამ ყველაფერმა, რაც მაწუხებდა და ხელს მიშლიდა ცხოვრებაში, „პრომიოდის“ და „ლიპეპტინის“ წყალობით გამიარა. 6 შეფუთვა მივიღე და კუჭ-ნაწლავის და პანკრეასის ფუნქციები აღმიდგა: არც ჭამის შემდეგ და არც ჭამამდე დისკომფორტს აღარ განვიცდი. განავალი ნორმალურია. ულტრაბგერითი გამოკვლევით დადგინდა, რომ წყლული მომიშუშდა. ამასთანავე, "პრომიოდმა" დადებითი გავლენა მოახდინა ჩემს **სახსრებზე** - აღარ მიშუპდება და მისივდება. **მიოზიტი** მოვირჩინე. ბევრს და თავისუფლად ვმოძრაობ, ღამით უკეთესად მძინავს. გავხდი მგრადი ინფექციური დაავადებების მიმართ, აღარ ვცივდები, არცერთხელ არ გავმხდარვარ ავად. ვისაც „პრომიოდი“ ჯერ არ გაუსინჯავს, ყველას ვურჩევ!

*სემიონ შაპოვალოვი, ქ.გროდნო, ბელარუსი*



ჩემი სიძე მკვლელია, სიმთვრალეში ერთადერთი ქალიშვილი მომიკლა! ამ დანაკარგით გამოწვეულმა ტკივილმა **ინსულტამდე** მიმიყვანა, შედეგად მარჯვენა ხელი გამიშეშდა, ცოცხალმკვდარი ვიყავი. იმდენად დავსუსტდი, რომ სიარულიც არ შემეძლო, წნევა 200-ზე მეტი მქონდა. ინსულტის შემდეგ **შეუკავებლობა** დამეწყო. საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. საკუთარი თავი მძულდა და ვერაფერს ვცვლიდი. თქვენმა „პრომიოდმა“ და „არტეპროლმა“ გადამარჩინა! მეუღლემ მიყიდა და რამდენიმე კურსის შემდეგ ვიგრძენი, რომ გამოჯანმრთელებული ვიყავი. ძალა მომემატა და თავბრუსხვევები გამიქრა. თანდათან ხელი ავამოძრავე და ნერვები დამიმშვიდდა, წნევა 120/75 გამიხდა. მთავარი სასწაული კი ის იყო, რომ შეუკავებლობა აღარ მქონდა. ჩემმა მეუღლემ კი თქვენი "ზღრავის" ზეთი დალია და დაემშვიდობა **ფსორიაზის ლაქებს**, რომლებიც ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ გაუჩნდა. ასე რომ, ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ თქვენი კომპანიის და გავაგრძელებთ თქვენი პრეპარატების გამოყენებას.

*ტარუტა გეორგი, ქ.ასტანა, ყაზახეთი*



**ქრონიკული ჰაიმორიტით** ცხოვრება - ტანჯვაა. მუდამ პირღია დადიხარ, როგორც გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი, თავი გტკივა, პირი გიშრება, უსიამოვნო სუნი აფრთხობს ხალხს. მუდმივად ლორწის გადმოფურთხება გიწევს. როცა ლორწოვანი გარსი ცხვირის წვეთებით ამოვიწვი, ვთქვი, რომ ქიმიას აღარასდროს გავეკარებოდი. შევიძინე ბუნებრივი ბალზამი "პრომიოდი" და „იმოქსინის“ წვეთები იმუნიტეტისთვის. ჩემდა გასაკვირად, მომიხდა. ნახველი შეთხელდა, თანდათან გაქრა და აღარ გროვდება. ცხვირში არ ვარ გაჭედილი, თავისუფლად ვსუნთქავ. თუმცა, თქვენი პროდუქტებით მხოლოდ ჰაიმორიტი არ მომირჩენია. თითებს შორის **სოკო** მოვიცილე, აღარ მექავება. ხასიათი გამომისწორდა, რამდენიმე კილოგრამი დავიკელი. როდესაც კონტროლისთვის ენდოკრინოლოგთან მივედი, მითხრა, რომ თმ დონე შემცირდა და ჰორმონების დონე შემიმცირა. არადა 6 წელი ვებრძოდი **ჰაიპოთირეოზს** და ყოველწლიურად ჩემი მდგომარეობა უარესდებოდა. "პრომიოდის" შემდეგ კი გაუმჯობესება ვიგრძენი. გადავწყვიტე გავაგრძელო მისი მიღება, მინდა ბოლომდე დავამარცხო ეს ვერაგი დაავადება.

*გუნტის კელმსი, ქ.ლაიპაია, ლატვია*



მე და ჩემი მეუღლე ტკბილად შევაბერდით ერთმანეთს. რომ არა მისი რბილი ხასიათი, ალბათ, ამდენ დაავადებას ვერ გავუმკლავდებოდით. მე წნევა 230-მდე მიწევდა ხოლმე, მქონდა **ჰიპერტონიული კრიზები**. მეუღლეს კი ორი წლის წინ **ინფარქტი** დაემართა და ამის შემდეგ ძალიან მოტყდა. უჩიოდა სისუსტეს, წვას მკერდის არეში, გული ხან აუჩქარდებოდა, ხან კი პირიქით, თითქოს, საერთოდ **აღარ უცემდა. ექიმებმა** იშემია და არითმია დაუდგინეს. ასეთი სისუსტის ფონზე ზამთარში სულ ცივდებოდა, მაგრად ახველებდა **ქრონიკული ბრონქიტის** გამო. ძლიერი ხველების გამო კი შეიძლებოდა კიდევ ერთი ინფარქტი მიეღო. მეზობელმა თქვენი კომპანია მირჩია. ასე შევიძინე ბალზამი "პრომიოდი". ნახველი ჯერ მწვანე ფერის იყო, მერე ყვითელი, ბოლოს კი გაფერმკრთალდა და საერთოდ გაქრა. კმაყოფილი ვიყავი შედეგით და „არტეპროლიც“ ვიყიდე. 2 კურსი დავალევინე და გამოვაცოცხლე. არითმიისა და სტენოკარდიის შეტევები აღარ აქვს. ზამთარს ბრონქიტის გარეშე ატარებს. არ ახველებს, არ ხრუტუნებს, ადვილად სუნთქავს. მე კი "პრომიოდის" მიღების შემდეგ წნევა სტაბილურად 120-130 მაქვს.

*მარია ხიჟენკოვა, ქ.პოლტავა, უკრაინა*



12 წელი ვუვლიდი ჩემს მწოლიარე ქმარს. იმის მიუხედავად, რომ ინვალიდის ეტლში იჯდა, ჩემი საყრდენი კედელი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ისე განვიცდიდი მის სიკვდილს, რომ **ინფარქტი** დამემართა. ძალიან ბევრი წამალი დამინიშნეს, მაგრამ შველის ნაცვლად, ჯერ **ეროზიული გასტრიტი** განმივითარდა, შემდეგ კი **წყლული**. ღამით კუჭი მეწვოდა და მტკიოდა. საკვებს ცუდად ვინელებდი, გული მერეოდა. როცა გავიგე, რომ "პრომიოდის" ბალზამმა და "ლიპეპტინის" კაფსულებმა ბევრ ადამიანს უშველა, შევიძინე ექვს-ექვსი კოლოფი და ჩემი ტანჯვაც აქ დასრულდა! კუჭი აღარ მტკივა, საკვებს კარგად ვინელებ, კუჭ-ნაწლავი გამართულად მუშაობს. ფიბროგასტროდუოდენოსკოპიამ არც წყლული და არც გასტრიტი არ გამოავლინა. გულიც კარგად მუშაობს, არ მეხვლეტს, არ მიფრიალებს, არ მიჩერდება, არადა **მოციმციმე არითმია** მქონდა! იმდენი ძალა მაქვს, თითქოს, გულის შეტევა არასდროს მქონია და საერთოდ არ მეტყობა, რომ 75 წლის ვარ.

*კასიანოვა სოფია, ქ.კიევი, უკრაინა*

## ასევე გაყიდვაშია შემდეგი პროდუქცია

**„ნავიზორი“** (კაფს.) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„ნავიზორი“** (წვეთები) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„სუსტალაძსი“** (კრემი) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„სუსტალაძსი“** ( კაფს.) 31.7 ლ. (აქციით 28,70ლ.) **„ზდრავია“** 31.7 ლ. (აქციით 23,80ლ.) **„პრომიოდ ფორტე“** 31.7, (აქციით 28,70ლ.) **„არტეპროლი“** 31.7ლ. (აქციით 4+1) **„ფრიდიალი“** (კაფ.) 31.7 (აქციით 28,70ლ.) **„ლიპეპტინი“** 31.7 ლ., (აქციით 23,80ლ.) **„იმოქსინი“** 31.7ლ. (აქციით 28,70ლ.) **„პროსტერემი 120“** 91.5, (აქციით 88,50ლ.) **„ადენომი 60“** 51.5 ლ. (აქციით 48,50ლ.) **„ადენომი 120“** 91.5ლ (აქციით 88,50ლ.)

კომპანიამ დაიწყო ონლაინ გაყიდვები. თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ პროდუქცია

FACEBOOK გვერდზე @ApifitoGeorgia2015 ან დარეკოთ 514295005

და ჩვენ მოგაწვდით სასურველ პროდუქციას სახლში მთელი საქართველოს მასშტაბით.

## თუ თქვენ არ შეგიძლიათ მოსვლა

**დარეკეთ ნომერზე (+995) 551 30 98 98 თბილისის და რუსთავის მასშტაბით სახლში მოგაწვდით**

**(საპენსიო ფასდაკლება არ მოქმედებს მიწოდების სერვისის შემთხვევაში)**

## გელოდებით ჩვენს გამოფენა-გაყიდვაზე

**სადაც მიიღებთ დაწვრილებით ინფორმაციას პრეპარატების შესახებ, შემდეგ მისამართებზე:**

### 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 მარტი

**თბილისი** 1. ბახტრიონის №22. -------- 15.00-17.00 სთ.
2. ვარკეთილი-3. -------- ყოველდღე 10.00-20.00 სთ.
2-მ/რ, ს. თაყაიშვილის 1 „სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი“

### 5 მარტი

**თელავი** 26 მაისის №5, ჰადრაკის სახლი -- 11.00-12.00 სთ.

### 6 მარტი

**რუსთავი** დუმბაძის №10, სასტ. „ელიტა“ --- 12.00-13.00სთ

### 7 მარტი

**გორი** სტალინის გამზ. №24. -------- 12.00-13.00 სთ
სამედიცინო სახლი „მკურნალი“

### 8 მარტი

**ბათუმი** ყაზბეგის №4. სასტ. „ლაითი ხაუზ“.- 10.00-11.00 სთ.
**ოზურგეთი** იოანე პეტრიწის №1, - -------- 12.00-13.00 სთ.
რესტორანი „იზაბელა“.
**ფოთი** 9 აპრილის №10. -------- 14.00-15.00 სთ.
ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბალუ“
**ზუგდიდი** გამსახურდიას №28, კაფე „აქატი“ - 16.00-17.00 სთ.

### 9 მარტი

**სამტრედია** რუსთაველის №21, რესტ. „ჭურჭავა“ 10.00-11.00 სთ.
**ქუთაისი** კოსტავას №25, სასტუმრო „ლია“ --- 12.00-13.00 სთ
**ზესტაფონი** აღმაშენებლის №61ა აფთიაქი ----- 14.00-15.00 სთ.
**ჭიათურა** აღმაშენებლის №91, -------- 16.00-17.00 სთ.
სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“.

### 10 მარტი

**ხაშური** კოსტავას №6. აფთიაქი 1 -------- 10.00-11.00 სთ.

**უფასო კონსულტაციის ცხელი ხაზი (+995) 551 30 98 98 დაგვიკავშირდით 9⁰⁰ – 21⁰⁰ სს**



**დიდი ხანია, საკუთარ თავზე ვმუშაობ, თქვენს ლექციებსაც ვესწრები. ხომ არ მავნებს ის, რომ სექსით ფულის გამო ვარ დაკავებული და ამით ბედს ვამცირებ? სექსისგან სიამოვნებას ვერ ვიღებ. დედა მეუბნება, რომ ამით ჩემს შვილს ვაყენებ ზიანს. აისახება თუ არა ეს ბავშვზე?**

— ძველი აღთქმა წაიკითხეთ. იქ წერია, რომ მრუშის შთამომავლები მეცხრე თაობამდე დაწყევლილები არიან. ყურადღება მიაქციეთ: ღმერთი მეოთხე თაობამდე სჯის, ისინი კი მეცხრე თაობამდე ისჯებიან. ასეთია კარმის კანონები. ეს ცოდვილ ქალებს ეხება, ანუ მათ, ვინც თავის სექსუალურ სურვილებს ეთაყვანება.

ქალებს, რომლებიც სექსით ფულს შოულობენ, სხვადასხვა მოტივაცია აქვთ. ვფიქრობ, ეს ყოველთვის პრობლემებს ქმნის, მაგრამ მათი ხარისხი მოტივაციაზეა დამოკიდებული. როდესაც ადამიანი საჭმელს იმიტომ იპარავს, რომ შია, პრობლემები შეექმნება, მაგრამ — ნაკლებად მნიშვნელოვანი. საერთოდ, რატომ შეექმნება? იმიტომ, რომ შეუძლია, იმუშაოს და საჭმლის ფული იშოვოს. ყოველი ადამიანის სულში ჟღერს ჰამლეტისეული „ყოფნა-არყოფნა?" გაცემა თუ მოპარვა? ბედი კი, როგორც იცით, ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული. როდესაც **ბედი ადამიანს ქურდობას ან პროსტიტუციას აიძულებს, მაგრამ ის ცდილობს, გაცემა თანდათან გაზარდოს, მოხმარება კი შეამციროს, უზენაესი ძალები მას დაეხმარებიან.**

ხშირად მინახავს, რომ ადამიანის ავადმყოფობა და განადგურება მისი განვითარების ან დეგრადაციის ტენდენციას უკავშირდება და არა წარსულ გამოცდილებას. როდესაც ადამიანი ქურდობს, რადგან მუშაობა არ უნდა, ის პრობლემებისთვის არის განწირული. რატომ არ უნდა ჰყავდეთ კანონიერ ქურდებს ოჯახი და შვილები? იმიტომ, რომ ზნეობრივი პრინციპები ნებისმიერ გარემოში უნდა არსებობდეს, ცხოველებსა და ბაქტერიებს შორისაც კი. **ზნეობრიობა კი სიყვარულის მცველია. მის გარეშე ვერცერთი ორგანიზმი ვერ გადარჩება.** რამდენადაც კანონიერმა ქურდმა მოსამართლის როლი უნდა შეასრულოს, ის დამოკიდებულებებისაგან თავისუფალი უნდა იყოს. სხვაგვარად სტიქიურობა, სულისა და სხეულის რღვევა დაიწყება.

**თუ ქალს შვილისთვის საჭმელი არა აქვს, მას შეუძლია პროსტიტუციას მიჰყოს ხელი, მაგრამ ეს გარკვეული სასჯელია.** ეს იმას ემართება, ვისი სექსუალური ენერგიაც შემოქმედებითად ვერ გარდაიქმნა. თუ ადამიანი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ამაში საშინელი არაფერია. საშინელება ის არის, როდესაც მას ამ პრობლემის დაძლევა არ სურს და თავისი მდგომარეობის გამართლებას ცდილობს. **ქურდი ვერასოდეს იქნება ჭეშმარიტად ბედნიერი, მეძავი ვერასოდეს იქნება ჭეშმარიტად ბედნიერი, თუკი ისინი ბედნიერებად მომხმარებლობას ჩათვლიან.**

ამიტომ ვერაფრით გაგახარებთ. სექსით გატაცება, რომელიც მიზნად ღვთაებრივში ჩაწვდომას, საკუთარი სულის გამდიდრებას და ბავშვების გაჩენას არ ისახავს, საკუთარი სურვილების ქვეცნობიერი თაყვანისცემაა. ასეთი ქალები მიღებაზე მინახავს და მათ შვილებს ფრიად სერიოზული პრობლემები ჰქონდათ. ამიტომ ამ პროფესიას დიდხანს ნუ შემორჩებით. ვიმეორებ: თუ სიტუაცია სხვა გამოსავალს არ გიტოვებთ — ეს ერთია, ხოლო თუ შეცვლა, მუშაობა და განვითარება გეზარებათ — მეორე. წარმატებებს გისურვებთ.




## სერგეი ლაზარევი

# კარმის დიაგნოსტიკა



**ჩემი სექსუალური სურვილის გამო დანაშაულის გრძნობა მტანჯავს. ვხედავ ქალების მიმართ ჩემს აგრესიას, წყენას, ბედისადმი პრეტენზიებს. რამე არ მესმის თუ, უბრალოდ, ვზარმაცობ?**

**— საკუთარი სურვილების გამო სირცხვილის განცდა ისევე დაუშვებელია, როგორც სიყვარულის გრძნობის გამო.** უბრალოდ, ჩვენი სურვილები, როგორც ყველაფერი ბუნებაში, უპირველესად, ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა მიმართული. ჩვენში ყოველთვის იქნება ცხოველური საწყისის პრიორიტეტი და მისი არ უნდა შეგვრცხვეს.

ამასწინათ ერთ ახალგაზრდას ვუხსნიდი, რა მოსდის მის ენერგიას.

— შეხედეთ, — ვეუბნებოდი მას, — ენერგია თქვენთან გარედან მოდის, ის სექსუალურ — პირველად ენერგიად გარდაიქმნება, რომელიც პირველი ჩაკრის გარშემო შემობრუნდება და ჭიპის მიდამოსკენ მიდის. შემდეგ ენერგია მკერდისკენ ავა, თავისკენ მიემართება, ბრუნავს და ზევით ადის. ცხოველური ენერგია ადამიანურად გარდაიქმნება, ადამიანური — ღვთაებრივად.

ჭიპის მიდამო შვილებს უკავშირდება. იმისათვის, რომ ენერგია შვილებზე გადავიდეს, მისი პირველადი, სექსუალური საფეხური უნდა დამუხრუჭდეს. ეს შეიძლება ნებაყოფლობითაც მოხდეს და იძულებითაც. უხეში ენერგიის მეორე საფეხურზე გადასასვლელად პირველის დამცირებაა საჭირო. მიიღეთ ეს დამცირება? — ენერგია ბავშვებზე გადავა. მეორე საფეხური დამცირდა — სიყვარული მიიღეთ და შეინარჩუნეთ? — ენერგია შვილების სულის განვითარებას მოხმარდება. თუ თქვენი სული დამცირდა, გაწყენინეს — ენერგია უფრო მაღალი სულიერი ფენების განვითარებაზე დაიხარჯება. თუ თქვენი ყველაზე წმინდა გრძნობები დაამცირეს და ამ დროს გულგატეხილობა, გაკიცხვა დაძლიეთ, უფლისადმი სიყვარული შეინარჩუნეთ — ადამიანური ენერგია ღვთაებრივად გარდაიქმნება და თქვენი შთამომავლების გადარჩენასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

როდესაც ხვად ძაღლს ძუკნასთან შეწყვილება უნდა, ამისათვის ნებართვას არ სთხოვს. მისი სექსუალური ენერგია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე რეალიზდება შთამომავლობის დატოვების მიზნით. თუ მამაკაცი თავისი სექსუალური სურვილის დაკმაყოფილებისას ქალს თანხმობას არ ეკითხება, ეს უკვე გაუპატიურებას უახლოვდება. ადამიანმა პირველადი, სექსუალური რეაქცია ურთიერთობაში ანუ განვითარებაში უნდა გადაიყვანოს. ოჯახური ურთიერთობა, რომელიც მაღალი სექსუალური ენერგეტიკის საფუძველზე ყალიბდება, სულ ცოტა, ნაკლოვანი იქნება, ანუ მოსალოდნელია განქორწინება, უთანხმოება და ა. შ.

რატომ ვერ გახდა ბევრი ადამიანი მონასტერში ცხოვრების შემდეგ ბერი? იმიტომ, რომ მათმა სექსუალურმა გრძნობამ უმაღლეს ადამიანურ, შემდეგ კი ღვთაებრივ გრძნობად გარდაქმნა ვერ შეძლო. ისინი ხორციელი სურვილებისგან ჭკუაზე იშლებოდნენ და მონასტრიდან მიდიოდნენ.

თუ მამაკაცი ქალზე განაწყენებას არ მოიხსნის, თუ თავისი სურვილების შეკავებას და აღზრდას ვერ მიეჩვევა, მონასტერი მისთვის დაუძლეველ ბარიერად გადაიქცევა. **გამუდმებით სექსზე ფიქრი მაღალი პოტენციის კი არა, დაბალი აღზრდის მაჩვენებელია.**

რატომ ეცემა დასავლეთში შობადობა? ჩვენ ვხედავთ, რომ იქ სექსის ფართო პროპაგანდა მიმდინარეობს, განუწყვეტლივ იქმნება პორნოფილმები და ა. შ. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას ენერგეტიკულ სხეულში ბლოკები აქვს, და იმისათვის, რომ სექსუალური ენერგია არ აფეთქდეს, ის უნდა შემცირდეს.

ამიტომ **მაღალ პოტენციას და ჯანმრთელ შვილებს მხოლოდ ის იმსახურებს, ვინც ნებისმიერ ქალში ჯერ ღვთაებრივს ხედავს, მერე — მეგობარს და მხოლოდ შემდეგ — ვნების ობიექტს.**

**რას ფიქრობთ ველოსპორტით გატაცებაზე და ზღვაში ყოველდღიურ (ზამთარ-ზაფხულ) ბანაობაზე? არის თუ არა ეს მნიშვნელოვანი ადამიანის ფსიქოფიზიკური მდგომარეობისთვის?**

— ფიზკულტურა, სპორტი, ცივი წყლით ბანაობა — ეს ყველაფერი ენერგიის გაცემაა. თუ სულში სიყვარული არსებობს, დახარჯული ენერგია შეივსება.

სტრესის, სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ ძლიერი პრეტენზიების, შინაგანი დაღლილობის პერიოდში ცივი წყლით ბანაობამ შეიძლება, პირიქით, იმუნიტეტის დაქვეითება გამოიწვიოს. ამიტომ უმჯობესია, ეს დილით გააკეთოთ, საღამოს კი, უბრალოდ, ფეხებზე ცივი წყალი გადაივლოთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა პროცედურა ხალისიანი განწყობით, სიამოვნებით ჩაიტაროთ. შევნიშნე, რომ საცურაო აუზში სტრესი ბევრად უფრო უარესად იხსნება, ვიდრე ზღვაში. რა გასაკვირია — წყალი ხომ ინფორმაციაა.

**ახალგაზრდობაში, როდესაც სულში ბევრი სიყვარული და ენერგიაა, ჩემი აზრით, მუშაობა და სპორტი აუცილებელია. ხანდაზმულ ასაკში ჯანმრთელობაზე მეტისმეტმა ზრუნვამ კი შეიძლება ის საერთოდ დაგაკარგვინოთ.** თუ ფრენის გრძნობა არსებობს, ენერგიის გაცემის ყველა ფორმა ჯანმრთელობას განამტკიცებს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ჯანმრთელობა გქონდეთ, სიყვარულისკენ მუდმივი მისწრაფებაა საჭირო. ასე რომ,

**თუ გაცემისა და სიყვარულისთვის შინაგანად მზად ხართ, სპორტი და ზღვაში ბანაობა თქვენთვის აუცილებელია.**



**ეკლესია ჯვრისწერის გარეშე ქორწინებას არ აღიარებს – ეს ცოდვაა. არადა, დღეს უამრავი წყვილი სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება. წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობენ და ბავშვებსაც აჩენენ. მინდა, გავიგო, რა მოაქვს ურთიერთობის რეგისტრაციას?**

— ურთიერთობის რეგისტრაციის მიზანი ბავშვების გაჩენასა და აღზრდაზე მეუღლეთა პასუხისმგებლობაა. ის ოჯახის არსებობისათვის აუცილებელ ერთიანობას აძლიერებს. მაგრამ ერთიანობა და სტაბილურობა, რომლებიც ჰარმონიული ადამიანისათვის სიკეთეა, საპირისპიროდ გადაიქცევა, თუ ღმერთისადმი სიყვარული საკმარისი არ არის. ძლიერდება ეჭვიანობა, ჩნდება პრეტენზიები. თუ ადამიანი დისჰარმონიულია, მისთვის ბევრი ფული სახიფათოა. ჰარმონიის დაბრუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე სიღატაკეში ჩავარდნა. **სამოქალაქო ქორწინება, ერთგვარად, სულის სიღატაკეა.** ჩემი აზრით, უპასუხისმგებლობა ბავშვებისთვის განსაკუთრებით სახიფათოა.

**ჯვრისწერა, პირველ რიგში, ერთმანეთის მიმართ სულიერ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სულის დახმარება კი სიყვარული, მიტევება და ერთმანეთზე ზრუნვაა.**

ყველა რიტუალი კვდება ისევე, როგორც ნებისმიერი ფორმა, როდესაც შინაარსისაკენ მისწრაფება არ არსებობს. **ჯვრისწერა ადამიანებს ურთიერთობისას ჰარმონიის მოპოვებაში ეხმარება, მაგრამ ამის გარანტიას არ იძლევა, თუ ადამიანები მზად არ არიან, მისი მნიშვნელობა არ ესმით, ან საკუთარ სულზე ზრუნვა არ სურთ.**

*გაგრძელება იქნება*

# მიხეილ ცაგარელი: ჭირვეული მარტის ასტროლოგიური პროგნოზი



***— თვის პირველ კვირაში დედამიწის ძლიერ ჰარმონიულ ზონაში ყოფნა რის სურვილს გააჩენს? 10-19 მარტის შუალედში რისი მოშორება გვმართებს, რათა შევძლოთ ცხოვრების ახალი ეტაპიდან დაწყება? შუა თვეში რისი ზრდა, ცვლილება და გარდაქმნაა მოსალოდნელი? რომელ თვისებებს გაამახვილებს მარტის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება თევზებიდან ვერძის ზოდიაქოს ნიშანში? თვის რომელ მონაკვეთში გაიზრდება რთული სტიქიური და, ზოგ შემთხვევაში, დამანგრეველი მოვლენების ალბათობა? რა გვევალება თითოეულს და განსაკუთრებით ვის მოეთხოვება ყურადღება და სიფხიზლე? 25 მარტამდე რისი საშიშროება იარსებებს, რამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური ტენდენციები და, ამავდროულად, რისი დანახვის შესაძლებლობა მოგვეცემა? თვის ბოლოს სიტუაციის გაუმჯობესება და პლანეტა მერკურის ადგილმდებარეობა რის საშუალებას მოგვცემს? პლანეტა იუპიტერის თევზების ზოდიაქოში მოძრაობის პერიოდში ღრიანკალს რა და რა სასიამოვნო მოვლენები ელოდება, რას უქადის მას ნებისმიერი შემოქმედება? მშვილდოსანმა რა უნდა გაარკვიოს, გადაჭრას? სად ელის წარმატება და რისი დიდი ალბათობა იარსებებს? თხის რქას რაში შეეწყობა ხელი, რა მოუტანს პოზიტიურ შედეგს და რა აისახება მის კეთილდღეობაზე სასიკეთოდ? მერწყულს რისი საშუალება მიეცემა? რისთვის იქნება მშვენიერი ეს დრო და, ამავდროულად, სად უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე? თევზებისთვის პლანეტა იუპიტერის მათდამი განსაკუთრებული კეთილგანწყობა რაზე აისახება, რის გააზრებასა და ხორცშესხმას შეძლებენ? — ამ და სხვა მოვლენებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***



**— ჰაერში კარგა ხანია, გაზაფხულის სურნელი იგრძნობა... მარტიც კარს მოგვადგა. რას უნდა ველოდოთ, როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— მარტის პირველ კვირაში 7 რიცხვამდე დედამიწის ბიოსფერო მეტად ძლიერი ჰარმონიული ენერგიების ზონაში იქნება, ამიტომ სასიკეთო ტენდენციები გაძლიერდება. გარდა ამისა, ამ პერიოდში შესაძლოა, არსებულ ურთიერთობათა რეორგანიზაციის სურვილი გაჩნდეს, რომელიც არამარტო პირად, არამედ საქმიან ურთიერთობებსაც შეეხება. 10-დან 19 მარტამდე დროის მონაკვეთი კი არაერთმნიშვნელოვანი შესაძლოა, იყოს. სასურველია, ამ პერიოდში ყველა აუცილებელი ვალდებულება და დავალიანება მოვიშოროთ, პრობლემები და გაუგებრობები მოვაგვაროთ, რთული საქმეები დავასრულოთ, რათა თვის ბოლოდან შესაძლებელი იყოს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება ძველი ვალებისა და ვალდებულების გარეშე და მომავალი გარდაქმნებისთვის საფუძვლის ჩაყრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა თვეში მოსალოდნელია კონფლიქტურობის ზრდა როგორც პირადი კონტაქტებისას, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში და საერთაშორისო, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაშიც. ამ დროს აზრთა სხვადასხვაობა და დაძაბულობა არაერთ სფეროში იქნება საგრძნობი, ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებში, შესაძლოა, სახელმწიფო მმართველობა რადიკალურად შეიცვალოს, გარდაქმნები და ცვლილებებია მოსალოდნელი განვითარებული ქვეყნების მართვის სტრუქტურებშიც. შესაძლოა, გამოჩნდნენ აქტიური და ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიდერები. გამორიცხული არ იქნება ახალი კანონების მიღება და ძველ კანონპროექტებში ცვლილებების შეტანა.

**— როგორ აისახება ადამიანებსა და მოვლენებზე მარტის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება თევზების ზოდიაქოდან ვერძის ზოდიაქოს ნიშანში?**

— 20 მარტს (19.35) მზე გადაინაცვლებს თევზებიდან ვერძის ზოდიაქოში და უახლოესი ერთი თვის მანძილზე გააძლიერებს და განავითარებს ენერგიულობას, ქმედითუნარიანობას, მებრძოლ სულისკვეთებას, ლიდერულ თვისებებს, კომუნიკაბელურობას, ორგანიზატორულ მონაცემს, გონებამახვილობას და ასევე აგრესიულობას, სულსწრაფობას, კამათისკენ მიდრეკილებას, სიჯიუტეს, ეგოიზმს, დიქტატორულ ტენდენციებსაც. ნიშანდობლივია, რომ მზის გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოს ნიშანში ხელს შეუწყობს ცხოვრებისეული მოვლენების უფრო ფართოდ დანახვას, შეფასებას და რაციონალურად აღქმას. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, 19-დან 24 მარტამდე პერიოდში გაიზრდება რთული სტიქიური და, ზოგ შემთხვევაში, დამანგრეველი მოვლენების ალბათობა. ეს დრო საჭიროებს ყველასგან მეტ მობილიზებას, სიფრთხილესა და ყურადღებას, რათა გვერდი ავუაროთ ავარიებს, ტრავმებს, სერიოზულ კონფლიქტებსა და სახიფათო სიტუაციებს. განსაკუთრებით ეს შეეხება და აქტუალური იქნება მძღოლებისთვის და იმ ოპერატორებისთვის, რომელთა სიფხიზლესა და ყურადღებაზეც დამოკიდებულია სხვა ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. აგრეთვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ 25 მარტამდე შესაძლოა, კაცობრიობა მტრულმა და აგრესიულმა განწყობამ შეიპყრას, რისი მიზეზიც იქნება უთანხმოება, შეურიგებლობა, აზრთა სხვადასხვაობა, დაპირისპირების სურვილი. ჩვენი ემოციებიც უკიდურესად არასტაბილური და სახიფათო შესაძლოა, იყოს. ამავდროულად, ცის კაბადონზე თევზების ზოდიაქოში მზის, ნეპტუნისა და მერკურის შეერთება კიდევ უფრო მეტად გაამწვავებს მტრულ და ნეგატიურ ტენდენციებს, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილების დუღილის ტემპერატურა უმაღლეს ნიშნულს მიაღწევს. ყოველივე ეს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე პოლიტიკოსებს, ეკონომისტებსა და დიპლომატებს აიძულებს, მოიძიონ ურთიერთობის ალტერნატიული ვარიანტები, პროფესიული განვითარების ახალი გზები, რომლებიც ერთიანობას, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას დაეფუძნება. ამგვარად, საბოლოო ჯამში, 19-დან 25 მარტამდე დროის მონაკვეთში შესაძლებელი იქნება პირველი დადებითი შედეგების დანახვაც.

**— როგორი იქნება ვითარება და როგორ განვითარდება მოვლენები მარტის ბოლო კვირაში?**

— 26 მარტიდან სიტუაცია გაუმჯობესდება. ჯანმრთელობასთან და უბედურებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუკი ასეთი არსებობდა, თავისით გაივლის. დედამიწა დაიწყებს ენერგიის აღდგენას, რაც ხელს შეუწყობს ახალ წამოწყებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცის კაბადონზე 27 რიცხვიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური დატოვებს თევზების ზოდიაქოს და ვერძის ნიშანში გადაინაცვლებს, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება არსებული პრობლემების შემოქმედებითი ხერხებით განეიტრალება.

## 28 თებერვალი – 6 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მეტი თავისუფალი დრო გექნებათ და ხშირად განმარტოებასა და ფიქრს მოისურვებთ. ინტუიცია და წინათგრძნობა გაგიძლიერდებათ. კარგი პერიოდია სწავლის გასაგრძელებლად და დამატებითი ცოდნის მისაღებად, მეტი მოგების მისაღებად. ენერგია არ დაზოგოთ ახალი საქმეებისთვის და ეცადეთ, პარტნიორებთან არ იკონფლიქტოთ. მიღებული ინფორმაციები გამოყენებამდე შეამოწმეთ. ჯანმრთელობაზე ზრუნვა ამ პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება.

**კურო** (21.04-20.05)
პასუხისმგებლობა და საქმის ერთგულება ახალი პარტნიორული ურთიერთობის საფუძველი გახდება. კარიერული აღმასვლა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ეფექტური მეთოდებით იქნება შესაძლებელი. უტაქტობასა და პირდაპირობას მოერიდეთ. სამსახურის მოძიებაში ახალი კავშირები დაგეხმარებათ. ოჯახს მეტი მზრუნველობა დასჭირდება. რომანტიკულ ურთიერთობაში გადასვლის სურვილი გაგიჩნდებათ, რაც ემოციურ განწყობაზეც აისახება.

**ტყუპი** (21.05-22.06)
აქტიურად მოქმედების სურვილის მიღმა, შესაძლოა, წინააღმდეგობებს წააწყდეთ გარშემო მყოფთა მხრიდან. უფროსი თაობის წარმომადგენლები გაგაღიზიანებენ. ეცადეთ, ნაკლებად იკამათოთ. მოგზაურობები წარმატებას გიქადით. უცხოეთში საქმიანი ვიზიტი თქვენს კარიერულ აღმასვლას განსაკუთრებით ხელს შეუწყობს. კარგი პერიოდია პროფილაქტიკური სამედიცინო კვლევებისა და მკურნალობის ჩასატარებლად. შემთხვევით სასიყვარულო კავშირებს კი მოერიდეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მშვენიერი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა ახალი კონტაქტების დამყარებას გაგიადვილებთ. გამჭრიახობა და ქმედითუნარიანობა მოგემატებათ და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. პირად და საქმიან ურთიერთობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას იოლად შეძლებთ. სასიყვარულო ფრონტზე მეტად თამამი და მგრძნობიარე გახდებით, რაც ბევრ თაყვანისმცემელს შეგძენთ. მოგზაურობა კი ჯობს, მალე დაასრულოთ, რათა პრობლემები არ შეგექმნათ.

**ლომი** (23.07-23.08)
სახლში საოჯახო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმე ადვილად მოგვარდება. რემონტი კი ყოფას უფრო კომფორტულს გახდის. თქვენი სახლი შესაძლოა, შეხვედრების ადგილად იქცეს. სასიკეთო იქნება ასევე ბუნებაში გამგზავრება და დასვენება, თუმცა, შორეული მოგზაურობის დაწყება არ არის რეკომენდებული. პირად ურთიერთობაში კარდინალურ გარდაქმნებს ჯერ ნუ დაიწყებთ და საყვარელ ადამიანს შანსი მიეცით, არჩევანი თავად გააკეთოს.

**ქალწული** (24.08-23.09)
ურთიერთობებისას და კარიერული კუთხით თქვენი გავლენის არეალი გაიზრდება და გამყარდება. პოზიციები, შრომა დაგიფასდებათ და ახალი სიმაღლეების დაპყრობა გაგიადვილდებათ. ამ პერიოდში ყველაფერს, რასაც კი შეეხებით, დადებითი ფინალი ექნება და მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. სიტუაციის სწრაფი ცვლილება ცხოვრებას გაგიხალისებთ. შეყვარებულთან ურთიერთობა კი სიმშვიდეს მოგგვრით და მომავალი წარმატების იმედს გააჩენს.

## 28 თებერვალი – 6 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სამსახურში დატვირთვა იმატებს. თუმცა, ანაზღაურებაც შესაბამისად გაიზრდება. საქმიან პარტნიორებთან და კოლეგებთან თავშეკავება გამოიჩინეთ. დამატებითი შემოსავალი ახალი ნივთების შეძენისკენ გიბიძგებთ. კარგი პერიოდია კრედიტის და დაფინანსების მისაღებად. პირად ცხოვრებაში კი ეცადეთ, თქვენს ადრინდელ მოღვაწეობას ფარდა არ აეხადოს. შესაძლოა, მომავალი მეუღლე გაიცნოთ ანდა არსებული სასიყვარულო ურთიერთობა უფრო სერიოზული გახდეს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი საქმიანობა მომავალში კარგ შემოსავალს მოგიტანთ. ფარული ნიჭი გამოიღვიძებს. კარგი იქნება სწავლის გაღრმავებაც. ინტუიციის მეშვეობით სწორად იწინასწარმეტყველებთ მოვლენებს და სირთულეს თავს აარიდებთ. სამართლიანობის შეგრძნება გაგიმძაფრდებათ. საყვარელ ადამიანთან ნუ იკამათებთ და ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. უცხოელებთან კავშირი და საქმიანი ურთიერთობა მომავალში დამატებით შემოსავალს გიქადით.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
უცხოელებთან და სხვა ქალაქიდან შემოსულთან კონტაქტი ბევრ სასიკეთო ცვლილებას გამოიწვევს. თქვენს პროფესიაში შესაძლოა, ახალი შემოთავაზებებიც მიიღოთ. რთულ სიტუაციაში ინტუიციას დაეყრდენით, მიღებული ინფორმაცია აუცილებლად შეამოწმეთ. საქმეს დასვენებისა და გართობის გამო ნუ გადადებთ. კარგი დროა ხანმოკლე რომანტიკული ან საქმიანი მოგზაურობისთვის.

**თხის რქა** (22.12-19.01)
შემოსავლის გასაზრდელად მეტი იმოქმედეთ და პროფესიონალიზმი დახვეწეთ. გვერდიდან ყველა ფარულ საინტერესო სიტუაციას უკეთ დაინახავთ. რთულ მომენტში მეგობრებს მიმართეთ. სხვის იდეებს ადვილად გამოიყენებთ. დამოუკიდებლობის სურვილმა, შესაძლოა, გაიძულოთ ახალი კავშირების დამყარება და დაგაპირისპიროთ მშობლებთან. საქმიან პარტნიორთა შორის შესაძლოა, მეუღლე იპოვოთ. თავისუფალი დრო კი ეცადეთ, დასვენებისთვის გამოიყენოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ამტანობა გაიზრდება და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. კომფორტსა და მშვიდ გარემოს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევთ. თქვენი პროფესიონალიზმი და გაწეული შრომა სათანადოდ დაფასდება, რაც ენთუზიაზმს შეგმატებთ. ეს დიდი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა და ახალი საქმიანობის დაწყების დროა. სასიკეთოა ასევე ხანმოკლე მოგზაურობებისთვის და ახალი კავშირების დამყარებისთვის, პირადი შეხვედრებისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
საოცრად დინამიკური, ენერგიული პერიოდია, აღსავსე ბევრი შეხვედრებითა და გადაადგილებებით. საქმეებში წარმატებას მოგიტანთ უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება. პოპულარობა ხელს შეგიწყობთ დამატებითი შემოსავლის მიღებაში, თუმცა, ფინანსური საკითხების მოგვარებისას სიმშვიდის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. რომანტიკულობის მოთხოვნილება სიყვარულის მორევში შეგიტყუებთ, თუმცა, ამგვარად მოდუნდებით და შესაძლოა, გულმავიწყობა მოგეძალოთ.

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 28 თებერვალი, 1,2,5 და 6 მარტი**

**2 მარტი – ახალმთვარეობა, 18 მარტი – სავსემთვარეობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 28 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 17.50 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.36 საათზე, ჩადის 14.59 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 08.23 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგი დღეა შემოქმედებისთვის. სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას მეტი თავისუფლებით ისარგებლებთ. შესაძლებელია, მთავარი მიზნის სიღრმისეული შეცნობა, ამავდროულად არ არის სასურველი ფორიაქი და ნერვიულობა, ფეხზე დიდხანს ნუ იდგებით. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. ნუ გადაღლით თვალებს. მოერიდეთ ალკოჰოლური სასმლის, ხორცეული კერძების მიღებას. კარგი დღეა დიეტის დასაწყებად, რეფორმებისთვის, საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად, სახლის მშენებლობისა და სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, განცხადებებისა და რეკლამებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მხედველობა, ნერვული სისტემა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.36 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.55) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 16.15 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 08.45 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.01 საათიდან 23.55 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ხელი შეეწყობა საქმის დასრულებასა და ვალის დაბრუნებას. პარტნიორულ ურთიერთობაში იმატებს თავისუფლებისკენ მიდრეკილება, ემოციურობა. კარგი დღეა ლატარიაში მოგებისთვის, საზოგადოებრივ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, განცხადებებისა და რეკლამებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სარემონტო-სამღებრო სამუშაოებისთვის. ფანტაზიებს ნუ აჰყვებით. მოერიდეთ ნერვიულობას, ზედმეტ ლაპარაკს, ფეხზე დიდხანს დგომას, აირ და ელექტროდანადგარებს, საიდუმლოს გამხელას (მეგობართა წრეშიც კი), ალკოჰოლური სასმელების მიღებას. დაეყრდენით რეალურ ფაქტებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები, მხედველობა. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ციტრინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 2 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 17.52 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 06.47 საათზე, ჩადის 17.29 საათზე (მთვარის 30-ე დღე იწყება 09.00 საათზე. ახალმთვარეობაა, პიკი — 21.34 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობა განაპირობებს აგრესიადეპრესიის გამოვლენას, ავარიულ-ტრავმულ ტენდენციებს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, რაც ყველასგან ითხოვს ყურადღებასა და სიფრთხილეს. სასიკეთოა ლოცვა, მონანიება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, ურთიერთობისას დიპლომატიისა და ტაქტიანობის გამოვლენისთვის, საკვებისა და სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. არ არის სასურველი სესხის აღება ან გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, თავის დაბანა, საიდუმლო საქმეების წარმოება, ნარკოტიკული საშუალებებისა და ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი, ალექსანდრიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 3 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 18.41 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 09.11 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა ინფორმაციასთან მუშაობა, ამავდროულად, ფაქტები შეამოწმეთ. საკუთარ თავსა და ახლობლებს მეტი დრო დაუთმეთ. გააკონტროლეთ ემოციები, ფანტაზიურობა და ზედმეტი თანაგრძნობის გამოვლენა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, მოგზაურობის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, საჯარო გამოსვლისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მიმართვისთვის. სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა, საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 4 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.31 საათზე, ჩადის 17.55 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.54) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.39 საათზე, ჩადის 19.50 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 09.20 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.45 საათიდან 04.54 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს შეეცადეთ, ყოველგვარი ფანტაზიების გარეშე წინაპართა ტრადიცებს პატივი მიაგოთ. შესაძლებელი იქნება ძველი გეგმებისა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლება. მოერიდეთ კამათსა და ეგოიზმის გამოვლენას. ემოციები და აგრესიულობა აკონტროლეთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ხელმძღვანელობასთან კონტაქტისთვის, საყოფაცხოვრებო და სპორტული ნაწარმის შესაძენად. ეფექტური იქნება თირკმლების, შარდის ბუშტის მკურნალობა. თვალები კი დაასვენეთ. ეცადეთ, ფიზიკურად და სულიერად არ გადაიღალოთ. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ფინანსური ოპერაციები, სტომატოლოგიური პროცედურები, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, კბილები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 5 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.30 საათზე, ჩადის 17.56 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 08.01 საათზე, ჩადის 20.57 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 09.28 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეორეხარისხოვან საქმეებზე დროსა და ენერგიას ნუ დახარჯავთ. ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს (15 აპრილამდე) მერწყულის ზოდიაქოში, რაც მოქმედებებისას გააძლიერებს თავისუფლებას, სპონტანურ იმპროვიზაციას, არასტანდარტულობას, ორიგინალურ გადაწყვეტილებას, თანამედროვე ტექნოლოგიის წარმატებით გამოყენებას, სიახლეების დანერგვას, სხვათა უფლებების დაცვას. დღეს კი კარგია მგზავრობა, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შეძენა. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, თმის შეჭრა-შეღებვა, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, ემოციურობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, წითელი იასპი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.28 საათზე, ჩადის 17.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.01) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 08.24 საათზე, ჩადის 22.02 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 09.37 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.02 საათიდან 12.01 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში (4 აპრილამდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობაში შემოიტანს მეტ თანასწორუფლებიანობას, დემოკრატიულობას, სიახლეებისკენ მიდრეკილებას, სპონტანურობას და მოულოდნელ სიურპრიზებს, თანამედროვე ტექნოლოგიისა და რეფორმული მოქმედებების შედეგად ხელს შეუწყობს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეზოთერული საკითხებით დაინტერესებას და ასევე გააძლიერებს სიჯიუტეს, სიზარმაცესაც. დღეს კი კარგია ქორწინება, მშენებლობა, ვაჭრობა, კულტურულ-გასართობი ღონისძიებების მოწყობა. არ არის სასურველი სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სისხლძარღვები, თავი, სწორი ნაწლავი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, აქატი, მალაქიტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

# პლანეტა იუპიტერის თევზების ზოდიაქოში მოძრაობა და ჩვენი წარმატების შანსები



**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რას მოუტანს, რაში შეუწყობს ხელს ანდა რის გათვალისწინებას მოსთხოვს თევზების ზოდიაქოს ნიშანში მოძრავი გამარჯვების პლანეტა იუპიტერი ზოდიაქოს თითოეულ ნიშანს?**

— **8. ღრიანკალის ნიშნით დაბადებულთა უმრავლესობა ეცდება, ამ პერიოდში დრო მხიარულად, საამურად გაატაროს, ანუ ცხოვრებისგან მეტი სიამოვნება მიიღოს, რადგან გამარჯვების პლანეტის ზეგავლენით რომანტიკული და შემოქმედებითი სფეროები უფართოვდება.** კარგი დრო იქნება თვითგამოხატვისთვის, სხვადასხვა სახის თამაშებისთვის, ამიტომ, ურიგო არ იქნება თუ ორატორობის კურსს გაივლის, თეატრალურ წრეში გაერთიანდება ან გუნდურ სპორტულ თამაშებს დაუთმობს დროს. ნებისმიერი შემოქმედება დადებითად აისახება **ღრიანკალის** შემოსავლებზე, საქმეებზე, პირად ქონებაზე, კომფორტსა და ღირსებაზე. **9. მშვილდოსანმა კი ამ პერიოდში საურველია, გაიუმჯობესოს ან გადაჭრას თუ გაარკვიოს საცხოვრებელ ადგილთან, ბინასთან დაკავშირებული საკითხი.** ასევე გააღრმაოს ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ნიშანდობლივია, რომ **იუპიტერის თევზებში** მოძრაობის პერიოდში მათი შინაგანი სამყარო, ოჯახური ცხოვრება და ურთიერთობები განვითარდება, გაფართოვდება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. იგი განსაკუთრებულ სიამოვნებას მიიღებს ოჯახის წევრებთან ურთიერთობითა და მათი კეთილგანწყობით. ასევე არსებობს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, უკეთეს პირობებში — დიდ ბინაში გადასვლის პერსპექტივა. კარგი დრო იქნება, აგრეთვე რემონტისთვის და კეთილმოწყობისთვის. შესაძლოა, ოჯახის წევრთა რაოდენობა გაიზარდოს, ახალი წევრები გაჩნდნენ. ასევე საკუთარი ოჯახური კერის შექმნის ალბათობაც არსებობს. **10. თხის რქის ნიშნით დაბადებულს რაც შეეხებათ, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იმატებს სასარგებლო ნაცნობთა და კავშირების რაოდენობა, საურთიერთობო წრეც გაუფართოვდება,** ხელი შეეწყობა ლიტერატურულ საქმიანობას, შესაძლებლობა მიეცემა, საკუთარი ნაწარმოებები შექმნას, წარმატებას მაიღწიოს მასმედიასთან თანამშრომლობით, კავშირგაბმულობის სფეროში ბიზნესის დაწყებით, ამ სფეროში კარიერული აღმასვლით და ასევე ავტომობილიც შეიძინოს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ პერიოდში მიღებული ნებისმიერი ცოდნა მომავალში პოზიტიურ შედეგს მოუტანს და **თხის რქათა** კეთილდღეობაზე სასიკეთოდ აისახება. **11. მერწყულის ნიშნით დაბადებულს კი ეს პერიოდი საშუალებას მისცემს, შემოსავალზე, პირად რესურსებსა და ქონებაზე დაფიქრდეს. ეს დრო მშვენიერი იქნება არსებული ბიზნესის განსავითარებლად და ადრე გაწეული ხარჯისთვის გასამრჯელოს მისაღებად, თუმცა, ასევე აუცილებელია სიფრთხილე.** არ არის სასურველი კრედიტების აღება. დიდი თანხის მიღების შემთხვევაში კი განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვება მართებს, რათა ფინანსები უშედეგოდ არ გაიფლანგოს. არსებული ფულით უმჯობესია რაიმე მსხვილი შენაძენის (მაგალითად, ბინის) ან ინვესტიციის გაკეთება და თანხის გონივრულად დაბანდება. **12. თევზების ნიშნით დაბადებულნი კი ამ პერიოდში ყველაზე მეტად იგრძნობენ გამარჯვების მმართველი პლანეტის იუპიტერის კეთილგანწყობას.** გაიზრდება მათი თავდაჯერებულობა და თავისუფლებისკენ ლტოლვა, რათა თავიანთი აზრის, ხედვის, იდეების უპრობლემოდ გამოხატვა შეძლონ. ამავდროულად, მათი ახალი იდეები და ინტერესები შეუდარებელი და მეტად საინტერესო იქნება. ეს დრო ხელს შეუწყობს საკუთარ მოთხოვნათა გააზრებას და ოცნებების ხორცშესხმას. შესაძლებელი იქნება მათი იმიჯის, პიროვნული თვისებების, სახელის ახლებურად წარმოჩენა, პოპულარობის მოხვეჭა, ახალი გრძელვადიანი პროექტების და საქმის დაწყება. ცოდნის დონის ამაღლებაც დაეხმარება მათ სამყაროს პრინციპთა დანახვაში, ახალი ცხოვრებისა და საქმიანობის დაწყებაში, ცხოვრების გაუმჯობესებაში.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***


## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90




„ასავალ-დასავალის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს **ნანა ნემსწვერიძეს** და **ანა, ია, ვახო გოგიაშვილებს** ძვირფასი მეუღლისა და მამის, ღირსეული მამულიშვილისა და გულმხურვალე პატრიოტის

**ნიკოლოზ გოგიაშვილის**

გარდაცვალების გამო



| ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი | ერთად თავშეყრილი ხალხი | ზღვის დიდი კიბო | მარხილით მთიდან ჩქარი დაშვების სახეობა | ლაბისებრი საჭმელი პროდუქტი | ავტო-რბოლა | კაცის სასიმღერო ხმა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| **დიდი კონცერტი** | **„კულინარიული“ ტროპიკული მცენარე** | **კეთილთვისებიანი სიმსივნე** | **ალალბედზე მოქმედება** | **ფირის დასახვევი მაგნიტოფონის გორგოლაჭი** | **სანქტ-პეტერბურგის პოეტური სახელი** | **აზიის სახელმწიფო** |




თარაზულად: 1. სამხედრო წოდებულება გენერალს ზევით; 7. პირველი ხმა მრავალხმიან ნაწარმოებში; 12. ეგვიპტის ფარაონი; 13. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი (მუს.); 14. ჭრილობაში ჩასადები სტერილური მასალა; 15. გადასატანი მცირე სიმძლავრის მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 16. ქალაქი გერმანიაში; 17. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 18. კურტ კობეინის მუსიკალური ჯგუფი; 19. აქილევსის სუსტი ადგილი; 20. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 21. ახალი, დაუმარილებელი თევზი, ხორცი; 22. ამერიკელი მწერალი; 26. მისი გული ცხრა ძმამ გაიყო; 28. ზღვრული ნორმა; 31. „ორსული“ საქონელი; 33. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 35. წვნიანი შეჭამანდი ბრინჯით; 36. რომელიმე მოძღვრების ამოსავალი დებულება; 37. აფრიკის სახელმწიფო; 41. ფრანგი კომპოზიტორი; 42. ფეხბურთის „მეფე“; 43. ზღვის დიდი მტაცებელი თევზი; 45. სოფელი ხევსურეთში; 46. თმის ბუნებრივი საღებავი; 49. კომში; 51. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 53. ქართველი მწერალი; 56. ჩინელი ბელადი; 57. ძლიერ ფეთქებადი ჭურვი; 58. ერთგვარი მსუბუქი ნამცხვარი; 59. ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი — ფორტეპიანოს წინამორბედი; 60. ვინც ხშირად იბუტება; 61. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან; 62. დედალი ცხვარი; 63. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში; 64. წლოვანება.

შვეულად: 1. მუხლის მოდრეკა ლოცვისას; 2. გერმანელი მწერალი; 3. სუბტროპიკული ხილი; 4. ესპანელი ექსფეხბურთელი; 5. გონებასუსტი ადამიანი; 6. კორიდორი, ტალანი; 7. პირიქით მდებარე მხარე; 8. სისხლის აღრევა; 9. ჯადოსნური ლამპრის მფლობელი ზღაპრული პერსონაჟი; 10. დრამატული ნაწარმოები; 11. ვინც ნადირობას მისდევს; 23. რისამე დასაცავად გარშემოვლებული კედელი; 24. სასვენი ნიშანი; 25. ძველებური ხემიანი მუსიკალური საკრავი; 27. ქართველთა სამოსახლო საფრანგეთში; 28. სურამის ქედი; 29. ფოლადის გამოსადნობი ღუმელი; 30. ტროლეიბუსის გორგოლაჭიანი დენმიმღები; 31. ამბის მომტანი, შიკრიკი; 32. შავი ფისი; 34. ძეგლი ისტორიულ კლარჯეთში; 37. უნგრელი ექსმოჭადრაკე; 38. რისამე დაწესებული რაოდენობა; 39. ქვიშიანი ადგილი ჩრდილოეთის ზღვის გერმანიისა და ჰოლანდიის სანაპიროზე; 40. სოფელი აფხაზეთში; 44. ქალაქის, ციხესიმაგრის გარშემო შემოვლებული კედელი; 47. აფრიკის სახელმწიფო; 48. გარკვეული დავალების შემსრულებელ ადამიანთა ჯგუფი; 49. იტალიელი კინორეჟისორი; 50. ძველი მექანიკური საკრავი; 51. საწინააღმდეგო რთული სიტყვის ნაწილი; 52. ნადირობა აფრიკაში; 53. აკრობატული ნახტომი; 54. საწვავი სითხე; 55. მწერალი ... ხეთაგუროვი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 27-ე გვერდზე*

| პარტიზანული ომის სახელწოდება ესპანეთში | სოფელი სენაკის რაიონში | სამის რიგითი რიცხვითი სახელი | დახურული ოთხთვალა ეტლი | სოფელი აფხაზეთში | ზღაპრის გრძნეული ქალი | ზრდა დაუსრულებელი ქათამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| **მეუღლეს მოყოლილი შვილი** | **საკნის ტიპი სამხრეთ ამერიკაში** | **თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული** | **გოლკიპერი** | **ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა** | **გერმანელი მოდელი კლაუდია...** | **ავტოკატასტროფა** |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2022 წლის 28 თებერვალი - 6 მარტი №10 (1422)

გამოდის ორშაბათობით

ISSN 2233-3800

მეჲიაჰოხჰოხაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

## სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.ge** ან **www. asdas.ge**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.ge** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.ge** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**





**გაზეთი გამოდის COVID-19-ის ბიოტექნიკურ-დივერსიული პანდემიის მე-3 წელს**